პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 ივნისი ხუთშაბათი 2012 №145 (13 751) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიამ გამეორება იცის







5

მეოთხედფინალები იწყება

დღეს, ვარშავა 22:45

ჩეხეთი VS პორტუგალია

# პროფლიგა არ იქნება!

2

ჩემპიონატს ისევ ფედერაცია მიხედავს





12

## დიდი პასუხისმგებლობა

ინტერვიუ გიორგი შერმადინთან



3

დავით მუჯირი

# საჩემპიონო ოცნება ამიხდა!

ქართველი ფეხბურთელები უკეთეს პირობებს იმსახურებენ

ქართული ფეხბურთი

ფუტსალი. ინტერვიუ ახალ პრეზიდენტთან

# ლევან ცქიტიშვილი: ფუტსალს მასობრიობა სჭირდება

ქართულ ფუტსალს მომდევნო 4 წლით ლევან ცქიტიშვილი უხელმძღვანელებს - საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტად ღია კენჭისყრით აირჩიეს.

ლევან ცქიტიშვილი 36 წლისაა, ეროვნული გუნდის ფორმა 55-ჯერ მოირგო და ერთი გოლი გაიტანა. თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1993-1998 წლებში, 120 მატჩი - 32 გოლი), "ფრაიბურგში" (1998-2005, 141-9), „ვოლფსბურგში" (2005-2006, 15-0), "პანიონიოსში" (2006-2007, 20-2), თბილისის "ლოკომოტივში" (2007-2008, 7-1), ბოლოს კი— გერმანული "ვეენში".

კარიერის დასრულების შემდეგ ცქიტიშვილი ფიფას ლიცენზირებული აგენტიც გახდა, მაგრამ გული ამ საქმიანობისკენ მაინც არ მიუწევდა.

არჩევნების შემდეგ ცქიტიშვილმა კომენტარი გააკეთა, უფრო ვრცლად კი "ლელოს" ელაპარაკა. სასაუბრო კი მართლაც ბევრია, რადგან ფუტსალს სერიოზული მიხედვა და რეფორმები სჭირდება.

**- სამწლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთში დაბრუნდი. ამ ხნის განმავლობაში რას საქმიანობდით?**

- სპორტულ ცხოვრებას არ ჩამოვშორებივარ, ფეხბურთს გასართობად ვთამაშობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, სერიოზულს არაფერს ვაკეთებდი. ეს იყო ჩემთვის უძნელესი პერიოდი. საერთოდ, კარიერის დასრულების შემდეგ ყველა მოთამაშეს სჭირდება დასაფიქრებლად დრო, რას გააკეთებს და ასე შემდეგ. ზოგს ფეხბურთი ბეზრდება, მე კი მივხვდი, რომ სხვაგან ვერაფერს გავაკეთებდი და არც მინდოდა.

**- კარიერის დასრულება ძნელია თუნდაც იმიტომ, რომ შემოსავალს კარგავ.**

- რა თქმა უნდა. მოკლედ, საფიქრალ-სადარდებელი უცებ გიჩნდება. მაგრამ მთავარი ფეხბურთში დაბრუნებისა და საქმის კეთების სურვილი იყო.

**- მართალია, რომ თბილისის "დინამოში" მუშაობის პერიოდში გიორგი ნემსაძემ მოედანზე დაბრუნება შემოგთავაზა?**

- სურვილი იყო, მაგრამ არ გამოვიდა, გუნდთან ვერ შევთანხმდი და კარიერაზე ხელი ჩავიქნიე. თუმცა, მოედანზე დაბრუნებას მართლაც ვაპირებდი.

**- ფუტსალის ასოციაციაში სერიოზული ფინანსური პრობლემებია, არ არის სპონსორი, ჩემპიონატს ყურადღება არ ექცევა. მოკლედ, სახეობა ჭაობშია.**

- ეს ორ დღეში დაგროვილი პრობლემები არ არის. დიდი ხანია, ფუტსალში არაფერი გაკეთებულა. მაგრამ სპორტი-



ლევან ცქიტიშვილი

სა და ახალგაზრდობის სამინისტრო და ფეხბურთის ფედერაცია თანადგომას გვპირდებიან. ცალკ-ცალკე არაფერი გამოგვივა, ერთობლივად კი კარგი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება და ნაკრების გაძლიერება შესაძლებელია. წარმატება თუ იქნება, ამ ყველაფერს სერიოზული ძვრები მოჰყვება.

**- ფუტსალის ეროვნული ჩემპიონატი მხოლოდ ამ სახეობის მიმდევრებს თუ აინტერესებთ. ამ დროს ბრძანეთ, რომ სატელევიზიო გაშუქებაზე ფიქრობთ.**

- დიახ, ეს აუცილებელია, სხვაგვარად ხალხი ვერც იგებს, ჩემპიონატი რომ ტარდება. ამიტომ, ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ფუტსალის ტელევიზიამდე მიტანაა. ტელეკომპანია "მზეს" წამყვან ლაშა დვალიშვილს ველაპარაკე, ახლა GMG-სთანაც მსურს მოლაპარაკება და მერე გადავწყვეტთ, რას და როგორ მოვიმოქმედებთ.

**- ასოციაციის ყრილობაზე ახსენეთ, რომ "იბერია ბიზნეს ჯგუფის", "აჭარაბეთისა" და "ბორჯომის" თანადგომას იმედოვნებთ.**

- რა თქმა უნდა. ამ კომპანიებში ჩემი მეგობრები არიან და ყრილობასაც დაესწრნენ. შევთანხმდით კიდეც, რომ გვერდში დაგვიდგებიან, ჩვენ კი ეროვნულ ჩემპიონატსა და ნაკრების მატჩებზე მათი პროდუქციის რეკლამირების ვალდებულებას ავიღებთ. მჯერა, რომ სხვა სპონსორებსაც მოვიზიდავთ და სახეობას განვავითარებთ. თორემ, უფულოდ სპორტის არც ერთი სახეობა განვითარდება.

მაგრამ გაუმართლებელი იქნება მხოლოდ ფულზე ლაპარაკი. ჩემი აზრით, შესაძლებელია, განათლების სამინისტროსთან შევთანხმდეთ და ფეხბურთი სასკოლო საგნად მასობრივად დავნერგოთ. აქ ლაპარაკი მხოლოდ ფუტსალზე არ არის. რაც უფრო მეტი ბავშვი ითამაშებს ფეხბურთს, ტალანტების აღმოჩენის მეტი შანსი გვექნება. ვთქვი და ვიმეორებ, ჩვენს ბავშვობაში ეზოში ყველა თამაშობდა, ახლა კი ასე მასობრივი აღარ არის. არადა, დიდი ფეხბურთელები სწორედ ეზოში, სკოლებსა და არაფორმალურ გარემოში იზრდებიან და ჩვენი მიზანია, ფუტსალში მეტი ბავშვი ჩავრთოთ და ეს სახეობა მასობრივი და პოპულარული გავხადოთ.

ზოგადად, ეს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებასაც წაადგება. საქართველო კი ტალანტებით სავსეა. ამის თაობაზე ლადო ვარძელაშვილს აუცილებლად მივმართავ და იმედია, სერიოზული პროექტს წამოვიწყებთ.

**- ვიცით, რომ ეროვნული ნაკრების გაძღოლა ავთო ასათიანს შესთავაზეს.**

- როდესაც ეს საკითხი გადაწყდება, მერე ვილაპარაკოთ. მაგრამ ავთო რომ ნიჭიერი სპეციალისტია და ნაკრებმა სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში დაძლია კრიზისი, ამაზე ორი აზრი არ არის.

**მერაბ მამულაშვილი**

---

ევრო 2012



ვიქტორ გრაჩოვი

# ბლოხინს ამბიცია ჰქონდა, უნარი — არა!

## ატელკინი: უკრაინა ჩემპიონატს ევროპულად მასპინძლობს, მაგრამ ნაკრები ვერ მოამზადა

**ინგლისთან უკრაინის ნაკრების წაგებამ და ევრო 2012-დან გამოთიშვამ მთელი ქვეყანა და მათ შორის დონეცკი შოკში ჩააგდო. თამაშის შემდეგ მთელი ღამის განმავლობაში მაყურებლები და სპეციალისტები ვერ მალავდნენ უკმაყოფილებას ოლეგ ბლოხინის მიმართ. ფანების ქუჩებში გაყვიროდნენ: "ბლოხინო, გეყოფა, ნადი!". ყველა მიიჩნევს, რომ ბლოხინმა ვერ მოამზადა ნაკრები ვერც ფსიქოლოგიურად, ვერც ტაქტიკურად და დაუშვა უამრავი შეცდომა.**

ფეხბურთის დიდმა სპეციალისტმა, დონეცკის უნივერსიტეტის პროფესორმა **იგორ ტოდოროვმა** თამაშის შემდეგ ჟურნალისტებთან თქვა ფრთოსანი ფრაზა - "სამწუხაროდ, უკრაინისთვის უილბლოდ დასრულდა ზღაპარი, სახელად "ევრო-2012". მან აღნიშნა, რომ ევროპის ჩემპიონატმა და ეროვნული ნაკრების თამაშებმა დონეცკში "უკრაინული პატრიოტიზმის დიდი მუხტი გამოიწვია, რაც მანამდე ასეთი დოზით არ ყოფილა. ფანები ქალაქში უკრაინის ნაკრების თამაშების წინ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილიც კი დადიოდნენ მღეროდნენ უკრაინულ ხალხურ სიმღერებს. სამწუხაროდ, ამან ვერ უშველა უკრაინის ნაკრებს".

20 ივნისს ვესაუბრეთ წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, ამჟამად "შახტარის" ერთ-ერთ მწვრთნელ-სელექციონერს **სერგეი ატელკინს.** მან გვითხრა: "უკრაინა, როგორც ქვეყანა კარგად მოემზადა ჩემპიონატის ჩასატარებლად და ევროპულადაც მასპინძლობს. სტადიონები, ბაზები, სასტუმროები, ყველაფერში იგრძნობა სერვისი, მაღალია მოსახლეობის კეთილგანწყობა... მაგრამ, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ვერ მოახერხა ეროვნული ნაკრების შესაბამისი მომზადება. რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ ფედერაცია ძალიან ხშირად ცვლიდა მთავარ მწვრთნელს, რამაც უარყოფითად იმოქმედა გუნდის მომზადებაზე. ერთი მწვრთნელის მოხსნის შემდეგ მეორეც სრულიად მოულოდნელად გაათავისუფლეს და შოკური თერაპიის მეთოდით დანიშნეს ოლეგ ბლოხინი. არ უნდა დაენიშნათ, ამას მანამდეც ამბობდნენ სპეციალისტები. ბლოხინმა, რასაკვირველია, ვერ გაამართლა. ის იყო დიდი ფეხბურთელი, მაგრამ როგორც მწვრთნელი, მით უფრო ნაკრების დონეზე, ძალიან სუსტია. ეს აშკარაა, მაგრამ მაინც დატოვეს, რაც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ბრალია".

ატელკინის აზრით, "ბლოხინმა დაუშვა ძალიან მარტივი შეცდომები, როგორც ნაკრების შემადგენლობის შერჩევისას, ისე თამაშების წარმართვისას".

შეკითხვაზე ქვენ რას გააკეთებდით ბლოხინის ადგილზე ასეთი მარცხის შემდეგ? 40 წლის ატელკინმა გვიპასუხა: "მე არ ჩავიგდებდი საკუთარ თავს მსგავს მდგომარეობაში და არ დავთანხმდებოდი ნაკრების მწვრთნელობას, მაგრამ ბლოხინს ჰქონდა ამის დიდი ამბიცია და ნაკლები სამწვრთნელო უნარი".

ატელკინმა, რომელიც თავის დროზე დონეცკის "შახტიორის", პორტუგალიის "ბოავიშტას", იტალიის "ლეჩეს" და უკრაინის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა, დიდი სითბოთი მოიკითხა ქართველი ფეხბურთელები და საქართველო. მან გვთხოვა გულთბილი მოკითხვა გადაგვეცა გიორგი ჩიხრაძისა და იური გაბისკირიასთვის, ვისთან ერთადაც იგი 90-იან წლებში სხვადასხვა პერიოდში თამაშობდა "შახტიორში".

შევხვდით აგრეთვე დონეცკის "შახტიორის" და სსრკ ნაკრების ყოფილ ფორვარდს **ვიქტორ გრაჩოვს,** რომელმაც სიყვარულით გაიხსენა 1980-იანი წლების თბილისის "დინამო" და თბილად მოიკითხა ყველა, განსაკუთრებით კი **ალექსანდრე ჩივაძე.** 56 წლის გრაჩოვმა გვითხრა, რომ მას ძალიან ენატრება თბილისი და მთელი საქართველო.

**თენგიზ პაჭკორია**
დონეცკიდან
ხათუნა გაბიტაშვილის ფოტო

---

სიტუაცია

# პროფლიგის ნაცვლად პრეზიდენტთა საბჭო

## სახელმწიფო ფსონს ზრდის: 2 მილიონი ეროვნულის საპრემიოდ

დიდი შოკია – ასე ანონსირებული და გამოცხადებული პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა! ეს ამბავი როდესაც გვითხრეს, გადამოწმება ვცადეთ, რადგან ძნელი დასაჯერებელი იყო.

ამ საკითხის გადასაწყვეტად კლუბების წარმომადგენლების სამუშაო ჯგუფში ოთხჯერ შეიკრიბნენ და ოთხჯერვე მხოლოდ და მხოლოდ პროფლიგის აღდგენის პროექტებზე ილაპარაკეს. 14 ივნისს თბილისის "დინამოს" დიღმის ბაზაზე გამართულ შეხვედრაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ 18 ივნისს დამფუძნებელი ყრილობა გაიმართებოდა, ლიგა ოფიციალურად აღდგებოდა, ლიგის გამგეობა უმაღლესი ლიგის 12-ივე კლუბის წარმომადგენლისგან დაკომპლექტდებოდა, შეიმუშავებდნენ დებულებას, ორგანიზაციის სტრუქტურას, გაწევრიანების პრინციპებს, ხოლო ერთ კვირაში პროფლიგის პრეზიდენტის არჩევნებიც დაინიშნებოდა.

პრეზიდენტობის კანდიდატურებიც დასახელდა – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **გია ფირცხალავა** და წარსულში თბილისის "დინამოს" ვარსკვლავი **ვლადიმერ გუცაევი.**

მაგრამ სიტყვა არ დაძრულა იმ დაბრკოლებაზე, რამაც საბოლოოდ ლიგის იდეის განხორციელებას ხელი შეუშალა. რა მოხდა, ჩვენთვის გაუგებარია, კლუბების წარმოადგენლები კი რატომღაც, ამაზე ლაპარაკს ჯერჯერობით ერიდებიან.

მაგალითად, თბილისის "დინამოს" პრეზიდენტის, **რომან ფიფიას** კომენტარის ჩაწერა გვსურდა. მაგრამ "დინამოს" პიარმენეჯერის, **ლაშა დავლიშვილის** თქმით, ფიფია კომენტარს კვირის ბოლოს გააკეთებს.

რეალურად სწორედ ფიფია არის ლიგის იდეის სულისჩამდგმელი. სხვათა შორის, მის მიერ წამოყენებულ ამ ჩანაფიქრს ფეხბურთის ფედერაციის ბოლო ყრილობაზე ცხარე კამათი და დაპირისპირება მოჰყვა, მაგრამ ეს ყურადღების მიღმა დარჩა – დარბაზი მედიისთვის დახურული იყო.

ეტყობა, წინასწარ იცოდნენ, რაც იყო მოსალოდნელი. მაგრამ შევიტყვეთ, რომ ყრილობა დაძაბულ და კონფლიქტურ ვითარებაში წარიმართა, გაბრაზებული დელეგატები სიგარეტის მოსაწევად დარბაზიდან უჩვეული სიხშირით გამოდიოდნენ. ფიფიას იდეას გარკვეული წინააღმდეგობა მოჰყვა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავაც** აღელვებული ჩანდა, მაგრამ საბოლოოდ, ვნებები დარბაზში დარჩა და პროფლიგის აღდგენაზე მაინც შეთანხმდნენ.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ გუნდების ბოლო შეხვედრაზე პროფლიგის აღდგენის წინააღმდეგ არავინ წასულა, მაგრამ მაინც ყველა გაჩერდა და შეთანხმდნენ, რომ ლიგის ნაცვლად, 2012/2013 წლების ჩემპიონატს ისევ ფეხბურთის ფედერაცია ჩაატარებს.



ზვიად სიჭინავა

ის მაინც არის წინგადადგმული ნაბიჯი, რომ პროფლიგის ნაცვლად კლუბების პრეზიდენტების საბჭო ჩამოყალიბდება და ამ ორგანოს სარეკომენდაციო უფლება ექნება, მაგრამ არა - გადამწყვეტი.

არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც ცვლილებები მოხდება უმაღლესი ლიგის სტრუქტურაში: ამიერიდან მას ლიგის დირექტორი უხელმძღვანელებს, რომელსაც ძალიან დიდი უფლებები მიენიჭება, რადგან უშუალოდ უთავკაცებს სამსაჯო და საშეჯიბრო განყოფილებებს, ურთიერთობა ექნება პრეზიდენტთა საბჭოსთან. ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე ფეხბურთის ფედერაცია ლიგის დირექტორს ვერ დანიშნავს. ანუ, გაეროს მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ეს იქნება ერთგვარი უშიშროების საბჭო, რომელსაც ვეტოს უფლება ექნება.

კლუბებისთვის ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ მთავრობისგან მორიგი მხარდაჭერა მიიღო და სავარაუდოდ, მომდევნო სეზონში უმაღლესი ლიგისა და თასის საპრიზო ფონდი მილიონიდან 2 მილიონ ლარამდე გაიზრდება. ამას გარდა, ფეხბურთის ფედერაცია მასშტაბურ სატელევიზიო პროექტს ამზადებს. ჩანაფიქრის მიხედვით, პროექტის განხორციელებაში ყველა ნაციონალური მაუწყებელი უნდა ჩაერთოს და ფართოდ გააშუქდეს ეროვნული ფეხბურთი, მატჩის წინა და შემდგომი მოვლენები.

შესაძლოა, პროფლიგა იმიტომ არ ჩამოყალიბდა, რომ ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელებას კლუბები დამოუკიდებლად ვერ მოახერხებდნენ. ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენელმა გვითხრა კიდეც, შესაძლოა, ლიგის აღდგენა ნაჩქარევი იყო, სისწრაფეს დინჯი გათვლა და დაფიქრება ვამჯობინეთ და მივხვდით, ამხელა საპრიზო ფონდს სახელმწიფო რომ გვთავაზობს, მასზე უარის თქმა გაუმართლებელი იქნებოდაო.

არც იმაშია რაიმე ცუდი, ჩემპიონატს ფედერაცია რომ ჩაატარებს, მაგრამ ეს ამხელა აჟიოტაჟი რატომ ატეხეს, თუ მის მასშტაბებს ვერ განვდებოდნენ?!

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



ალექსანდრე იაშვილი

# იაშვილის დებიუტი და ჰეთთრიქი

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ბინადარმა "ბოხუმმა" მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და პირველი საკონტროლო მატჩიც გამართა. **ალექსანდრე იაშვილისა** და **ნიკოლოზ გელაშვილის** გუნდი სამოყვარულო "ვილინგენს" გაეჯიბრა და 10:0 გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ იაშვილმა ახალი გუნდის შემადგენლობაში თავის სადებიუტო შეხვედრაში თავი ჰეთთრიქით გამოიჩინა, გელაშვილის ანგარიშზე კი ერთი გოლია.

ორივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იყო. იაშვილმა სრულად ითამაშა, ხოლო გელაშვილი შესვენებისას შეცვალეს.

ლევან ჯანეზაშვილი

სამზადისი

# ტორპედო სტიაუას დაუზავდა

ავსტრიაში შეკრებაზე მყოფმა ქუთაისის "ტორპედომ" მეორე საკონტროლო შეხვედრა რუმინეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსან ბუქარესტის „სტიაუასთან" ჩაატარა.

მატჩი რუმინელთა უპირატესობით დაიწყო. 32-ე წუთზე „ტორპედო" აშკარა გოლს გადაურჩა – რუმინელი თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ **ომარ მიგინეიშვილს** ვერც მან აჯობა და ვერც მისმა თანაგუნდელმა, რომლის დამატებაზეც "ტორპედოს" მეკარემ შესანიშნავი რეაქცია გამოავლინა.

რუმინელებმა მიზანს მაინც მიაღწიეს: **რაულ რუსესკუს** დარტყმის შემდეგ ბურთი ქუთაისელთა მცველს **ლექსო კვახაძეს** მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და მიგინეიშვილმა რეაგირება ვეღარ მოახერხა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდმა შემადგენლობა შეცვალა. რუმინელებმა კვლავ კარგად დაიწყეს. მაგრამ ტორპედოელები გამოცოცხლდნენ და კონტრშეტევების განხორციელება დაიწყეს.

55-ე წუთზე **გრიგოლ დოლიძის** შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი რუმინელთა მცველმა ხელით შეაჩერა, მაგრამ მთავარმა მსაჯმა 'სტიაუას" კარში პენალტი არ დანიშნა.

ქუთაისელებმა ანგარიში 58-ე წუთზე გაათანაბრა: **გიორგი გურულის** ფლანგური გადაცემის შემდეგ "სტიაუას" მეკარე შეცდა და ბურთი ხელიდან გაუვარდა, რითაც "ტორპედოს" გამოცდილმა თავდამსხმელმა **რევაზ გოცირიძემ** ისარგებლა.

78-ე წუთზე სახიფათოდ დაარტყა **გიორგი კუხიანიძემ**, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. 83-ე წუთზე კუხიანიძემ გოლის გატანის რეალური შანსი ხელიდან გაუშვა.

საბოლოოდ, მატჩი ფრედ დასრულდა – 1:1.

"ტორპედო": **მიგინეიშვილი - რიგვავა (იოსელიანი, 60), კვახაძე (გამეზარდაშვილი, 60), ზ. ჭელიძე (ფარულავა, 72), გ. გურული (შერგელაშვილი, 60) - გიგაური (დიღმელაშვილი, 46), ფირცხალავა (დოლიძე, 46), სიჭინავა (კუხიანიძე, 46), ვ. ბოლქვაძე (გ. დათუნაიშვილი, 46), ე. გრიგალაშვილი (საბანაძე, 46) - ტულუში (გოცირიძე, 46).**

ქუთაისელები შემდეგ საკონტროლო შეხვედრას 25 ივნისს დაბა გოინგში დონეცკის "შახტართან" გამართავენ. თამაში თბილისის დროით 18:00 საათზე დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი



რევაზ გოცირიძე

ინტერვიუ

# დავით მუჯირი: საჩემპიონო ოცნება ამიხდა!

## ქართველი ფეხბურთელები უკეთეს პირობებს იმსახურებენ

**"ზესტაფონი" ახალი სეზონისა და ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადება. საქართველოს ჩემპიონის შემადგენლობაში სრული დატვირთვით ვარჯიშობს დავით მუჯირიც. ვეტერანი შემტევი, რომელიც ყოველთვის საინტერესო მოსაუბრეა, "ლელოს" რესპონდენტია და სხვადასხვა აქტუალურ თემებზე საუბრობს.**



**- თუ გამართლდა შენი ის იმედები, რითაც "ზესტაფონში" მიხვედი?**

- შემიძლია ვთქვა, რომ აბსოლუტურად გამართლდა. საქართველოს ჩემპიონობა ძალიან მინდოდა და ამას 13-წლიანი პაუზის შემდეგ, უკვე "ზესტაფონის" შემადგენლობაში მივაღწიე. ეს ჩემი ჩანაფიქრის პირველი ეტაპი იყო, მეორე ეტაპი კი ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით თამაშია და იმედია, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად ამასაც შევძლებ. შემთხვევით ვისარგებლებ და "ზესტაფონსაც" და სხვა ქართულ კლუბებსაც ევროასპარეზზე ქართული ფეხბურთის პრესტიჟის ღირსეულად დაცვას ვუსურვებ, ასევე იმედს გამოვთქვამ, რომ ევროთასებს მიღმა დარჩენილი "დინამო" კრიზისს მალე დაძლევს.

> კარიერას "ზესტაფონის" ფეხბურთელის რანგში დავასრულებ.

**- ისე მოხდა, რომ გასულმა სეზონმა "ზესტაფონისთვის" ვერც უარყოფითი ემოციების გარეშე ჩაიარა.**

- ჩვენი უმთავრესი მიზანი ჩემპიონობა იყო და ამ ტიტულმა ყველა უსიამოვნება დაჩრდილა, მაგრამ, ბუნებრივია, ის უსიამოვნო ეპიზოდები, გასულმა სეზონმა რომ მოგვიტანა, დიდი ხანი არ დაგვავიწყდება. რაც საქართველოს თასის ფინალში მოხდა, ეს ქართული ფეხბურთის დიდი სირცხვილია. "ზესტაფონს" წარმატების მიღწევის ყოველგვარი შანსი მოესპო, "დილას" კი იმის საშუალება არ მიეცა, რომ ტიტულისთვის ნაღდ ბრძოლაში ეთამაშა. დარწმუნებული ვარ, ამას "დილას" ფეხბურთელებიც განიცდიან. რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატის აბსურდულ ფორმატს, ამაზე უკვე კომენტარიც ზედმეტია. შევდივარ "მეტალურგის" ფეხბურთელების მდგომარეობაში, რომლებმაც მძიმე ემოციური შოკი მიიღეს. არანაკლებ დათრგუნულები ჩვენც ვიყავით.

> ის უსიამოვნო ეპიზოდები, რაც გასულმა სეზონმა მოგვიტანა, დიდი ხანი არ დაგვავიწყდება

**- საჩემპიონო ტიტულის გარდა, რა შეგძინა "ზესტაფონში" გატარებულმა პერიოდმა?**

- მოხარული ვარ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე და არჩევანი "ზესტაფონის" სასარგებლოდ გავაკეთე. მქონდა როგორც უცხოური, ასევე სხვა ქართული კლუბების ვარიანტები. საქართველოში დაბრუნება მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, "ზესტაფონზე" კი არჩევანი, უპირველესად, სპორტული მოტივაციით შევაჩერე. მე საქართველოს საუკეთესო კლუბში ვთამაშობ, თანაც, ვფიქრობ, რომ ამ გუნდისთვის სასარგებლო ფეხბურთელი ვარ და ყოველივე ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

> შევდივარ "მეტალურგის" ფეხბურთელების მდგომარეობაში, რომლებმაც მძიმე ემოციური შოკი მიიღეს. არანაკლებ დათრგუნულები ჩვენც ვიყავით.

**- შესწევს "ზესტაფონს" რომელიმე ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპამდე მისვლის ძალა?**

- ამის შანსი ნამდვილად გვაქვს. ბიჭები საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი არიან და ყველანი ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ჯგუფურ ეტაპზე შევაბიჯოთ. "ზესტაფონი" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ გასული სეზონის განმავლობაში საკმაო გამოცდილება დააგროვა და აღარ უნდა განიცადოს ისეთი დასანანი მარცხი, როგორიც შარშან "შტურმთან" ინვნია.

**- ევროტურნირებზე განსაკუთრებული როლი უნდა ეკისრებოდეთ შენნაირ გამოცდილ ფეხბურთელებს...**

- ევროთასებზე თბილისის "დინამოსა" და უცხოური კლუბების შემადგენლობაში საკმაო რაოდენობის მატჩები ჩამიტარებია და გოლებიც მრავლად გამიტანია, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, მოახლოებული ევროსეზონი ყველაზე წარმატებული გამოდგეს ჩემს კარიერაში.

**- "ზესტაფონთან" კონტრაქტი მიმდინარე წლის ბოლოს გეწურება. რა გეგმები გაქვს ამის შემდეგ?**

- წლის ბოლოს საკუთარ მომავალზე კლუბის ხელმძღვანელობასა და სამწვრთნელო შტაბთან ერთად ვიმსჯელებ. თუ შევატყობ, რომ "ზესტაფონისთვის" სასარგებლო ფეხბურთელი ვარ, კონტრაქტს აუცილებლად გავახანგრძლივებ. მთავარია, სასურველ დონეზე ვითამაშო, თორემ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას არ ვჩქარობ.

**- რამდენიმე თვის წინ "ლელოსთან" ინტერვიუში თქვი, რომ "ზესტაფონი" შენს აქტიურ საფეხბურთო კარიერაში უკანასკნელი კლუბი იქნება...**

- დიახ, ეს მართლაც ასე მოხდება, კარიერას "ზესტაფონის" ფეხბურთელის რანგში დავასრულებ.

**- ალბათ, ისიც გადაწყვეტილი გექნება, რა საქმეს მოჰკიდებ ხელს ფეხბურთელობის შემდეგ.**

- 99 პროცენტის სიზუსტით შემიძლია ვთქვა, რომ ფეხბურთში აუცილებლად დავრჩები, ოღონდ ჯერ არ ვიცი, რა სტატუსით. ჩემი დიდი სურვილია, ქართულ ფეხბურთს ვემსახურო და იმედი მაქვს, ეს წარმატებით გამომივა. ერთ პროცენტს კი იმ შემთხვევისთვის ვიტოვებ, თუ ფეხბურთიდან ვინმემ გამაგდო (იცინის).

**- ბოლო დროს საქართველოს ჩემპიონატში ქართველი ლეგიონერების დაბრუნების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მათგან "ზესტაფონს" მხოლოდ მცირე ნაწილმა მიაშურეთ. ამას რით ახსნი?**

- ალბათ, ბევრი თბილისელისთვის მოუხერხებელია ზესტაფონში თამაში, შესაძლოა, მათ "დილა" და "დინამო" მეტს სთავაზობენ და ამ არჩევანისთვის ვერავის დავძრახავ, ჩემთვის კი, როგორც ვთქვი, სპორტული ფაქტორი გადამწყვეტია და გადაწყვეტილებაც ამის მიხედვით მივიღე.

**- საქართველოს ჩემპიონატის დონეში მცირე პროგრესს მაინც თუ ხედავ?**

- ქართული კლუბების უმეტესობას მატერიალურად არ ულხინს და ამის კვალობაზე კიდევ ნორმალური დონე გვაქვს, უკეთესი ჩემპიონატისთვის კი გაცილებით უკეთესი პირობებია საჭირო. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უმაღლესი ლიგის მატჩები ასეთ საშინელ სტადიონებზე არ უნდა იმართებოდეს – რა თქმა უნდა, ყველა მოედანს არ ვგულისხმობ, მაგრამ ბევრგან თამაში საერთოდ აკრძალული უნდა იყოს. ქართველი ფეხბურთელები უკეთეს პირობებს იმსახურებენ, ამის გამო დღეს თითქმის ყველა საზღვარგარეთ წასვლას ცდილობს.

**- საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელ ასპარეზობასა და პერსპექტივებზე რას იტყვი?**

- სამწუხაროა, რომ ისეთ პერიოდში, როგორიც სეზონის ბოლოა, საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. შედარებისთვის, ჩვენმა მეტოქე თურქეთმა დროის ამავე მონაკვეთში ხუთჯერ ითამაშა. მესმის, რომ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას სპარინგპარტნიორების მოძიების მეტი საშუალება აქვს, მაგრამ ჩვენს ფედერაციას მაინც მეტი აქტიურობა მართებდა – მით უმეტეს, ისეთ პერიოდში, როცა ფეხბურთელებსაც მეტი დრო აქვს და იმის საშუალებაცაა, რომ საქმეში რაც შეიძლება მეტი მოთამაშე ნახო.

- ბუნებრივია, საქართველოს ნაკრებს წარმატებას მთელი სულით და გულით ვუსურვებ. შვედეთის ნაკრებმა საფრანგეთის დამარცხებით გვიჩვენა, რომ გრანდებთან წარმატებით ბრძოლა შეიძლება და ჩვენ ჩვენი უნდა ვცადოთ.

**- ბოლოს ევროპის ჩემპიონატის შესახებაც გაგვიზიარე საკუთარი აზრი...**

- ევრო-2012 გადამწყვეტ ფაზაში შედის და, ვფიქრობ, ნეიტრალური გულშემატკივრის მოლოდინს აბსოლუტურად ამართლებს. ჩემი პროგნოზით, ფინალში ერთმანეთს კვლავ ესპანეთი და გერმანია შეხვდებიან, თუმცა არც სხვა გუნდების წარმატება გამიკვირდება.

ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ასეთ დიდ საფეხბურთო ფორუმებზე არა რომელიმე უცხო ქვეყნის, არამედ საქართველოს ნაკრების ქომაგობა მოგვიწევს. რა თქმა უნდა, იმის იმედი არ მაქვს, რომ ევრო-2020-ს ვუმასპინძლებთ. ამაზე უფრო რეალისტური ამოცანა ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური სპორტული პრინციპით მოიპოვოს.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

პორტრეტი



გიორგი ლორია

# მეკარე, რომელიც ქარიშხალამაც გამოანრთო

ᲗᲣ ადრე ლაპარაკი იყო იმაზე, საქართველოს მეკარე არ ჰყავს და იქნებ უცხოელის ნატურალიზაციით რამე ეშველოს ჩვენს ეროვნულ ნაკრებსო, ახლა სულ სხვა ვითარებაა, ჩვენს ეროვნულ გუნდს ორი დაახლოებით თანაბარი კლასის მეკარე ჰყავს: **ნუკრი რევიშვილი** და **გიორგი ლორია**, კიდევ **როინ კვასხვაძეც**...ანუ მეკარე სხვაგან მოსაძებნი აღარ არის.

ლორია კარგი ფიზიკური მონაცემების კიპერია, თითქმის ორი მეტრია სიმაღლეში და ამავე დროს საკმაოდ მოქნილია. ის "დინამო თბილისის" კარს მას მერე იცავს, რაც გუნდიდან **დიდიე ოვონო** წავიდა. ლორია "დინამოს" ერთ-ერთი ლიდერია, ამ გუნდში დაიწყო საფეხბურთო გზა და წინსვლას ის მიაყოლა, რომ უკვე ეროვნული ნაკრების წევრია.

წინა სეზონის მეორე ეტაპზე საქართველოში თურქული "კაისერისფორის" მთავარი მწვრთნელი **შოთა არველაძე** ჩამოვიდა, ლორიას ერთ თამაშს უყურა და თითქოს ტრანსფერს დაბრკოლება არ უნდა შექმნოდა, მაგრამ...

*"მართლა მსურდა უცხოეთში გადასვლა, თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ...ეს ტრანსფერი ალბათ აღარ გამოვა. იყო რუსეთში წასვლის ვარიანტიც, თუმცა ამ ეტაპზე სხვა ქვეყანაში გადასვლა გამოირიცხა. ამით საგანგაშო არაფერი მომხდარა, ისევ საქართველოს საუკეთესო კლუბის ფეხბურთელი ვარ, ასე ვფიქრობ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს წინა ჩემპიონატში "დინამო" მეოთხე ადგილზე გავიდა. ის სეზონი კი ჩაგვივარდა, მაგრამ გამოუსწორებელი არაფერია,"* – გვითხრა ლორიამ და, რა თქმა უნდა, იმ მიზეზზეც ვკითხეთ, რამაც საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდი წლეულს ევროტურნირის მიღმა დატოვა. *"ჩემი აზრით, მწვრთნელების ხშირმა ცვლამ გამოიწვია ასეთი წარუმატებლობა,"* – გვიპასუხა გიორგიმ.

2011-12 წლების სეზონისთვის "დინამო" ესპანელ **ალექს გარსიას** ჩააბარეს. სეზონი რომ გახურდა, გაჩნდა ხმებიც, გარსიას "დინამოშივე" ჰყავს ოპოზიცია და ესპანელს დილმის ბაზაზე დიდი ხნით არ უწერია ყოფნაო.

*"მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ "დინამო" მე-2 ადგილზე იყო და შესაბამისად ჩემპიონობის რეალური შანსიც გვქონდა. გარსიას გუნდში ყველაფერი დალაგებული ჰქონდა, ყველაფერი 100 პროცენტამდე ახლოს იყო. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გარსია "დინამოში" სულ რაღაც ერთი თვის მოსული იყო და კინაღამ ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე გავედით,"* – ასეთია "დინამოს" მეკარის პოზიცია.

ლორიასთან ისეთი უშუალო საუბარი გამოგვივიდა, რომ არც თუ სასიამოვნო თემაზეც ჩამოვუგდე სიტყვა. საშუასეზონო შეკრებაზე "დინამოს" ერთ-ერთი საკონტროლო მატჩის ინტერნეტტრანსლაცია ნახეს და თქვეს, "დინამოს" ფეხბურთელები ერთმანეთს ლანძღავდნენო, განსაკუთრებით ლეგიონერების მისამართით ისმოდა ცუდი სიტყვებიო. ფაქტია, გარსია სწორედ მაშინ გაუშვეს გუნდიდან, როცა "დინამო" იმ უცხოურ შეკრებაზე იყო. გარედან ისე ჩანდა, რომ გარსია "დინამოში" სიტუაციას ველარ აკონტროლებდა...

*"ვინც ამას ამბობს, ეტყობა არასწორად გაიგო, სინამდვილეში რაც ხდებოდა. თამაშზე დაახლოებით 500 ქართველი გულშემატკივარი მოვიდა და ვინ რა წამოიძახა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ფაქტია, რომ "დინამო" მაშინაც ერთი ოჯახი იყო და გუნდელები ერთმანეთშიც ისე ვმეგობრობდით, როგორც ლეგიონერებთან. არანაირი დაძაბული ურთიერთობა არ ყოფილა".*

ლორია 26 წლისაა, ნაკრების რეგულარული წევრია, ასეთ ფეხბურთელს კი ძალაუნებურად უცხოეთისკენ მიუწევს გული. საქართველოში დიდი ხნით გაჩერება სასარგებლო ვერ იქნება, ყველაფერს თავისი დრო აქვს და ზოგჯერ ისეც ხდება, ფეხბურთელი, ასე ვთქვათ, ჩემოდნებზე რომ ზის.

*"ჩემი სურვილია, უფრო მაღალ დონზე რომ გამოვცადო თავი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემოდნებზე ვზივარ, უბრალოდ, მაქვს საკუთარი თავის იმედი".*

ქართველ მეკარეებს ადრე კარგი რეკლამა მართლაც არ ჰქონდათ და მათთვის ძნელი იყო უცხოეთში წასვლა. იყო ერთი-ორი გამონაკლისი, თუმცა იყო ისეთი პერიოდიც, ჩვენებური მეკარე არავის რომ არ უნდოდა.

*"აკაკი დევაძე, გიორგი ლომაია, ნიკა ჩხეიძე, გოჩა ჟორჟოლიანი... მათ უცხოეთში საკმაოდ ნორმალურად ითამაშეს და ქართველ მეკარეებს კარგი სახელი შეუქმნეს. ნუკრი რევიშვილი ახლა რუსეთის პრემიერლიგაში თამაშობს და ეს პატარა საქმე ნამდვილად არ არის."*

წინა სეზონის მეორე ნახევარში, ერთი-ორ მატჩში ლორია უწინდელივით დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა. შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყო, რომ უცხოეთში წასვლის რეალური ვარიანტი ჰქონდა და თამაშის დროს კონცენტრაცია უჭირდა...

*"იყო ასეთი მომენტი, ოღონდაც მიზეზებს რაც შეეხება, ვფიქრობ, სეზონის განმავლობაში ერთი-ორი თამაში თითქმის ყველა ფეხბურთელს ჩაუგდია. ფეხბურთელის თამაში მთელი სეზონის მიხედვით უნდა ფასდებოდეს და არა თითოოროლა მატჩით".*

გასულ სეზონში ლორიას გარდა არაერთმა მეკარემ გამოიჩინა თავი, მაგალითად, ქუთაისის "ტორპედოს" **ომარ მიგინეიშვილმა** და ზოგის აზრით, სწორედ ის იყო სეზონის საუკეთესო კიპერი. ლორიამ კი გვითხრა, ასეთი საკითხები ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების გასარჩევი უფროა, ვიდრე ფეხბურთელებისო.

წარმატება არაერთ ფაქტორს მოაქვს, ლორიაც უკვე წარმატებული ფეხბურთელია და ვკითხეთ, თუ პირველ რიგში რამ განაპირობა მისი წინსვლა.

*"რასაც მივაღწიე, ამას პირველ რიგში ღმერთს ვუმადლი. ძალიან დამეხმარა მამაჩემი, რვა წლის რომ გავხდი და ფეხბურთის თამაში დავიწყე, მას შემდეგ სულ გვერდში მიდგას. მთელი ოჯახი, მეუღლე, მეგობრები –ისინი მეხმარებიან, რომ უფრო ძლიერი გავხდე, ვიდრე ვარ".*

ლორიას ნაკრებზეც ველაპარაკეთ. საქართველოს ეროვნულ გუნდის ავანჩავანზე საუბარი რთულია, თუმცა ცხოვრება გრძელდება და ფეხბურთელებსაც ის მართებთ, რომ კონკურენციას გაუძლონ.

*"რაც თემურ ქეცბაია მოვიდა ნაკრებში, სულ მიწვევს გუნდში, მისი მადლობელი ვარ. ნაკრებში მართლაც ჯანსაღი კონკურენციაა. ჯერ მთელი სეზონის განმავლობაში, მერე ნაკრების ვარჯიშებსა და თამაშებზე უნდა დაამტკიცო, რომ ასეთი ნდობის ღირსი ხარ".*

დინამოელთა კარის დარაჯს ისიც ვკითხე, საკუთარ ნაკლად რას მიიჩნევ-მეთქი და ასეთი პასუხი მივიღე:

*"ადრე ფეხით თამაში იყო ჩემი ნაკლი და გადავწყვიტე, რომ ამის გამოსასწორებლად მინი-ფეხბურთის თამაში დამეწყო. რა თქმა უნდა, ამ კომპონენტის დახვეწაზე "დინამოშიც" ვმუშაობდი მეკარეების მწვრთნელ გელა ჭანტურიას მეთვალყურეობით, მაგრამ ვატყობდი, რომ დამატებითი ვარჯიშიც მჭირდებოდა. მეგობრებთან ერთად "ქარიშხალას" დარბაზში დავიწყე მინი-ფეხბურთის თამაში და ამან შედეგიც მომიტანა – ფეხით თამაში გავაუმჯობესე".*

ფაქტია, ლორია კარში კარგად დგას, მაგრამ ცხოვრება ამით არ იწყება და არ მთავრდება. ძირითადი პროფესიის გარდა ალბათ ყველას აქვს რაღაც, რისი კეთებაც კარგად შეუძლია.

*"მეკარეობის გარდა კიდევ მინი-ფეხბურთის თამაში შემიძლია კარგად, ოღონდაც არა მეკარედ – ასეთ დროს უკვე თავდამსხმელად მიყვარს ყოფნა".*

დაბოლოს, ლორიას იმაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა, რაც ახლა უკრაინისა და პოლონეთის სტადიონებზე ხდება.

*"იტალიის ნაკრებს ვგულშემატკივრობ და ძალიან მინდა, რომ ეს გუნდი გახდეს ევროპის ჩემპიონი. მომეწონა რუსეთის ნაკრები და გული დამწყდა, ნაადრევად რომ გამოეთიშა ტურნირს. ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი? როგორ გითხრათ, როცა ამ ჩემპიონატს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს."*

**დავით თავართქილაძე**



შოთა არველაძე

## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# აიაქსი - ოცნების ახდენა

გაგრძელება. დასაწყისი:
**ლელო №110(13716)**

ახალი სეზონისთვის „აიაქსმა" რამდენიმე ფეხბურთელი შეიძინა: იტალიური „ინტერიდან" — **აარონ ვინტერი**, „ჩელსიდან" — **ბრაიან ლაუდრუპი**, „შტუტგარტიდან" — **ფრენკ ფერლაატი**. წლის მთავარი შენაძენი კი, ოქროს ბუცის მფლობელი, **ნიკოს მახლასი** გახლდათ. ჩემდა სამწუხაროდ, **გიომ** „აიაქსი" დატოვა!..

ვარჯიშებზე ვატყობდი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. **პიმ ვან დოტის** რჩევით, ექიმ **ვან დაიკთან** მივედი და ოპერაცია გავიკეთე. ყველაფერმა საკმაოდ კარგად ჩაიარა. ოპერაციის შემდეგ, ექიმთან საუბრისას გაირკვა, რომ გამოსაჯანმრთელებლად ექვსი-შვიდი კვირა დამჭირდებოდა. სამწუხაროდ, ეს პროგნოზი არ გამართლდა და ტკივილები კიდევ დიდხანს გამიგრძელდა. „აიაქსს" ეს სეზონიც ჩაუვარდა. მახლასმა, რომელზეც ყველა დიდ იმედებს ამყარებდა, მძიმე ტრავმა მიიღო და ჩემსავით თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. „აიაქსი", თავის 100 წლის საიუბილეო მატჩზე, საკუთარ მინდორზე „ტვენტესთან" დამარცხდა, უეფასაც ნაადრევად გამოეთიშა და ჩემპიონობის არავითარი შანსი აღარ ჰქონდა. ამას **ვოუტერსის** განთავისუფლება მოჰყვა და მის მაგივრად, დროებით, **ვესტერფელდი** დაინიშნა.

ისეთი განადგურებული ვიყავი, არ მეგონა, თუ ოდესმე კიდევ ვითამაშებდი. „აიაქსის" ექიმები და განსაკუთრებით ამ ოცმა წუთმა გამამხნევა, რწმენა მომცა, რომ კიდევ ვითამაშებდი, და ძალების მოკრება შევძელი. შემდეგ მატჩში, — „აზეტთან" ორი გოლი გავიტანე! 4:1-ით გავიმარჯვეთ და მეც, რომ იტყვიან, დიდი ფსიქოლოგიური სირთულე გადავლახე. დანარჩენი უკვე დროის ამბავი იყო. ფიზიკურად მომძლავრება და ფორმაში შესვლა, რისთვისაც შრომა და ვარჯიშია საჭირო, ერთი სიამოვნებაა... დარჩენილი თამაშები მეტი ენთუზიაზმით ჩავატარე.

როგორც ყოველი სეზონის დასრულების შემდეგ, „აიაქსმა" არც ამჯერად დაარღვია ტრადიცია და კომერციული ტურნე ჩინეთში ჩაატარა.

ჩინეთი დიდი ტრადიციებისა და უძველესი კულტურის ქვეყანაა, მაგრამ ცოტა ხანია რაც ფეხბურთს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი, თუმცა გარკვეულ შედეგებს უკვე მიაღწიეს. „აიაქსს" ჩინეთში ორი საკონტროლო თამაში და სულ რამდენიმე ვარჯიში ჰქონდა ჩასატარებელი. ამ ვარჯიშებზე ფეხმა მთლიანად გამიშვა, ტკივილი თითქოს სადღაც გაქრა... ვარჯიშებზე ლაღად და დიდი მონდომებით მივდიოდი. ბევრს უკვირდა, რადგან სეზონი დამთავრებული იყო და ვარჯიში ყველას ეზარებოდა. პირველ მატჩზე პეკინის ეროვნული სტადიონი, რომელიც ასი ათას კაცს იტევს, სანახევროდ გაივსო და თამაში ფრედ — 1:1 დამთავრდა. ეს ამხანაგური თამაში იყო. მატჩის შემდეგ პენალტებიც დავარტყით და გავიმარჯვეთ. მეორე მატჩი ქალაქ ჩონ-ცინში გაიმართა, გვითხრეს, „პატარა ქალაქია", სულ რაღაც შვიდი მილიონი ცხოვრობს...



შოთა არველაძე

ფოტო წიგნიდან „გუშინ"

პიმი, ყველაფერს აკეთებდა, ყოველ დღე მამხნევებდა და მარწმუნებდა, რომ აუცილებლად ვითამაშებდი. ერთ მშვენიერ დღეს ვესტერფელდმა სასაუბროდ თავისთან მიხმო. გამომკითხა, როგორ ვგრძნობდი თავს და მირჩია, რამდენიმე წუთი მეთამაშა, მითხრა, თამაში სტიმულს მოგცემსო. სტადიონი, მინდორი, მაყურებელი, ყველა ერთად დაგეხმარებაო. მასთან ლაპარაკის შემდეგ გადაწყდა, რომ მომდევნო მატჩში სათადარიგოთა სკამზე დავჯდებოდი. სახლში მოსულმა მაშინვე **კიჭას** დავურეკე და ვახარე. მეორე დღესვე ბილეთი აიღო და ამსტერდამში გადმოფრინდა. ამ დღეს დიდხანს ელოდა, ვერ მოვითმენდი, რომ არ ჩამოვსულიყავიო.

თამაშის წინა ღამეს ტელევიზორს ვუყურებდი, **რუდ ვან ნისტელროოიმ** ვარჯიშზე ჯვარედინა იოგი გაიწყვიტაო, მერე **რონალდოს** ეპიზოდი აჩვენეს, „იუვენტუსთან" რომ საშინელი ტრავმა მიიღო... გადავირიე, ვიფიქრე, ღმერთი რამე ნიშანს ხომ არ მაძლევს, ხომ არ ვჩქარობ-მეთქი... თუმცა ღამე მშვიდად მეძინა და სათამაშოდაც გავემზადე. ვესტერფელდმა ოცი წუთი მათამაშა. არენამ კარგად მიმიღო და მეც სახლში უზომოდ ბედნიერი დავბრუნდი.

სო... სტადიონი გაივსო, პირველი ტაიმის შემდეგ 2:0-ს ვიგებდით, როცა ჩვენს სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა. **რიჩარდ ვიჩგემ** და **დანიმ** გადაწყვიტეს, ორიგინალურად დაერტყათ, ამიტომ პენალტი გაითამაშეს, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეს. ამის შემდეგ ჩინელებმა სამი გოლი გაგვიტანეს და 3:2-ით დავმარცხდით. მატჩის შემდეგ ვესტერფელდმა რიჩარდს ჰკითხა, — რატომ მოგინდა ასე ორიგინალურად პენალტის შესრულებაო, რაზეც მან უპასუხა, — ერთი მილიარდი ადამიანი მიყურებდა და მინდოდა, თავი რაიმეთი გამომეჩინა, ჩვეულებრივი პენალტი ხომ არავის უკვირსო. ჩინეთის შემდეგ თბილისში დავბრუნდი და შვებულება ჩვეულებისამებრ გავატარე.

ვიცოდი, რომ ორწლიანი ჩავარდნის შემდეგ „აიაქსს" წარმატებული სეზონი უნდა ჩაეტარებინა. ამისთვის კლუბის ხელმძღვანელობა ყველა ზომას ხმარობდა. პირველი, რაც გაკეთდა, „აიაქსში" გამოცდილი მწვრთნელი, — **კო ადრიანსე** მოიყვანეს, რომელიც თავისი დისციპლინით გამოირჩეოდა. ბევრი მას ხასიათით **ლუის ვან გაალსაც** კი ადარებდა. მოკლედ, ყველანი დიდი მონდომებით შევხვდით ახალ სეზონს.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

21.06. ვარშავა. ეროვნული
22:45

| ჩეხეთი | პორტუგალია |
|---|---|
| **სავარაუდო შემადგენლობები** | |
| ჩეხი | რუი პატრისიო |
| გებრე სელასიე | ჟოაო პერეირა |
| სივოკი | ბრუნო ალვეში |
| კადლეცი | პეპე |
| ლიმბერსკი | ფ. კოენტრაო |
| იერაჩეკი | მეირელეში |
| ჰუბშმანი | ველოზო |
| პლაშილი | მოუტინიო |
| კოლარი | ნანი |
| პილარი | რონალდო |
| ბაროში | პოსტიგა |
| **ტრავმა** | |
| როსიცკი (?) | არავინ |
| **დისკვალიფიკაცია** | |
| არავინ | |
| **მსაჯი** | |
| ჰოვარდ უები (ინგლისი | |

### ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

**ჩეხეთი**

| | | |
|---|---|---|
| ჩეხეთი | VS რუსეთი | 1:4 |
| | VS საბერძნეთი | 2:1 |
| | VS პოლონეთი | 1:0 |

**მეკარე:** *პეტრ ჩეხი (3 თამაში)*
**მცველები:** *თეოდორ გებრე სელასიე (3), მიხალ კადლეცი (3), ტომაშ სივოკი (3), დავიდ ლიმბერსკი (2), ფრანტიშეკ რაიტორალი (2), რომან ჰუბნიკი (1).*
**ნახევარმცველები:** *იაროსლავ პლაშილი (3), ვაცლავ პილარი (3, 2 გოლი), პეტრ იერაჩეკი (3, 2), იან რეზეკი (2), ტომაშ როსიცკი (2), დანიელ კოლარი (2), მილან პეტრჟელა (1).*
**თავდამსხმელები:** *მილან ბაროში (3), ტომაშ პეხარტი (2), დავიდ ლაფატა (1).*

**პორტუგალია**

| | | |
|---|---|---|
| პორტუგალია | VS გერმანია | 0:1 |
| | VS დანია | 3:2 |
| | VS ჰოლანდია | 2:1 |

**მეკარე:** რუი პატრისიო (3 თამაში)
**მცველები:** პეპე (3, 1 გოლი), ბრუნო ალვეში (3), ფაბიო კოენტრაო (3), ჟოაო პერეირა (3), როლანდო (2)).
**ნახევარმცველები:** მიგელ ველოზო (3), ჟოაო მოუტინიო (3), რაულ მეირელეში (3), ნანი (3), კუშტოდიო (1).
**თავდამსხმელები:** კრიშტიანო რონალდო (3, 2), ელდერ პოშტიგა (3, 1), ნელსონ ოლივეირა (3), სილვესტრე ვარელა (2, 1).

**ურთიერთშეხვედრები**

**11 თამაში**

**4 პორტუგალია, 4 ჩეხეთი, 3 ფრე, 12-9 (ჩეხ)**

**ბოლო დაპირისპირება**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.06. 2008 | ჩეხეთი-პორტუგალია | 1:3 | ევრო 2008 |

* ევრო 1996-ზეც ეს ორი გუნდი მეოთხედფინალში დაუპირისპირდა ერთმანეთს. მაშინ კარელ პობორსკის ცნობილი გოლის წყალობით ჩეხეთმა იმარჯვა.

* ევრო 2008-ზე უკვე პორტუგალიის ნაკრებმა იმარჯვა. ჟენევაში გოლები დეკუმ, რონალდომ და კვარეშმამ გაიტანეს, ჩეხების მხრიდან - სიონკომ. მაშინდელი მატჩის მონაწილეთაგან ჩეხთა შემადგენლობაში ისევ არიან: ჩეხი, პლაშილი და ბაროში. პორტუგალიიდან: პეპე, მოუტინიო, რონალდო, კვარეშმა და ალმეიდა.

* პორტუგალია და ჩეხოსლოვაკია ერთმანეთს 9-ჯერ დაუპირისპირდა: 3-3 ფრე, მოგება და წაგება, 10-6 ბურთების სხვაობა სლავების სასარგებლოდ.

# ისტორიამ გამეორება იცის

## ნაროდაკი სელეშაუს წინააღმდეგ

დღეს პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა ევრო 2012-ის ახალ, გადამწყვეტ ეტაპს იწყებს - დასაფერთხი დაიფერთხა და ახლა სტარტს იღებს ნამდვილი ბრძოლა ტიტულისთვის. კანდიდატი რვაა, ამათგან ერთი გუნდი "ბებერი კონტინენტის" ჩემპიონი გახდება. პირველები საქმეში A ჯგუფის მოულოდნელი გამარჯვებულები ჩეხები და B ჯგუფის მეორეადგილოსანი პორტუგალიელები არიან. პირველებმა ყველა გააოცეს, როცა ჯგუფიდან ბურთების უარყოფითი ბალანსით პირველ ადგილზე გააღწიეს, მეორენი კი "სიკვდილის ჯგუფში" მოხვდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად ორი გამარჯვება იზეიმეს. მაშ ასე, კრიშტიანო რონალდო და კომპანია მიხალ ბილეკის შეგირდების წინააღმდეგ. ვინ ვის, ვარშავის ეროვნული სტადიონი გამოაჩენს.

**პრესკონფერენცია**

### მიხალ ბილეკი



ჩვენ ვიცით, რომ პორტუგალიელთა ნაკრები კომპაქტური და დაბალანსებულია. რონალდო საშიშია, მაგრამ ეს ერთადერთი საფრთხე არაა მეტოქის ბანაკიდან. ჩვენ მხოლოდ მის წინააღმდეგ სათამაშოდ არ ვემზადებით. თუ მოგება გვსურს, 11 პორტუგალიელს უნდა ვაჯობოთ. ევრო 96-ის სიტუაციას მართლაც ჰგავს დღევანდელი და, სულ არ ვიქნები წინააღმდეგი, თუკი ისტორია გამეორდება. ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა.

### პაულუ ბენტუ



ამ თამაშისთვის ძალიან კარგად ვართ მომზადებულნი. ჩვენ უკვე კარგა ხანია ვირწმუნეთ საკუთარი ძალების. პორტუგალიის ნაკრები უკვე მომწიფდა დიდი მიზნების მისაღწევად. ფეხბურთელებმა უკვე კარგად იციან, რა უნდა გააკეთონ მოედანზე, რას ვითხოვ მათგან. მათ კარგად იციან მოწინააღდეგის ფასი. ჩეხებს ერთი უპირატესობა ჰქონდათ - ერთი დღით მეტი დაისვენეს. ფიზიკურად კარგად ვართ მზად. არ გვეშინია, რომ ეს ერთი დღე საბოლოო შედეგზე მნიშვნელობას იქონიებს.

### ზედიზედ მექვსედ, იგივენი

ამბობენ, რომ ეს თანაბარძალოვანი წყვილია, პორტუგალიელთა მცირე უპირატესობას კი **კრიშტიანო რონალდო** ჰქვია. ის ჟურნალისტები, რომლებიც პოლონურ ოპალენსიაში დაბანაკებული "სელეშაუს" ვარჯიშებს აშუქებენ, ერთხმად აღნიშნავენ - ჰოლანდიასთან რონის გიჟურმა თამაშმა თითქოს ფრთები შეასხა მის თანაგუნდელებს. ვარჯიშები გაცილებით ხალისიანი გახდა. ასეა, როცა ლიდერი თავის მოვალეობებს ასრულებს. კრიშტიანოს კი საამისოდ 2-ტურიანი გახურება დასჭირდა.

**პაულუ ბენტუ** ის კაცია, რომელმაც ბოლო 5 შეხვედრაში ერთი და იგივე 11-ეული დააყენა და შემადგენლობის შეცვლას ისევ არ აპირებს. სხვათა შორის, გუშინ ვარშავის სტადიონზე ვარჯიში გააუქმა პაულუ ბენტუმ, ცოტა ხანში ცნობილი გახდა, რომ იგივე **მიხალ ბილეკმა** გააკეთა - ორივე ნაკრები მოედნის საფარს უფრთხილდება.

### პანენკას მემკვიდრენი

ზუსტად 36 წლის წინათ, ევრო 1976-ზე ჩეხთა ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი 11-მეტრიანის ნიშნულიდან გავიდა - ბელგრადში ეს საოცრად გააკეთა **ანტონინ პანენკამ**. გუშინ პანენკას "მემკვიდრენი" დილიდან პენალტების სერიაში ვარჯიშობდნენ. რა იცი, როდის გამოადგებათ, ძირითადი და დამატებითი ტაიმები თუ ფრედ დასრულდა, საქმე ხომ პენალტების სერიაზე მიდგება, რომელშიც ჩეხები ტრადიციულად ძლიერები არიან, რასაც ვერ ვიტყვით პორტუგალიელებზე.

ბილეკის თავსატეხი მისი კაპიტანი **ტომაშ როსიცკია**. როსიცკი ტრავმირებული იყო, ის სამშობლოშიც გადაფრინდა და უკან დაბრუნდა, თუმცა გუშინ პრესკონფერენციაზეც კი იყო. შეძლებს თუ არა თამაშს როსიცკი და თუ შეძლებს, დააყენებს კი სასტარტოში ბილეკი მას? საქმე იმაშია, რომ როსიცკის გარეშე გუნდმა უკეთ ითამაშა. საოცარია, მაგრამ როსიცკი მწვრთნელისთვის ორივე შემთხვევაში თავსატეხია.

**მთავარი დუელი**

### რონალდო VS გებრე სელასიე

როცა გუნდების წარდგენებს ვაკეთებდით, ჩეხთა მხრიდან ვარსკვლავად დავასახელეთ, არა ტომაშ როსიცკი ან **მილან ბაროში**, არამედ მარჯვენა მცველი **თეოდორ გებრე სელასიე**. და "სლოვანის" 25 წლის ფეხბურთელმაც იმედები გაგვიმართლა - ის მართლაც გამორჩეულია და თავის, მარჯვენა ფრთაზე დაქრის. გებრე სელასიეს ექიმი ეთიოპიელი მამა და ჩეხი დედა ჰყავდა, ის ჩეხეთშია დაბადებული.

და აი, კარიერის უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება ელის, ცნობილია, რომ სწორედ მარცხენა ფლანგიდან უყვარს შეტევა კრიშტიანო რონალდოს. მაშ ასე, ჩვენი მთავარი დუელი 27 წლის მადეირელსა და ტურნირის ერთ-ერთ აღმოჩენას შორის შედგება. ჩვენი პროგნოზი ასეთია - გებრე სელასიემ ფლანგზე ნავარდი უნდა დაივიწყოს და რონალდოს განეიტრალებაზე იფიქროს, რაც ძალიან გაუჭირდება, თუ რონიმ ისევე ითამაშა, როგორც ჰოლანდიასთან.



### იცით თუ არა, რომ...

* **პეტრ იერაჩეკის** გოლი საბერძნეთის ნაკრების კარში ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში მესამეა სისწრაფით. იერაჩეკმა 2 წუთისა და 14 წამის შემდეგ გაიტანა.

* ჩეხეთის გუნდმა ევრო 96-ზეც ჯგუფიდან ბურთების უარყოფითი ბალანსით გააღწია. მაშინ "ნაროდაკმა" ნახევარფინალს უწია... პორტუგალიის დამარცხებით.

* კრიშტიანო რონალდოს უკვე 34 გოლი აქვს ეროვნულ ნაკრებში, ჰოლანდიასთან დუბლით მან **ლუიშ ფიგუ** ჩამოიტოვა და ნაკრების ისტორიაში მესამე ადგილზე გადავიდა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ფოტო ევრო 96-დან: კარელ პობორსკი ჟოაო პინტუს წინააღმდეგ

# ევრო 2012

## პიტერ შმეიხელი გერმანელებს ირჩევს


პიტერ შმეიხელი ჰუმელსსა და ნოიერს აქებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული დანიელი მეკარე, 48 წლის **პიტერ შმეიხელი** კლუბის სკაუტებსა და მენეჯერებს მოუწოდებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გერმანიის ნაკრებისა და "დორტმუნდის" ცენტრალურ მცველს, 23 წლის **მატს ჰუმელსს**. ის ასევე აღიარებს, რომ ნება რომ ჰქონდეს, "ოლდ ტრეფორზე" მეორე გერმანელსაც სიამოვნებით გადაიბირებდა, ლაპარაკია "ბაიერნის" მეკარე **მანუელ ნოიერზე**. აი, რას თქვა მან გერმანულ SPORT1-თან ინტერვიუში: *"ჰუმელსი დიდებულია. დიახ, მსმენია, რომ "იუნაიტედი" მისით დაინტერესებულია და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ გუნდს ის შესანიშნავად მოერგებოდა. იმედგაცრუებული დავრჩი, როცა შარშან გუნდმა ვერ მოახერხა მანუელ ნოიერის გადაბირება, რადგან მას აქვს ყველა საჭირო თვისება, რათა მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერად იქცეს. მანუ ფიზიკურად ძალიან ძლიერი და ამასთან ძალიან მოხერხებულია. "იუნაიტედის" მეკარეებს მე რომ ვარჩევდე, მას დაუფიქრებლად დავადებდი ხელს. ცუდია, რომ კლუბში სხვაგვარად გადაწყვიტეს".*

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ "მანჩესტერ იუნაიტედში" სერიოზულად განიცდიან, რომ **ლუიშ ნანისთან** ახალ ხელშეკრულებაზე შეთანხმება ვერ ხერხდება, თუმცა მისი სახელფასო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მაინც უარს აცხადებენ. მომავალ კარიერაზე არანაკლებ ნერვიულობს თავად ფეხბურთელიც. მხარეებს ამ ეტაპზე ფორს ნაჟორში მუშაობა არ უწევთ, რადგან პორტუგალიელს კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს. ფეხბურთელი ამბობს: *"იუნაიტედში" ბედნიერი ვარ, მაგრამ რა იქნება მომავალში ჯერ კიდევ არ ვიცი. ზაფხულზე ჩემით დაინტერესებული კლუბების წინადადებებს აუცილებლად გავეცნობი, თუმცა პრიორიტეტს მაინც "მანჩესტერს" მივანიჭებ".* "ეშმაკებმა" კი, როგორც ჩანს, **ჯეიმს როდრიგესის** სახით ნანის შემცვლელი უკვე მონახეს. თუკი კოლუმბიელის გადაბირება მოხერხდება, ნანის ტურინის "იუვენტუსს" დაუფიქრებლად დაუთმობენ. ახალგაზრდა სამხრეთამერიკელი მანკუნიანელთა ინტერესის გამო აღფრთოვანებულია. *"მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშის პერსპექტივაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი. თუკი ამის შანსი მომეცემა, ბედნიერი ვიქნები,"* – აცხადებს ის. პრემიერლიგის მრავალგზის ჩემპიონთა მხრიდან სერიოზულ ინტერესს ადასტურებს როდრიგესის აგენტი **სილვიო სანდრიც**.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ბლოხინი: ამ საქმეს ასე არ დავტოვებ

### შევჩენკო და ვორონინი ნაკრებს დაემშვიდობნენ


ანდრეი ვორონინი და ანდრიი შევჩენკო

უკრაინის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ბარიერი ვერ გადალახა და გზა ინგლისელებს დაუთმო. არადა, ბრიტანელებთან ჯახი მასპინძლებმა საკმაოდ აქტიურად დაიწყეს, მომენტებიც უხვად ჰქონდათ და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი 100%-იანი გოლი არ ჩაუთვალეს. მოკლედ, უკრაინა გავარდა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ **ოლეგ ბლოხინის** შეგირდებმა თავი შეირცხვინეს – მეორე საქმეა, რომ სლავებს მაღალი კლასის ფეხბურთელთა დეფიციტი აქვთ და კონტინენტის პირველობაზე ეს ნათლად გამოჩნდა. ევროპის ჩემპიონატთან ერთად, უკრაინის ნაკრებს ორი ვეტერანი ფეხბურთელი: **ანდრეი შევჩენკო** და **ანდრეი ვორონინი** გამოეთხოვნენ და სწორედ მათ გადავცეთ სიტყვა...

**ანდრიი შევჩენკო:** *"სამწუხაროდ, იმ ასაკში აღარ ვარ, რომ ეროვნულ ნაკრებს დიდი სარგებელი მოვუტანო – ამიტომ, გზას ახალგაზრდებს ვუთმობ. დღეიდან, უკრაინის ნაკრების რიგითი გულშემატკივარი ვხდები. ეს იყო ჩემი ბოლო ოფიციალური მატჩი ეროვნული გუნდის შემადგენლობაში, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ერთი ამხანაგური, გამოსათხოვარი თამაში კიდევ ჩავატარო. უკრაინის ნაკრებს ძალიან კარგი თაობა ეზრდება, რომლებმაც ამ ჩემპიონატზე უდიდესი გამოცდილება მიიღეს – იარმოლენკო, გარმაში, კონოპლიანკა, რაკიცკი და სხვები, თავის სიტყვას კიდევ იტყვიან და დარწმუნებული ვარ, რომ არაერთხელ გაგვახარებენ. დიდი მადლობა ყველას, ვინც მთელი ამ წლების განმავლობაში გვერდზე გვედგა – მადლობა ყველას, ვისაც ჩემმა წასვლამ გული დაწყვიტა".*

**ანდრეი ვორონინი:** *"ძალიან გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო – სანაკრებო კარიერას ვასრულებ და ვეცდები, მთელი კონცენტრაცია კლუბზე მოვახდინო. ასაკი არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ ყველა ფრონტზე ვიასპარეზო. იძულებული გავხდი, მძიმე გადაწყვეტილება მიმეღო. დარწმუნებული ვარ, უკრაინის ნაკრებს ძალიან კარგი მომავალი აქვს, რადგან შესანიშნავი ახალგაზრდები მოდიან".*

### დევიჩის სინანული

უკრაინა-ინგლისის მატჩის ერთმა ეპიზოდმა ძალიან დიდი რეზონანსი გამოიწვია – **მარკო დევიჩმა** ბრიტანელთა კარში გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯებმა ვერ დაინახეს, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა და ანგარიში უცვლელი დატოვეს; იმ მომენტში, ინგლისელები 1:0-ს იგებდნენ და ანგარიში რომ გათანაბრებულიყო, თამაშის დასკვნითი ნაწილი უკიდურესად დაძაბული იქნებოდა. მოკლედ, არბიტრებს უკრაინა "შემოეჩაგრათ" და ბუნებრივია, რომ ამან სლავთა დიდი აღშფოთება გამოიწვია – ამ თემაზე კომენტარები უკრაინელთა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ ბლოხინმა** და არჩათვლილი გოლის ავტორმა მარკო დევიჩმა გააკეთეს...

**ოლეგ ბლოხინი:** *"ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება – ევროპის ჩემპიონატისთვის ორი წელი ვემზადებოდით, თავი არ დაგვიზოგავს და არ შეიძლება, რომ მსაჯის შეცდომის გამო, ყველაფერი წყალში ჩაიყაროს. ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს მოსაგებად და მათ მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს. მადლობა გულშემატკივრებს, რომლებიც მთელ ამ პერიოდში მხურვალედ გვქომაგობდნენ".*

**მარკო დევიჩი:** *"სიმართლე გითხრათ, იმ ეპიზოდში ზუსტად ვერ დავინახე გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი, გამეორებაზე კი ნათლად გამოჩნდა, რომ გოლი იყო. ძალიან დამწყდა გული, რადგან ინგლისის კარში გოლს ყოველ დღე ვერ გაიტან, თანაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. რა მითხრეს თვითონ ინგლისელებმა? – ამ საკითხზე მათთან ნამდვილად არ მისაუბრია, რადგან ამას უკვე არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. მსაჯები შეცდნენ და სამწუხაროდ, ამ ყველაფერს ჩვენი ინტერესები შეეწირა. დარწმუნებული ვარ, 1:1-ის შემდეგ, კიდევ უფრო აქტიურად შევუტევდით და იქნებ, მეორეც შეგვეგდო. რას ვიზამთ, რაც მოხდა, მოხდა".*

**ლაშა წიკლაური**

ევროს მიღმა. ნაპოლი

## დუმბია ლავეცის შემცვლელად?

"კორიერე დელო სპორტში" გავრცელებული ცნობის თანახმად, "ნაპოლის" მესვეურებმა **სეიდუ დუმბიას** გადაბირება განიზრახეს და მოსკოვის ცსკა-ს მესვეურებს ოფიციალური წინადადებითაც მიმართეს. ნეაპოლელები მზად არიან, 24 წლის ფორვარდის სანაცვლოდ 18 მილიონი ევრო გადაიხადონ; მოსკოველებს პასუხი ჯერ არ უთქვამთ, მაგრამ კულუარული ინფორმაციის თანახმად, 25 მილიონ ევროს მოითხოვენ. მიუხედავად ამისა, იტალიელ ჟურნალისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ შეთანხება შედგება და კოტ'დივუარელი თავდამსხმელი კარიერას იტალიაში განაგრძობს.

დუმბიას ნეაპოლელები **ესეკილ ლავეცის** შემცვლელად განიხილავენ, რომელიც დიდი ალბათობით კარიერას ფრანგულ პსჟ-ში გააგრძელებს. ამის შესახებ თვით კლუბის პრეზიდენტმა, **აურელიო დე ლაურენტისმა** ისაუბრა და ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა:

*"ლავეცისთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ, რომ მისი გასხვისებამ მოგვიწიოს. ჩემი სურვილია, რომ ესეკილი "ნაპოლიში" დარჩეს, მაგრამ როდესაც თავად ფეხბურთელი ფიქრობს სხვაგან წასვლაზე, ძალით ვერ გავაჩერებთ. რაც შეეხება დუმბიას, შესანიშნავი ფორვარდია და დიდი სურვილი მაქვს, რომ გადავიბიროთ. ცსკა-ს შემადგენლობაში 53 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 33 გოლი გატანილი, რაც ფანტასტიკური შედეგია".*



სეიდუ დუმბია

**ლაშა წიკლაური**

ამბები

### ტოტენჰემმა ვილაშ ბოაში გადაწყვიტა



"გარდიანის" ცნობით, "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა მზადაა, **ანდრე ვილაშ ბოაშს** გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი ოფიციალურად შესთავაზოს. კლუბის წარმომადგენლები წინა კვირაში პორტუგალიელის აგენტს რამდენჯერმე უკვე შეხვდნენ და უშუალოდ ვილაშ ბოაშთან შეხვედრაც დაიგეგმა, რათა მოლაპარაკების პროცესი რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს.

### ვენგერი: ვან პერსი რჩება

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ "არსენალში" **რობინ ვან პერსის** დარჩენა-არდარჩენის საკითხი სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე "ცხელი" თემაა. იტალიური "ლა რეპუბლიკა" ვენგერს დაუკავშირდა და შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა. იტალიელთა ინტერესი გასაგებია, ვან პერსის პოტენციურ მყიდველთა შორის ხომ ყველაზე ხშირად "იუვენტუსსა" და "მანჩესტერ სიტის" ასახელებენ. *"ვან პერსი "არსენალში" რჩება. არ არსებობს მიზეზი, რის გამოც მისი კალიბრის ფეხბურთელს იტალიაში წასვლა ულირდეს. ნებისმიერი კუთხიდან ეს წამგებიანი ნაბიჯი იქნება. გნებავთ პრესტიჟის, ფეხბურთის დონისა თუ ფინანსური მხრივ. თუკი ასე მოხდა და ის იტალიაში წავიდა, პირობას გაძლევთ, რომ პირადად თქვენ დიდ, გემრიელ ნაყინს ან შოკოლადს გიყიდით,"* – განუცხადა ვენგერმა იტალიელ ჟურნალისტს.

### ფილი გარის აქებს

**ფილ ნევილს** მიაჩნია, რომ მის ძმა **გარი ნევილს** შეუძლია, რომ ექსტრაკლასის მენეჯერი გახდეს და აცხადებს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ის თავადაც მზად იქნება, ამ გზას დაადგეს. უფროსი ძმა, მოგეხსენებათ, **როი ჰოჯსონის** თანაშემწეა. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციასთან მას 4-წლიანი ხელშეკრულება აკავშირებს. *"გარის შეუძლია დიდი მწვრთნელი გახდეს. ამაში დარწმუნებული ვარ. მას ისეთი აურა აქვს, რომ ფეხბურთელებზე დადებითად მოქმედებს. სამწვრთნელო საქმე ყოველთვის მიტაცებდა. უახლოესი 5 წლის განმავლობაში ამისთვის ნელ-ნელა მოვემზადები. უკვე დავიწყე ჩემი ჩანაწერების კეთება ყველაფერზე, რაც ფეხბურთს ეხება. ეს ის საქმეა, რასაც მთელ ჩემს ცხოვრებას მივუძღვნი. მთავარია, რომ მე ამას უკვე მივხვდი,"* – ამბობს ფილ ნევილი.

### ვესტ ჰემი ძლიერდება

"უიგანის" ყოფილმა ნახევარმცველმა, 25 წლის სენეგალელმა **მოჰამედ დიამემ** "ვესტ ჰემთან" 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, თუმცა "ჩაქუჩების" ფეხბურთელი ის მხოლოდ 1-ლი ივლისიდან გახდება, როცა ყოფილ კლუბთან კონტრაქტი ოფიციალურად დაუმთავრდება. დიამე ლონდონელთა უკვე მესამე ახალწვეულია. აქამდე "აპტონ პარკზე" მეკარეები **სტივენ ჰენდერსონი** და **იუსი იაასკელაინენი** გადაბარგდნენ. "ვესტ ჰემი" ამით სატრანსფერო კამპანიის დასრულებას არ აპირებს. მთავარი მწვრთნელის **სემ ელერდაისის** დაჟინებული თხოვნით, ისინი "ნორვიჩს" 5,5 მილიონ გირვანქას სთავაზობენ 31 წლის თავდამსხმელის **გრანტ ჰოლტის** სანაცვლოდ. ლონდონელები აქამდე მხოლოდ 3,5 მილიონს ჩამოდიოდნენ.

### ადვოკაატი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს

რუსეთის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **დიკ ადვოკაატმა** ევრო 2012-ზე ნაწვნევი მარცხი ეტყობა იოლად დაივიწყა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უმალ ახალ გეგმებზე ალაპარაკდა. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ევროფორუმის დაწყებამდე 64 წლის სპეციალისტმა "ეინდჰოვენთან" გააფორმა 2-წლიანი ხელშეკრულება. *"ძალიან კარგი გუნდი გვყავს და ახალი სეზონი ჩვენი უნდა გახდეს. შემადგენლობასთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილებები არ მიგვიღია. მაგალითად, არ ვიცით, რას აპირებს ოლა ტოივონენი. თუკი შვედი წასვლას გადაწყვეტს, ჩვენ მისი შეცვლელი დაგვჭირდება. პოლონეთში ხშირად მქონდა კონტაქტი მარსელ ბრანდსთან (პსვ-ს ტექნიკური დირექტორი. რედ) და ვიცი, რომ პსვ-ში ჩემპიონობისთვის საბრძოლველად არიან განწყობილნი,"* – აცხადებს ადვოკაატი.

**ლევან ბიბილაშვილი**

III ტურის სტატისტიკა **ევრო 2012**

# რონალდოს პასუხი კრიტიკოსებს: 9,75 ათი შესაძლებლიდან

## ჯგუფური ეტაპის მაჯისცემა ციფრებში

### რატომ აღარ იყიდის რეალი გრეგორი ვან დერ ვილს

მატჩის შემდეგ გრეგორი ვან დერ ვილი ჩიოდა, აბა, ახლა რატომღა მოინდომებს მადრიდის „რეალი" ჩემს შეძენასო. მართლაც, ჰოლანდიელთა მარჯვენა მცველს კრიშტიანო რონალდომ კარიერაში ყველაზე ჯოჯოხეთური 90 წუთი მოუწყო. მარტო ვან დერ ვილი არ დაჩაგრულა, პორტუგალიელთა მეგავარსკვლავმა, რომელსაც მე-3 ტურამდე ყველაზე მეტად აკრიტიკებდნენ ევრო 2012-ზე მონაწილე ფეხბურთელთა შორის, ლამის მარტომ მოუგო ჰოლანდიის ნაკრებს. „კასტროლ ინდექსი", რომელიც სხვა არაფერია, თუ არა რთულად გამოთვლილი მარგი ქმედების კოეფიციენტი, ამის დასტურია - 9,75 ბალი 10 შესაძლებლიდან!

### საუკეთესო როხაა

იცით, რამდენჯერ ჩააწოდეს ესპანელმა ფეხბურთელებმა საჯარიმოში წარმატებულად? არც ერთხელ! და მაინც, ყველანაირი სტატისტიკის შეჯერებით, ვადგენთ, რომ ჯგუფური ეტაპის საუკეთესო გუნდი „ფურია როხაა". ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებმა ყველაზე მეტი გაიტანეს და ნაკლები გაუშვეს, ყველაზე მეტ ხანს აკონტროლეს ბურთი, ყველაზე ბევრჯერ დაარტყეს მეტოქეთა კარში ზუსტად და მოაწოდეს ყველაზე მეტი კუთხური. აქვე ვიტყვით, რომ ყველაზე „სუფთად" ჩემპიონატში გერმანიის ნაკრები თამაშობს.

### კეით ენდრიუზი: ევროს მთავარი ტერმინატორი

მსაჯის სასტვენი ყველაზე ხშირად მაშინ ისმოდა, როცა ბრძოლაში პოლონელთა მთავარი შემტევი რობერტ ლევანდოვსკი ერთვებოდა - 24-ჯერ! ანუ ლევანდოვსკისთვის ყოველ 11 წუთში ერთხელ. მაგრამ ევრო 2012-ის ჯგუფური ეტაპის მთავარი „ტერმინატორი" ლევანდოვსკი არ ყოფილა - ის ხშირად „მსხვერპლის" როლში (16-ჯერ) იყო, ვიდრე დამნაშავის (8-ჯერ). აი, ირლანდიელთა საყრდენმა ნახევარმცველმა კეით ენდრიუზმა სამჯერ მოასწრო ყვითელი ბარათის მიღება (ბოლო ორი წითლად ექცა) და თამაშის წესი სულ 10-ჯერ დაარღვია. მილან ბაროში (ჩეხეთი) უფრო ხშირად ჯარიმდებოდა, მაგრამ ამას გაცილებით დახვეწილად აკეთებდა - 14 ჯარიმის მიუხედავად, ყვითელი ბარათი არ მიუღია.



კრიშტიანო რონალდოს შეჩერება მთელმა ჰოლანდიამ ვერ შეძლო

## ინდივიდუალური სტატისტიკა

### გოლები

| გ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 3 | მარიო გომესი | გერმანია | 226 |
| 3 | ალან ძაგოევი | რუსეთი | 253 |
| 3 | მარიო მანჯუკიჩი | ხორვატია | 270 |
| 2 | სესკ ფაბრეგასი | ესპანეთი | 107 |
| 2 | ფერნანდო ტორესი | ესპანეთი | 151 |
| 2 | ანდრი შევჩენკო | უკრაინა | 191 |
| 2 | პეტრ იერაჩეკი | ჩეხეთი | 250 |
| 2 | ვაცლავ პილარი | ჩეხეთი | 268 |
| 2 | ნიკლას ბენდტნერი | დანია | 270 |
| 2 | კრიშტიანო რონალდო | პორტ. | 270 |
| 2 | ზლ. იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი | 270 |
| 2 | მიქაელ კრონ-დელი | დანია | 270 |

18 ფეხბურთელი 1-1 გოლი

### საგოლე პასები

| პ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 3 | დავიდ სილვა | ესპანეთი | 227 |
| 3 | ანდრეი არშავინი | რუსეთი | 270 |
| 3 | სტივენ ჯერარდი | ინგლისი | 270 |
| 2 | სებასტიან ლარსონი | შვედეთი | 248 |
| 2 | ქარიმ ბენზემა | საფრანგეთი | 256 |
| 2 | ნანი | პორტუგალია | 266 |
| 2 | ანდრეა პირლო | იტალია | 270 |
| 2 | ბას. შვაინშტაიგერი | გერმანია | 270 |

22 ფეხბურთელი 1-1 საგოლე პასი

### გოლი+პასი

| ქ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 4 | მარიო გომესი | გერმანია | 226 |
| 4 | დავიდ სილვა | ესპანეთი | 227 |
| 3 | სებასტიან ლარსონი | შვედეთი | 248 |
| 3 | მარიო მანჯუკიჩი | ხორვატია | 270 |
| 3 | ანდრეი არშავინი | რუსეთი | 270 |
| 3 | სტივენ ჯერარდი | ინგლისი | 270 |
| 3 | ანდრეა პირლო | იტალია | 270 |
| 3 | მიქაელ კრონ-დელი | დანია | 270 |

### კარში დარტყმა (ზუსტი)

| დ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 13 | კრ. რონალდო | პორტუგალია | 270 |
| 12 | ქარიმ ბენზემა | საფრანგეთი | 256 |
| 10 | ანდრეს ინიესტა | ესპანეთი | 260 |
| 7 | ანტონიო დი ნატალე | იტალია | 129 |
| 7 | ვაცლავ პილარი | ჩეხეთი | 268 |
| 7 | ზლ. იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი | 270 |
| 7 | რობინ ვან პერსი | ჰოლანდია | 270 |
| 6 | დავიდ სილვა | ესპანეთი | 227 |
| 6 | ალან ძაგოევი | რუსეთი | 253 |
| 5 | სესკ ფაბრეგასი | ესპანეთი | 107 |
| 5 | მარიო ბალოტელი | იტალია | 141 |
| 5 | ფერნანდო ტორესი | ესპანეთი | 151 |
| 5 | ჩავი ერნანდესი | ესპანეთი | 269 |
| 5 | ნიკლას ბენდტნერი | დანია | 270 |
| 5 | რობ. ლევანდოვსკი | პოლონეთი | 270 |
| 5 | კლაუდიო მარკიზიო | იტალია | 270 |

### დარტყმა (არაზუსტი)

| დ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 11 | ალ. კერჟაკოვი | რუსეთი | 189 |
| 10 | იევჰენ კონოპლიანკა | უკრაინა | 270 |
| 9 | არიენ რობენი | ჰოლანდია | 263 |
| 8 | კრ. რონალდო | პორტუგალია | 270 |
| 7 | კეით ენდრიუზი | ირლანდია | 269 |
| 6 | რობ. ლევანდოვსკი | პოლონეთი | 270 |
| 6 | რობინ ვან პერსი | ჰოლანდია | 270 |
| 5 | მარიო ბალოტელი | იტალია | 141 |
| 5 | მარიო გომესი | გერმანია | 226 |
| 5 | სამი ხედირა | გერმანია | 270 |

### თამაშგარე

| თ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 6 | რობი კინი | ირლანდია | 251 |
| 5 | დიმ. სალპინგიდისი | საბერძნეთი | 217 |
| 3 | ანტონიო დი ნატალე | იტალია | 129 |
| 3 | ოლა ტოივონენი | შვედეთი | 140 |
| 3 | დენის რომედალი | დანია | 144 |
| 3 | ფერნანდო ტორესი | ესპანეთი | 151 |
| 3 | ელდერ პოსტიგა | პორტუგალია | 198 |
| 3 | მილან ბაროში | ჩეხეთი | 239 |
| 3 | ქარიმ ბენზემა | საფრანგეთი | 256 |

### გაფრთხილება

| გ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 3 | კეით ენდრიუზი | ირლანდია | 269 |
| 2 | სოკრ. პაპასტათოს. | საბერძნეთი | 134 |
| 2 | ჟერომ ბოატენგი | გერმანია | 180 |
| 2 | ანდრეს სვენსონი | შვედეთი | 197 |
| 2 | ხოსე ოლიგასი | საბერძნეთი | 206 |
| 2 | ეუგენ პოლანსკი | პოლონეთი | 231 |
| 2 | გიორ. კარაგუნისი | საბერძნეთი | 247 |
| 2 | ჯეტრო ვილემსი | ჰოლანდია | 247 |
| 2 | ალან ძაგოევი | რუსეთი | 253 |
| 2 | ფილიპ მექსესი | საფრანგეთი | 270 |
| 2 | შონ სტ. ლედჯერი | ირლანდია | 270 |
| 2 | ანატოლი ტიმოშჩუკი | უკრაინა | 270 |

### გაძევება

| გ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 1 | ვოიცეხ შჩესნი | პოლონეთი | 69 |
| 1 | სოკრ. პაპასტათ. | საბერძნეთი | 134 |
| 1 | კეით ენდრიუზი | ირლანდია | 269 |

### ჯარიმა (მათზე)

| ჯ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 16 | გიორ. კარაგუნისი | საბერძნეთი | 247 |
| 16 | რობ. ლევანდოვსკი | პოლონეთი | 270 |
| 11 | ალვარო არბელოა | ესპანეთი | 270 |
| 11 | იევჰენ ხაჩერიდი | უკრაინა | 270 |
| 11 | ფრანკ რიბერი | საფრანგეთი | 270 |
| 9 | დამიენ დაფი | ირლანდია | 256 |
| 9 | ანდრეს ინიესტა | ესპანეთი | 260 |
| 9 | თომას მიულერი | გერმანია | 264 |
| 9 | ანდრეა პირლო | იტალია | 270 |
| 9 | ეშლი იანგი | ინგლისი | 270 |

### ჯარიმა (დაჯარიმდნენ)

| ჯ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 14 | მილან ბაროში | ჩეხეთი | 239 |
| 11 | მარიო მანჯუკიჩი | ხორვატია | 270 |
| 10 | კეით ენრდიუზი | ირლანდია | 269 |
| 9 | რიჩარდ დანი | ირლანდია | 270 |
| 9 | გიორგოს სამარასი | საბერძნეთი | 270 |
| 8 | ნიკიცა იელავიჩი | ხორვატია | 179 |
| 8 | ალუ დიარა | საფრანგეთი | 270 |
| 8 | რობ. ლევანდოვსკი | პოლონეთი | 270 |
| 8 | ანატოლი ტიმოშჩუკი | უკრაინა | 270 |
| 8 | იური ჟირკოვი | რუსეთი | 270 |

## გუნდური სტატისტიკა

### გოლები

| | |
|---|---|
| 6 | ესპანეთი |
| 5 | შვედეთი |
| 5 | რუსეთი |
| 5 | ინგლისი |
| 5 | გერმანია |
| 5 | პორტუგალია |
| 2 | ჰოლანდია |
| 2 | პოლონეთი |
| 2 | უკრაინა |
| 1 | ირლანდია |

### გაშვებული

| | |
|---|---|
| 1 | ესპანეთი |
| 2 | გერმანია |
| 2 | იტალია |
| 5 | ჩეხეთი |
| 5 | შვედეთი |
| 5 | დანია |
| 5 | ჰოლანდია |
| 9 | ირლანდია |

### დარტყმა (ზუსტი)

| | |
|---|---|
| 39 | ესპანეთი |
| 36 | საფრანგეთი |
| 30 | იტალია |
| 28 | პორტუგალია |
| 21 | შვედეთი |
| 12 | უკრაინა |
| 11 | ირლანდია |
| 9 | საბერძნეთი |

### დარტყმა (არაზუსტი)

| | |
|---|---|
| 35 | ჰოლანდია |
| 29 | რუსეთი |
| 26 | უკრაინა |
| 24 | პოლონეთი |
| 10 | საბერძნეთი |
| 10 | ხორვატია |
| 7 | დანია |

### პასი (სულ)

| | |
|---|---|
| 2411 | ესპანეთი |
| 1892 | რუსეთი |
| 1860 | საფრანგეთი |
| 1128 | ირლანდია |
| 904 | შვედეთი |
| 840 | ინგლისი |

### პასი (ზუსტი)

| | |
|---|---|
| 1978 | ესპანეთი |
| 1460 | საფრანგეთი |
| 1412 | რუსეთი |
| 633 | ირლანდია |
| 609 | შვედეთი |
| 557 | ინგლისი |

### პასი (სიზუსტის %)

| | |
|---|---|
| 82% | ესპანეთი |
| 78% | საფრანგეთი |
| 75% | რუსეთი |
| 64% | პორტუგალია |
| 63% | საბერძნეთი |
| 56% | ირლანდია |

### ჩაწოდება (სულ)

| | |
|---|---|
| 37 | პორტუგალია |
| 33 | ხორვატია |
| 25 | ჩეხეთი |
| 13 | შვედეთი |
| 10 | იტალია |
| 9 | ესპანეთი |

### ჩაწოდება (ზუსტი)

| | |
|---|---|
| 11 | ხორვატია |
| 9 | ირლანდია |
| 8 | გერმანია |
| 3 | ინგლისი |
| 2 | იტალია |
| 0 | ესპანეთი |

### ბურთის ფლობა (%)

| | |
|---|---|
| 62% | ესპანეთი |
| 57% | ჰოლანდია |
| 57% | რუსეთი |
| 57% | უკრაინა |
| 41% | ირლანდია |
| 23% | ინგლისი |
| 17% | შვედეთი |

### კუთხური

| | |
|---|---|
| 26 | ესპანეთი |
| 25 | საფრანგეთი |
| 24 | პორტუგალია |
| 9 | საბერძნეთი |
| 8 | ირლანდია |
| 7 | შვედეთი |

### გაფრთხილება

| | |
|---|---|
| 9 | საბერძნეთი |
| 9 | იტალია |
| 9 | ხორვატია |
| 4 | საფრანგეთი |
| 4 | დანია |
| 3 | გერმანია |

### ჯარიმა (მათზე)

| | |
|---|---|
| 57 | საბერძნეთი |
| 53 | იტალია |
| 52 | ესპანეთი |
| 33 | ინგლისი |
| 30 | საფრანგეთი |
| 27 | დანია |

### ჯარიმა (დაჯარიმდნენ)

| | |
|---|---|
| 61 | ხორვატია |
| 61 | ჩეხეთი |
| 56 | პოლონეთი |
| 31 | უკრაინა |
| 30 | ინგლისი |
| 27 | გერმანია |

## კასტროლ ინდექსი

### მატჩების ტოპ-5

#### საბერძნეთი–რუსეთი

| ფეხბ. | გუნდი | ინდ. |
|---|---|---|
| 1. რომან შიროკოვი | რუსეთი | 9,24 |
| 2. მიხალის სიფაკისი | საბერძ. | 9,04 |
| 3. იგორ დენისოვი | რუსეთი | 8,78 |
| 4. იური ჟირკოვი | რუსეთი | 8,76 |
| 5. იანის მანიატისი | საბერძ. | 8,65 |

#### ჩეხეთი–პოლონეთი

| ფეხბ. | გუნდი | ინდ. |
|---|---|---|
| 1. პეტრ იერაჩეკი | ჩეხეთი | 9,09 |
| 2. პეტრ ჩეხი | ჩეხეთი | 8,99 |
| 3. მიხალ კადლეცი | ჩეხეთი | 8,67 |
| 4. რობ. ლევანდოვსკი | პოლონეთი | 8,63 |
| 5. პრჟემისლავ ტიტონი | პოლონეთი | 8,36 |

#### დანია–გერმანია

| ფეხბ. | გუნდი | ინდ. |
|---|---|---|
| 1. ლარს ბენდერი | გერმანია | 8,93 |
| 2. ლუკას პოდოლსკი | გერმანია | 8,71 |
| 3. მიქაელ კრონ-დელი | დანია | 8,67 |
| 4. ნიკლად ბენდტნერი | დანია | 8,57 |
| 5. ბას. შვაინშტაიგერი | გერმანია | 8,57 |

#### პორტუგალია–ჰოლანდია

| ფეხბ. | გუნდი | ინდ. |
|---|---|---|
| 1, კრ. რონალდო | პორტ. | 9,75 |
| 2. ნანი | პორტ. | 9,01 |
| 3. ფაბიო კოენტრაო | პორტ. | 8,96 |
| 4. ვესლი სნეიდერი | ჰოლ. | 8,85 |
| 5. მაარ. სტეკელენბურგი | ჰოლ. | 8,76 |

#### ხორვატია–ესპანეთი

| ფეხბ. | გუნდი | ინდ. |
|---|---|---|
| 1. ალვარო არბელოა | ესპანეთი | 9,25 |
| 2. ანდრეს ინიესტა | ესპანეთი | 8,94 |
| 3. ჟერარდ პიკე | ესპანეთი | 8,92 |
| 4. სტიპე პლეტიკოსა | ხორვატია | 8,91 |
| 5. დავიდ სილვა | ესპანეთი | 8,76 |

#### იტალია–ირლანდია

| ფეხბ. | გუნდი | ინდ. |
|---|---|---|
| 1. ანტონიო კასანო | იტალია | 9,22 |
| 2. ანდრეა ბარძალი | იტალია | 8,94 |
| 3. იგნასიო აბატე | იტალია | 8,91 |
| 4. ანტონიო დი ნატალე | იტალია | 8,71 |
| 5. დანიელე დე როსი | იტალია | 8,63 |

#### შვედეთი–საფრანგეთი

| ფეხბ. | გუნდი | ინდ. |
|---|---|---|
| 1. ოლოფ მელბერგი | შვედეთი | 9,64 |
| 2. სებასტიან ლარსონი | შვედეთი | 9,51 |
| 3. ფილიპ მექსე | საფრან. | 8,97 |
| 4. ანდრეას ისაქსონი | შვედეთი | 8,82 |
| 5. ფრანკ რიბერი | საფრან. | 8,69 |

#### ინგლისი–უკრაინა

| ფეხბ. | გუნდი | ინდ. |
|---|---|---|
| 1. ეშლი კოული | ინგლისი | 9,51 |
| 2. უეინ რუნი | ინგლისი | 9,18 |
| 3. ჯონ ტერი | ინგლისი | 9,07 |
| 4. იაროსლავ რაკიცკი | უკრაინა | 8,60 |
| 5. ჯო ჰარტი | ინგლისი | 8,32 |

## კასტროლ ინდექსი

### ჯგუფური ეტაპის სიმბოლური ნაკრები

**სტეფან ანდერსენი** (დანია, 8,49) - **ოლოფ მელბერგი** (შვედეთი, 9,47), **ალვარო არბელოა** (ესპანეთი, 9,28), **ფილიპ მექსე** (საფრანგეთი, 9,12) - **დავიდ სილვა** (ესპანეთი, 9,60), **ალან ძაგოევი** (რუსეთი, 9,53), **კლაუდიო მარკიზიო** (იტალია, 9,42), **ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი, 9,37) - **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია, 9,68), **ნიკლას ბენდტნერი** (დანია, 9,32), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი, 9,23).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

EURO2012 POLAND-UKRAINE

ჯგუფური ეტაპის შეჯამება. ლელოს ვერსია

ევრო

# ამოვისუნთქოთ, შევაჯამოთ...

## ჯგუფური ეტაპის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით

**ჯგუფური ეტაპის სიმბოლური ნაკრების შედგენისას, „ლელოს" უცხოური ფეხბურთის განყოფილებაში ბევრი ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ და ვიკამათეთ. ასეთ დროს ტაქტიკურ სქემას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ წესია: საუკეთესო ფეხბურთელებისა და ტაქტიკის შესაბამისობა უნდა შედგეს. ფაქტია, რომ ამ თერთმეტი ფეხბურთელის გარდა, სიმბოლურში მოხვედრას კიდევ არაერთი მოთამაშე იმსახურებდა, მაგრამ სიმბოლურში მხოლოდ თერთმეტი ადგილია. შესაბამისად, ალბათ უპრიანი იქნება, თუ ასე ვთქვათ, სათადარიგოებსაც ჩამოვწერთ და ეს ბარემ აქვე გავაკეთოთ: მანუელ ნოიერი (გერმანია), ოლოფ მელბერგი (შვედეთი), ჩავი (ესპანეთი), ფრანკ რიბერი (საფრანგეთი), კლაუდიო მარკიზიო (იტალია), სამი ხედირა (გერმანია), ალან ძაგოევი (რუსეთი), მარიო მანჯუკიჩი (ხორვატია).**

**რაც შეეხება ჯგუფური ეტაპის სიმბოლური ნაკრების ძირითად შემადგენლობას:**




### 1. ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია)

ფაქტია, რომ ყველაზე მეტად მეკარის შერჩევა გაგვიჭირდა. ამ პოზიციაზე სამი კანდიდატი გვყავდა: **ჯანლუიჯი ბუფონი, მანუელ ნოიერი** და **იკერ კასილიასი**. ბევრი ვიმსჯელეთ, თუ ცოტა, საბოლოოდ ერთხმად მივედით ასეთ დასკვნამდე: ჯიჯი სულ სხვაა! „სკუადრა აძურას" კარის დარაჯს ფანტასტიკური სეივები არ უკეთებია, მაგრამ ბუფონის გენიალურობა ხომ პოზიციის იდეალურად შერჩევაშია. რამდენიმე ბრწყინვალე სეივი ნაღდად შემოგვთავაზა, საერთო ჯამში კი იტალიელთა კარის უსაფრთხოება უფრო თავისი სიმსუბუქით, მაქსიმალური კონცენტრაციით და ქარიზმით განაპირობა. იტალიელებმა ჯგუფურ ეტაპზე ორი გოლი გაუშვეს და ჯიჯის ამ გოლებში იოტისოდენა ბრალიც კი არ მიუძღვის.

### 2. მატს ჰუმელსი (გერმანია)

გერმანიის ნაკრების ცენტრალური მცველი ესპანელ შემტევ ნახევარმცველ **დავიდ სილვასთან** ერთად ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. კიდევ ერთხელ გვიწევს იმის გამეორება, რომ ჰუმელსის ძირითად შემადგენლობაში თამაშს ბევრი არ ელოდა – ევროპის ჩემპიონატის წინ, ბუნდესგუნდის დაცვის ცენტრში **ჰოლგერ ბადშრუბერთან** ერთად არა დორტმუნდელი, არამედ **პერ მერტეზაკერი** მოიაზრებოდა. მაგრამ გერმანელთა თავკაცი **იოახიმ ლიოვი** სწორედ ჰუმელსს ენდო და ამ უკანასკნელმაც იმედები ასი პროცენტით გაამართლა. ჰუმელსი სამივე მატჩში (თანაც, როგორ მეტოქეებთან?) მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ფაქტობრივად არცერთი პოზიციური შეცდომა არ დაუშვია (ალარაფერს ვამბობთ ინდივიდუალურ უშეცდომობაზე) და რაც ყველაზე საინტერესოა, რამდენჯერმე შეტევებშიც სახიფათოდ ჩაერთო. ჰუმელსს მხოლოდ მეორე ტურში, ჰოლანდიელი **რობინ ვან პერსის** წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდა, მაგრამ იმდენად უმნიშვნელოდ, რომ ეს შეგვეძლო, არც გვეთქვა. სხვა მხრივ მატსი უნაკლო გახლდათ.

### 3. ჰოლგერ ბადშტუბერი (გერმანია)

...ისევე, როგორც **ბადშტუბერი**! თამამად უნდა ვთქვათ, რომ ბაიერნელთაგან გასული სეზონის უტიტულოდ დამთავრება ყველაზე ნაკლებად ბადშტუბერს ეტყობა. ჰოლგერმა სამივე მატჩში დაამტკიცა, რომ არა მარტო გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში იმსახურებს, არამედ ბუნდესგუნდის დაცვის ბურჯია. პოზიციურად ყველა ცენტრალურ მცველზე უკეთ თამაშობდა, მხოლოდ პორტუგალიასთან დაუშვა რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომა. სამაგიეროდ, ბადშტუბერი შეტევებში ვერ ერთვება ისე, როგორც საჭიროა და ამ მხრივ ჰუმელსს მაგრად ჩამორჩება.

### 4. სტივენ ჯერარდი (ინგლისი)

ინგლისის ნაკრებმა D ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ფაქტობრივად ვალდებულები ვიყავით, რომ ჯგუფური ეტაპის სიმბოლურ ნაკრებში ერთი ინგლისელი მაინც ყოფილიყო. არა, ამას იმიტომ არ ვამბობთ, რომ **ჯერარდმა** ეს არ დაიმსახურა – უბრალოდ, ის პირველი არჩევანი არ ყოფილა. სიმბოლურ ნაკრებში ერთი კლასიკური ჩამშლელი, ტიპური „ექვსიანი" აუცილებლად უნდა იყოს და ვფიქრობთ, ასეთებიდან აქ მოხვედრას გერმანელთა მშრომელი საყრდენი **სამი ხედირა** იმსახურებდა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მიზეზის გამო არჩევანი ჯერარდზე შევაჩერეთ. **ფრენკ ლემპარდის** არყოფნაში სტივი ინგლისის ნაკრების შუა ხაზის შეფია, სამივე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა და რაც ასევე მნიშვნელოვანია, სამი საგოლე პასი აქვს გაკეთებული. მის გარდა ასეთი შედეგით მხოლოდ მთლიანად პირველი ტურის საუკეთესო ფეხბურთელი **დავიდ სილვა** თუ დაიკვეხნის.

### 5. დანიელე დე როსი (იტალია)

როცა დავრწმუნდით, რომ ჯგუფური ეტაპის სიმბოლური ნაკრებისთვი 3-მცველიან ტაქტიკას ვერსად გავექცეოდით (ფლანგის მცველებს არ უფრენიათ), მაშინვე მივხვდით, რომ ცენტრისთვის **დანიელე დე როსი** იყო ზედგამოჭრილი. **ჩეზარე პრანდელიმ** „რომას" ნახევარმცველი (ვიმეორებთ: **ნახევარმცველი**) ესპანეთთან და ხორვატიასთან სწორედ ასეთ ტაქტიკურ სქემაში, დაცვის ცენტრში ათამაშა და დე როსი მისთვის ერთი შეხედვით უჩვეულო პოზიციაზე ბრწყინვალე იყო. ირლანდიასთან კი თავის პოზიციას დაუბრუნდა და იქაც ჩვეულად ითამაშა, თუმცა სიმბოლურ ნაკრებში ცენტრალური მცველის რანგში მოხვედრა დაიმსახურა. იტალიელებმა ესპანეთთანაც გაუშვეს გოლი და ხორვატიასთანაც, მაგრამ დე როსის ორივე გოლის დროს აბსოლუტურად უდანაშაულო იყო, **ბონუჩის** და **კიელინის** იდეალურად აზღვევდა და ორივე მატჩში განმუხტა ყველაფერი, რისი განმუხტვაც შეეძლო. მეოთხედფინალის წინ კიელინი დაშავდა და იტალიელები დიდად არ ნერვიულობენ – ეს დე როსის დამსახურებაცაა.

### 6. ანდრეს ინიესტა (ესპანეთი)

ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებს ფეხბურთის თამაშის სურვილი ძალიან იშვიათად უქრებათ ხოლმე და თუ მაინც ასე მოხდა, პირველი, ვინც სიზარმაცის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, **ინიესტაა**. ანდრესი **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდში ძალიან კარგად მოთამაშე იტალიის ნაკრების წინააღმდეგაც საუკეთესო იყო. ესპანელებმა ირლანდია რომ გაანადგურეს, ეს მისი დამსახურებაც გახლდათ, ხორვატიასთან კი ასე კარგად აღარ უთამაშია, თუმცა „ფურია როხაში" მაინც გამორჩეული ფეხბურთელი იყო.



ესპანეთი-იტალია. მარცხნიდან: დე როსი, ინიესტა, ბუფონი

### 7. კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია)

პორტუგალიელ დივას ყოველთვის ძალიან ბევრს ვთხოვთ, რაც ლოგიკურია და სიმართლე გითხრათ, დიდხანს ვფიქრობდით, შეგვეყვანა თუ არა ჯგუფური ეტაპის სიმბოლურ ნაკრებში. კრიშტიანო გერმანიასთან და დანიასთან თითქმის არ ჩანდა და ამის გამო მაგრადაც ვაკრიტიკეთ, მაგრამ ჰოლანდიასთან გადამწყვეტ მატჩში იმდენად კარგად ითამაშა, რომ ვფიქრობთ, ეს ადგილი დაიმსახურა. კარგ თამაშსაც რომ თავი დავანებოთ, სწორედ რონალდომ გაუტანა ჰოლანდიის ნაკრებს ორივე გოლი და თამაში პორტუგალიელთა სასარგებლოდ შეატრიალა. ასეთ ეფექტურ რონალდოსთან ერთად, პორტუგალიის ნაკრებს ნახევარფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს.

### 8. ანდრეა პირლო (იტალია)

კაცი, რომელიც თავის საქმეს ყოველთვის უმაღლეს დონეზე აკეთებს, ნერვაუტოკებელია და მშვიდად არიგებს გენიალურ პასებს. **პირლოს** დეტალური დახასიათება შორს წაგვიყვანს და უმჯობესია, აქ მხოლოდ ისღა ვთქვათ, რომ თითქმის დარწმუნებულები ვართ: იტალიის ნაკრებს პირლოს გარეშე ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაუჭირდებოდა. **ანტონიო დი ნატალემ** ესპანეთთან მატჩში ანგარიში სწორედ პირლოს ბრწყინვალე პასით გახსნა, ხორვატიას კი ანდრეამ შესანიშნავი ჯარიმა გაუტანა - ალარაფერს ვამბობთ თითქმის ყველა შეტევის ორგანიზებასა და სხვა გენიალურ პასებზე. ირლანდიასთან უმაღლეს დონეზე მხოლოდ პირველი 30 წუთი ითამაშა, მაგრამ ჯგუფური ეტაპის სიმბოლური მის გარეშე წესით ყველასათვის წარმოუდგენელი უნდა იყოს.

### 9. ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი)

შვედეთის ნაკრები მეოთხედფინალში რომ ვერ გავიდა, ნეიტრალურ ქომაგს გული მხოლოდ ორ ფეხბურთელზე დასწყდებოდა: ერთი სიმბოლური ნაკრების სათადარიგოთა სკამზე დავსვით (**მელბერგი**), მეორე კი **იბრაჰიმოვიჩია**! ზლატანმა სამივე მატჩში შესანიშნავი თამაშით, უდიდესი შრომით და ორი ერთმანეთზე უკეთესი გოლით დაამტკიცა, რომ ევრო 2012-ს მართლაც ძალიან კარგ ფორმაში მყოფი შეხვდა. პლეი ოფიდან იბრა თვალს ძალიან დააკლდება.

### 10. დავიდ სილვა (ესპანეთი)

ჯგუფური ეტაპის შემდეგ სილვა ესპანეთის ნაკრების და მთლიანად ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელია. დავიდი დელ ბოსკეს გუნდის კომბინაციური ფეხბურთის ნათელი წერტილია, არაერთი ინდივიდუალური ბრწყინვალებით. სილვას სამივე მატჩში არაერთი გამონათება ჰქონდა, მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც ის დრიბლინგია, რომელიც ირლანდიასთან მატჩში შესანიშნავი გოლით დააგვირგვინა.

### 11. მარიო გომესი (გერმანია)

გერმანელი ექსპერტებისთვის რომ გეკითხათ, წესით, ჰუმელსის დარად, ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში არც **მარიო გომესს** უნდა ეთამაშა. პრინციპში, შესაძლოა, ლიოვს ასეც ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ რაკი **მიროსლავ კლოზემ** ფორმის აღდგენა ვერ შეძლო, პორტუგალიასთან გომესმა ითამაშა და გაიტანა გოლი, რითაც გერმანიას პირველი სამი ქულა მოუტანა. გარდა ამისა, მარიომ პირველ მატჩში ბევრიც იშრომა და ლიოვი ფაქტობრივად იძულებული გახდა, სასტარტოში დაეტოვებინა. ჰოლანდიასთან გომესი კიდევ უფრო ეფექტური გახლდათ – ნარინჯისფრებს დუბლი შეუსრულა. დანიასთანაც ბევრს ეცადა, მაგრამ ისე კარგად აღარ უთამაშია, როგორც პირველ ორ მატჩში, მაგრამ ჯამში, ჯგუფურ ეტაპზე გომესის თამაში ძალიან კარგად უნდა შეფასდეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

# 2012

საფრანგეთის ნაკრები

# ბენზემა: ესპანეთი ფავორიტია



ლორან ბლანი შვედებთან შეხვედრით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო დარჩა

გუშინწინ შვედეთის ნაკრებმა საფრანგეთის 23-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, დაამარცხა რა მეტოქე 2:0. წაგების გამო **ლორან ბლანის** გუნდი ჯგუფში მე-2 ადგილზე გავიდა და პლეი ოფში ესპანეთის ნაკრებს დაეჯახა. ამ ფაქტმა "სამფეროვანთა" ერთ-ერთი ლიდერი **ქარიმ ბენზემა** შეაშფოთა. მადრიდის "რეალის" 24 წლის თავდამსხმელის აზრით, 1/4-ფინალში "ფურია როხა" აშკარა ფავორიტია. ფეხბურთელს უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად აქვს, რადგან ის უკვე წლებია, ლა ლიგაში თამაშობს და ესპანელების პოტენციალი მშვენივრად მოეხსენება. აი, რას ამბობს ის: *"შვედებთან მარცხის შემდეგ თავი იმით შეიძლება დავიმშვიდოთ, რომ პლეი ოფშის მაინც გავედით, მაგრამ თუკი რეალურად გვინდა ევროპის ჩემპიონატზე რამეს მივაღწიოთ, მეორედ მსგავსი რამ აღარ უნდა გავიმეოროთ. თუკი ინდივიდუალურად ავიღებთ, ერთადერთი, ვინც თამაშში გამოირჩეოდა, ეს უგო ლორისი იყო. ესპანელების წინააღმდეგ სულ სხვა თამაში წავა. ჩვენ არავინ გვალირსებს ამხელა სივრცეებს. მართალია, ჯგუფის ბოლო შეხვედრაში არც ესპანეთი ბრწყინავდა, მაგრამ ამის მიუხედავად, არ გვაქვს უფლება, საკუთარი თავი მოვატყუოთ. უნდა ვაღიაროთ, რომ მეტოქე მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია და ჩვენთან ისინი ფავორიტები იქნებიან. საჭიროა, შევინარჩუნოთ. ამ წუთას კარგად დასვენება გვჭირდება და შემდეგ ისევ უნდა დავუბრუნდეთ ვარჯიშებს".*

## დებიუში: ესპანელებს დავამარცხებთ!

მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონებთან მომავალ დაპირისპირებაზე ხმამაღალ განცხადებებს აკეთებს "მამლების" მარჯვენა მცველი **მატიო დებიუში**: *"შვედებთან შეხვედრის შედეგით, ისევე როგორც სხვები, მეც იმედგაცრუებული დავრჩი, თუმცა კმაყოფილი ვარ, რომ პლეი ოფში გასვლა მაინც მოვახერხეთ. ჩვენთვის ეს პროგრამა მინიმუმ იყო და ის უკვე განვახორციელეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ესპანელებსაც დავამარცხებთ. მართალია, მათ დიდი გუნდი ჰყავთ, მაგრამ, ვიცით მათი პლუსები როგორ გავანეიტრალოთ. საჭიროა, მეტოქეს ბურთის ტოტალური კონტროლის საშუალება არ მივცეთ. ცხადია, ეს იოლი გასაკეთებელი არ იქნება. უმნიშვნელოვანესი იქნება, რომ სიმშვიდე შევინარჩუნოთ და სივრცეები მაქსიმალურად გამოვიყენოთ".*

## ბლანი ცოფებს ყრის

"ტრე კრუნურთან" მატჩმა ძალიან გაალიზიანა ფრანგების თავკაცი ლორან ბლანიც.: *"თითქოს მზად ვიყავით მძიმე ბრძოლებისთვის, მაგრამ ასეთისთვის არა. მოედნის დიდ ნაწილზე ბრძოლებს ვაგებდით. დამაჯერებლები არ ვიყავით არც ორთაბრძოლებში. შვედებმა შეხვედრაში მთელი სული და გული ჩადეს. აღმოჩნდა, რომ მატჩისთვის ისინი უკეთ იყვნენ მომზადებულნი. ამასთან მათ ჰყავდათ ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ფეხბურთელი, რომელსაც შეუძლია მატჩის ბედის ინდივიდუალურად გადაწყვეტა. კიდევ უამრავი ფაქტორი იყო, რამაც მოგების საშუალება არ მოგვცა. მართალია, მთელი მატჩის განმავლობაში გვიჭირდა, თუმცა ეპიზოდურად მაინც ვახერხებდით მეტოქისთვის პრობლემების შექმნას. თავდასხმის ხაზს არა უშავდა, სამაგიეროდ, პრობლემები შეგვექმნა დაცვასა და შუა ხაზში. იმედი გვქონდა, რომ მეტოქე მეორე ნახევარში ტემპს დააგდებდა, მაგრამ ეს არ მოხდა.*

*რაკი სხვა შედეგს ველოდით, იმედგაცრუებულები ვართ, თუმცა ოპტიმიზმის შენარჩუნება აუცილებელიაა. არა უშავს. მთავარია, რომ პლეი ოფში გავედით. შვედები კი, რომელთაც გუშინ კარგად ითამაშეს, სახლში მიემგზავრებიან. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ძალიან გაგვიჭირდება. უნდა დავისვენოთ და კარგი ფეხბურთი მხოლოდ ამის მერე ვაჩვენოთ. საჭიროა კონცენტრაცია, რომ მეტოქეს სერიოზული ბრძოლა გავუმართოთ. პირობას გაძლევთ, რომ ხვალ გუნდში ბევრად ოპტიმისტური განწყობა იქნება. იმედია, მომდევნო ჯერზე ბევრად უფრო მაღალ დონეზე ვითამაშებთ".*

**ლევან ბიბილაშვილი**

იტალიის ნაკრები

# პრანდელი: მარიომ კრიტიკა უნდა მიიღოს



მარიო ბალოტელი

იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი დაძლია და მეოთხედფინალში ინგლისს დაეჯახა. ბუნებრივია, აპენინებზე გახარებულები არიან და სანამ პლეი ოფები დაიწყებოდეს, განვლილ ბატალიებს აანალიზებენ. გარჩევის საგანი გახდა **მარიო ბალოტელის** საქციელი, რომელმაც ირლანდიელებთან გოლის შემდეგ გაურკვეველი მისამართით უცენზურო სიტყვების სროლა დაიწყო და ამის შემხედვარე **ლეონარდო ბონუჩიმ** მას პირზე ხელიც კი ააფარა; მაინც ვის აგინებდა ბალოტელი? – იქნებ თვით **ჩეზარე პრანდელის**, რომელმაც "გაბედა" და სუპერ მარიო სათადარიგოთა სკამზე გაამწესა... ჯერ ბონუჩის მოვუსმინოთ, რომელსაც "კორიერე დელო სპორტი" სწორედ ამ საკითხზე ესაუბრა:

*"მარიო განერვიულებული იყო, ემოციებს აჰყვა და გინება დაიწყო, როდესაც მივვარდი და პირზე ხელი ავაფარე. სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა*

## საიდუმლო გინების ამბავი

*არ მაქვს, თუ რატომ მოიქცა ასე და თუ ვის აგინებდა. მე მაინც მგონია, რომ მისი რისხვის ობიექტი ყველა ის ადამიანი გახდა, ვინც განვლილი ორი თამაშისთვის აკრიტიკებდა".*

ბალოტელის კრიტიკა მართლაც არ აკლდა – ესპანელებთან გაცუდებული ცნობილი მომენტის შემდეგ, საერთოდ მიწასთან გაასწორეს და ხაზი გადაუსვეს; ამ ყველაფერს ხორვატი გულშემატკივრების რასისტული გამოხდომები მოჰყვა და მოედანზე ბანანების გადმოყრა, რომლის ადრესატიც სწორედ ბალოტელი გახლდათ. მოკლედ, მარიოს ჰქონდა მიზეზი რომ გაღიზიანებული ყოფილიყო და სავარაუდოდ, სწორედ მის კრიტიკოსებს და თუნდაც ხორვატ გულშემატკივრებს გაუგზავნა უცენზურო სიტყვები; მიუხედავად იმისა, რომ ეს ვერსია ყველაზე უფრო ახლოს არის რეალობასთან, ჟურნალისტები ჩეზარე პრანდელის მაინც შეეხმიანენ და მას ჰკითხეს, მარიო თქვენ ხომ არ გაგინებდათო – აქვე პასუხი:

*"მარიოსთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს და როდესაც სათადარიგოთა სკამზე გავამწესე, ხმა არ ამოუღია. პირიქით, თანაგუნდელებს წარმატებები უსურვა და არც ხასიათი გაფუჭებია. გამომდინარე აქედან, არავითარი საფუძველი არ მაქვს, რომ ეჭვები აღმეძრას და მასთან ამ თემის განხილვა დავაწყო. ჩემი პირადი აზრით, უცენზურო სიტყვები კრიტიკოსებს გაუგზავნა, თუმცა არც ეს საქციელია კარგი და იმედი მაქვს, ამას თავადაც ხვდება. როდესაც პროფესიონალი ფეხბურთელი ხარ, კრიტიკის მიღება უნდა შეგეძლოს და ასე ადვილად არ უნდა გამოდიოდე წყობიდან. მჯერა, რომ მარიო ემოციებს მოთოკავს, რადგან ევროპის ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის".*

**ლაშა ნიკლაური**

ვერდიქტი

# უეფამ ხორვატია დასაჯა

14 ივნისს იტალია-ხორვატიის მატჩზე ბალკანელი გულშემატკივრების მხრიდან აპენინელთა შავკანიანი თავდამსხმელის **მარიო ბალოტელის** შეურაცხყოფის გამო უეფამ მოსმენა გამართა. ხორვატი ფანები ფეხბურთელს ბანანებს ესროდნენ და ამას გარდა ტრიბუნებზე პიროტექნიკურ საშუალებებსაც იყენებდნენ. *"ხორვატიის ფეხბურთის ფედერაცია მისი გულშემატკივრების მხრიდან სამართალდარღვევების გამო 80 ათასი ევროთი დაჯარიმდა. აპელაცია ამ საქმესთან დაკავშირებით შეიძლება უეფას გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში დაიწეროს,"* – ვკითხულობთ ევროპული ფეხბურთის მმართველთა განცხადებაში.

ცხადია, რომ 80 ათასი ევრო დიდი თანხაა, მაგრამ ბალკანელები ახლოსაც ვერ მოვლენ რუსების რეკორდთან. ჩვენს მეზობლებს უეფას სასარგებლოდ 150 ათასი ევროს გადახდა დაეკისრათ. მათ შორის 120 ათასის გულშემატკივართა უმსგავსო საქციელის გამო.

**ლევან ბიბილაშვილი**







ლონდონი 2012



ლევან ახვლედიანი

# პირველი საქართველოდან

## ლევან ახვლედიანი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ტექნიკურ დელეგატად დაინიშნა

**საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი საერთაშორისო ფედერაციაში სპორტის ამ სახეობის განვითარების კომისიის წევრია 2002 წლიდან. გუშინ, ის იყო "ლელოს" ახალი რუბრიკისთვის „ჩვენები საერთაშორისო სპორტულ სტრუქტურებში" მისი გვარიც მოვინიშნეთ სარედაქციო გეგმაში, რომ ლოზანიდან (შვეიცარია), სადაც ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციაა განთავსებული, სასიხარულო ცნობა მივიღეთ - ლევან ახვლედიანი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ტექნიკურ დელეგატად დაინიშნა.**

გუშინვე ლევანს ტელეფონით შევეხმიანეთ: "მოხარული ვარ, რომ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემზე შეაჩერა არჩევანი და მეტად საპასუხისმგებლო მისია დამაკისრა. ისევე, როგორც სპორტმენისათვის, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა საამაყო წარმატებაა სპორტის ჩინოვნიკისათვის და ამ დიდ ფორუმში მონაწილეობა მის კარიერაში მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება. ჩემთან ერთად იმუშავებენ წარმომადგენლები ისეთი დიდი საფრენბურთო ქვეყნებიდან როგორებიცაა: ბრაზილია, აშშ, იტალია, ესპანეთი და პორტუგალია. როგორც ვიცი, პირველი ქართველი ვარ, რომელსაც საერთაშორისო ფედერაციამ ანდო სპორტის კონკრეტულ სახეობაში ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე კონტროლი. ასე რომ, ორმაგად გახარებული ვარ, ერთი მხრივ ჩემს პატარა ქვეყანას წარმოვადგენ და მეორე მხრივ იმით, რომ აქამდე ამ რანგში ქართველს არ უმუშავია სპორტის არცერთ ოლიმპიურ სახეობაში", – გვითხრა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა.

ვულოცავთ!

**თენგიზ თომაშვილი**

თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის პირველობა ახალგაზრდებში

# დღე მეორე: უმედლო და წარუმატებელი

## ხორვატიაში ერთი ბრინჯაოს ამარა დავრჩით




საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა წარუმატებლად დაასრულა გამოსვლა ზაგრებში მიმდინარე თანატოლთა ევროპის პირველობაზე – გუშინ საერთოდ უმედლოდ დარჩა და სამშობლოში გუშინწინ **ჯუმბერ ყველაშვილის** (74) მიერ მოპოვებული ერთადერთი ბრინჯაოს ამარა ბრუნდება. ამ გუნდის თავკაცი **ნუგზარ სხირელი** მთელი მოსამზადებელი ციკლის განმავლობაში უკმაყოფილო იყო გუნდის ახალი კადრებით და გამუდმებით მისტიროდა შარშანდელ ვარსკვლავურ ნაკრებს. გვესმის, რომ ის მართლაც გამორჩეული თაობა იყო, რომლის მსგავსი იშვიათად თუ მოვა სპორტის ნებისმიერ სახეობაში – იმ გუნდის ნახევარი აგვისტოში ლონდონში ოლიმპიადაზე იჭიდავებს და თითქმის ყველა ფავორიტთა შორისაცაა; გვესმის ისიც, რომ ამ გუნდში თაობათა ცვლის პროცესია – ნებისმიერი ნაკრებისთვის მტკივნეული პროცესი, ხოლო ახალ კადრებს ადაპტაცია სჭირდებათ, თუმცა ამ გუნდმა, ამ ბიჭებმა მოსამზადებელი ციკლი დამაჯერებლად გაიარეს და მაშ რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს ჩავარდნა? სამწუხაროდ, უცხოეთის ახალგაზრდულ შეჯიბრებებზე ხელი ნაკლებად მიგვიწვდება, სტატისტიკა რომ დავთვალოთ, თუმცა ვეჭვობთ, ჩვენებს საზღვარგარეთულ ტურნირებზე ბევრთან მონაგებიც ექნებათ, ვისთანაც ახლა დამარცხდნენ. ცხადია, ზაგრებში მსაჯთა მიკერძოებაც იქნებოდა, მაგრამ მოსამზადებელ ციკლში ჩვენც ხომ არ დავუშვით შეცდომა, გუნდი პიკში რომ ვერ შეხვდა ამ ეტაპისთვის მთავარ სამიზნეს, რატომ ვერ მოუმატეს ჩვენებმა და რის ხარჯზე გვაჯობეს სხვებმა? ახალი კადრები გასაგებია, მაგრამ ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორ **გენო პეტრიაშვილის** (120) პირველივე წრეში მარცხი რას მივაწეროთ?

### ორნი - მედლისკენ

არადა, გუშინაც გვყავდა ნახევარფინალში კაცი – **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), პირველი დღის მსგავსად სანუგეშოში გუშინაც ორი ჩვენებური ჭიდაობდა – ზემოხსენებული ხაბალაშვილი და **სანდრო ამინაშვილი** (84), თუმცა მაინც უმედლოდ დავრჩით.

პეტრიაშვილის წაგების შემდეგ ხაბალაშვილი დამაჯერებელი ჭიდაობით გუშინდელი დღის მთავარი იმედი გახდა – მიჯრით, ძირითად დროში მოიგო სამი შეხვედრა და რაც ყველაზე საყურადღებოა, ძლიერი საჭიდაო სკოლების წარმომადგენლები დაამარცხა. თავდაპირველად მოლდოველ **ტომა ვასკანს** სძლია - 7:0, მერე კი აზერბაიჯანელ **ბახტიარ ისრაფილის** 2:2.3:0 მოუგო, რუს **ხაბიბ ბატიროვს** – 2:0; 2:0. ნახევარფინალში ის მომავალ ჩემპიონთან, თურქ **მუსტაფა კაიასთან** დამარცხდა – 0:2; 0:4. ეს თურქი ამ ასაკში ევროპის შარშანდელი პრიზიორია, მსოფლიოზე კი ბრინჯაოს მოპოვება **დავით გალეგაშვილმა** არ დაანება. ის უფროსთა შეჯიბრებებშიც ხშირად გამოდის – წლეულს მოიგო იაშარ დოგუს სახელობის პრესტიჟული მემორიალი და იასპარეზა სალიცენზიო ტურნირში. ამდენად, ხაბალაშვილზე ბევრად გამოცდილია და ალბათ ჩვენებურის მარცხიც ამას უნდა მივაწეროთ. სამწუხაროდ, ხაბალაშვილმა მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლა უკრაინელ **ივან პეტრიევთან** 0:3 წააგო.

ამინაშვილს ნაკრებში მოხვედრა **დავით მარსაგიშვილის** უფროსებში გადასვლის შემდეგ ეღირსა (შარშანაც გახდა საქართველოს ჩემპიონი, თუმცა ნაკრებში ვერ მოხვდა) და დებიუტი კინაღამ მედლით აღნიშნა. მან პირველ შეხვედრაში კოსოვოელი **შალა ედონი** 5:0 დაჯაბნა, მერე კი რუს **ალბერტ ციპინოვთან** 0:1; 0:1 დამარცხდა. მოგვიანებით ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი პრიზიორი ციპინოვი ფინალში გავიდა და ამინაშვილი სანუგეშოში გადაერთო, სადაც ჯერ ბულგარელი **ალტან მუსტაფა** გადათელა (1:1; 6:1), სომეხ **ვაჰე ტემრეზიანსაც** (ამას შარშან ამავე ტურნირის ფინალში მარსაგიშვილმა აჯობა) ძირითად დროში მოუგო – 2:0, გადამწყვეტი შერკინება კი მოლდოველ **ევგენი ერემიევთან** დათმო ძალზე დასანანად – 1:1-ზე, ბოლო ქულის გამო, რაკი ანგარიში ვერ შეინარჩუნა.

### დამარცხებული ლიდერები

პეტრიაშვილის ასენაადრევი წაგება ყველაზე დიდი მოულოდნელობაა – პირველივე წრეში უკრაინელ **მურადინ კუშკოვთან** 0:1; 3;3 დამარცხდა და მერე არც სანუგეშოში გადასვლის საშუალება მიეცა.

**ლაშა ტალახაძე** (55) შარშანწინ ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ევროპაზე კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, თუმცა წლეულს ახალ წონაში გადმოვიდა და, ეტყობა, ადაპტაცია ჯერ კიდევ არ გაუვლია. ისიც პირველივე წრეში დამარცხდა რუსთა მომავალ ბრინჯაოს პრიზიორ **საიდ გაზიმაგომედოვთან** – 0:1; 1:3 და გავარდა.

დღეს და ხვალ ზაგრებში გოგოები იჭიდავებენ, 23-24 ივნისი კი ბერძენ-რომაელთა ასპარეზობის დღეა. იმ ტურნირში ჩვენგან **დავით სანიკიანი** (50), **რამაზ სურმანიძე** (55), **ფირუზ წულუკიძე** (60), **გიორგი დავითაია** (66), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **იაკობ ქაჯაია** (96) და **ლევან არაბული** (120) გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# პეტრიაშვილმა ერთი ფავორიტი ჩამოიშორა

"ოლიმპიკის" კორტებზე გრძელდება 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „რენას და დათოს თასზე". თბილისის ტურნირზე 14-წლიანთა ფინალისტებმა **მარიამ ბოლქვაძემ** და **ანა ახალკაცმა**, რომლებიც პირველ-მეორე ნომრებად იყვნენ განთესილი და კვარცხლბეკზეც ასეთი თანმიმდევრობით ავიდნენ, ამჯერად 16-წლიანებში სცადეს ძალები. მარიამი დღეს რუს ვიქტორია კაპიტოლინას დაუპირისპირდება, ახალკაცი კი თანამემამულე შორენა თათელიშვილს გაუწევს მეტოქეობას. ამ უკანასკნელმა გუშინ რუსი ვერონიკა მარდაზარი ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 7:6. ასევე წარმატებით ითამაშა **ირინე ყარანგოზიშვილმა** - ბელარუსი ვიქტორია ვიაკლენკა დაამარცხა - 6:1, 6:4. დღეს მისი მეტოქე იქნება ამინა ანშბა (რუსეთი). გუშინ კიდევ ორი ჩვენებური გავიდა მე-2 წრეში: **ნანო ჯანელიძემ** და **ანა დობორჯგინიძემ**, შესაბამისად, ოლგა ვასილიევას და ნინო ბეჟიტაშვილს (ორივე - რუსეთი) სძლიეს. დღეს კი ბევრად სერიოზული მონინაალმდეგეები ეყოლებათ - ასპარეზობის ფავორიტები: თბილისის ტურნირის გამარჯვებული ალინა ზუბკოვა (ბელარუსი) და ვიცე-ჩემპიონი **ეკატერინე ლასარეიშვილი** (საქართველო).

ამავე ასაკში ვაჟთა პირველი წრის შეხვედრები ასე დამთავრდა: შტეფან ლოხნერი (თურქეთი) - **ირაკლი კეკელიძე** (საქართველო) 6:2, 6:1, სურენ ბაღდასარიანი (სომხეთი) - არიფ გულიევი (აზერბაიჯანი) 6:4, 6:3, **ერეკლე კლიმიაშვილი** (საქართველო) - სტეფან მხითარიანი (რუსეთი) 6:2, 6:1, დანიილ მიშჩენკო (ყაზახეთი) - ჩრის მიკროვასი (საბერძნეთი) 6:2, 6:1, მიქაილ ავეტისიანი (სომხეთი) - მურათ გურელი (თურქეთი) 7:5, 6:3. ანტონ ბანდარიკი (ბელარუსი) - **ზურაბ ბაქრაძე** (საქართველო) 6:3, 6:3. **გიორგი დათაშვილი** (საქართველო) - არტიომ როგოსოვი (რუსეთი) 6:1, 6:2. სტანისლავ ალეიკინი (უკრაინა) - ჰარუტინ მკრტიჩიანი (სომხეთი) 6:1, 6:0, მეჯიდ ახმედოვი (აზერბაიჯანი) - **გიორგი კაკულია** (საქართველო) 4:6, 6:1, 6:2.

14 წლის ჩოგბურთელთა მე-2 წრის შედეგები:

**გოგონები.** ეკატერინა კორჟოვა (რუსეთი) - ლინდა ონანიანი (სომხეთი) 6:3, 6:0. ანგელინა შახრაიჩუკი (უკრაინა)- **ნინო მემეშიში** (საქართველო) 6:3, 3:6, 6:4. აზა პეტროვა (უკრაინა) - ვარვარა კუკსინა (რუსეთი) 6:1, 6:4. მარია ტირინა (რუსეთი) - მილენა ავეტისიანი (რუსეთი) 6:3, 6:3. **ქრისტინე გეგეშიძე** (საქართველო) - მილანა ლისოვა (რუსეთი) 6:3, 6:0. ალექსანდრა კასატკი (რუსეთი) - **დეა ძამაშვილი** (საქართველო) 6:2, 6:0. ანასტასია გეველი (უკრაინა) - მარია სოვეტოვა (რუსეთი) 6:2, 2:6, 6:2. **მედეა პეტრიაშვილი** (საქართველო) - ვალერია დემინოვა (რუსეთი) 7:6, 6:2. საგულისხმოა, რომ დემინოვა ტურნირზე მე-2 ნომრად იყო განთესილი.

**ვაჟები.** მიხაილ სოკოლოვსკი (რუსეთი) - დავიდ იედიგარიანი (სომხეთი) 6:2, 6:2. მაქსიმ ზუბკოვი (ბელარუსი) - იგორ ანდღულაძე (რუსეთი) 6:2, 6:2. არტიომ როლიჩი (უკრაინა) - **ნიკოლოზ დავლიანიძე** (საქართველო) 6:0, 6:0. დავით ნორაკიძე (რუსეთი) - არტიომ სპასი (რუსეთი) 6:0, 6:2. სავა პოლუხინი (რუსეთი) - **ირაკლი მეტრეველი** (საქართველო) 6:4, 7:6. პაველ კოტოვი (რუსეთი) - **ზურაბ ტყემალაძე** (საქართველო) 6:4, 6:2. მიკიტა მაშტაკოვი (უკრაინა) - ალექსეი ზენკინი) 6:3, 7:6. ტიმურ იგამბერდიევი (რუსეთი) - კაგათეი ოზსეკერი (თურქეთი) 6:0, 6:4.

**ვაჟა დანელია**

მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი



ქრისტინე ესებუა

# წაგება თასზე ლიცენზიების მოლოდინში

## დღეს ქართველ მშვილდოსანთა საოლიმპიადო ბედი წყდება

ამერიკულ ოგდენში მიმდინარე მშვილდოსანთა მსოფლიოს თასზე გუშინ პლეი ოფები გაიმართა ინდივიდუალურ პირველობასა და შერეულ წყვილთა შორის. სამწუხაროდ, ჩვენმა წარმომადგენლებმა ყველა ფრონტზე წარუმატებლად ისროლეს, თუმცა ვიდრე ამაზე ვისაუბრებთ, მანამდე ქალთა საკვალიფიკაციო ეტაპზე ვთქვათ, რადგან ის შეჯიბრება გვიან დასრულდა და გუშინ მისი შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ გაცნობეთ.

როგორც გუშინ გითხარით, ჩვენგან ყველაზე უკეთ **ხათუნა ნარიმანიძე** ისროდა, რომელიც ზუსტად შუა ტურნირის შემდეგ მე-9 ადგილზე იყო. მან ეს პოზიცია ბოლომდე ვერ შეინარჩუნა, თუმცა არც ურიგოდ უსვრია – 641 ქულა დააგროვა და 127 მონაწილეს შორის 20-ე ადგილზე გავიდა. გაგვაოცა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ქრისტინე ესებუამ**, ოღონდ არა კარგი, არამედ ცუდი გამოსვლით – მხოლოდ 589 ქულა დააგროვა, რაც 97-ე პოზიცია აღმოჩნდა. თავისი მაჩვენებლების ფარგლებში ნორმალურად ისროლა **ასმათ დიასამიძემ** – 621 ქულა და 46-ე ადგილი.

ქალებიდან პლეი ოფში თუ სამივე ჩვენი მონაწილე შევიდა, ვაჟებიდან ეს მხოლოდ **ლაშა ფხაკაძემ** შეძლო, რომელიც 633 ქულით მე-60-ე იყო. ამ ოთხი ქართველიდან პლეი ოფის პირველი წრე იმან დასძლია, ვინც შესარჩევში ყველაზე ცუდად გამოვიდა – ესებუამ. მას პირველ წრეში მეტოქედ იაპონელი **რენ ჰაიაკავა** ერგო და უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში, გადასროლაში მოუგო მას შემდეგ, რაც ხუთმა პერიოდმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ამასობაში ნარიმანიძე ვენესუელელ **იერუბი სუარესთან** დამარცხდა, ვინაც შესარჩევში 93-ზე გავიდა. აქ ნარიმანიძემ მხოლოდ ორი პერიოდის ფრედ დასრულება მოახერხა და 2:6 წააგო. დიასამიძე ირანელ **მარიამ მაჰმოოდისერესთან** 1:7 დამარცხდა, ფხაკაძემ კი ბრიტანელ **ალან უილსთან** სამივე სეტი დათმო – 0:6.

1/24-ფინალში ესებუა ბრაზილიელ **სარა ნიკიტინს** შეხვდა და მხოლოდ მეორე პერიოდის მოგება შეძლო, დანარჩენი სამი კი წააგო და 2:6 დამარცხდა. შერეულ წყვილებში ნარიმანიძეს და ფხაკაძეს 1274 ქულა მოუგროვდათ, რაც მე-14-ე შედეგი აღმოჩნდა. პლეი ოფში ისინი მესამეზე მყოფ ამერიკელებს შეხვდნენ და 137:150 წააგეს.

დღეს ოგდენში ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი დღეა – სალიცენზიო ტურნირი იმართება. ჩვენი ქალები პირველ წრეში გერმანიის საკმაოდ ძლიერ გუნდს ხვდებიან, ვაჟები კი პლეი ოფში ვერ მოხვდნენ. გუნდურ პირველობაში ლიცენზიის მოსაპოვებლად სამეულში მოხვედრაა საჭირო, ინდივიდუალურში - ხუთეულში. დღესვე ტარდება გუნდური პლეი ოფი ქალთა შორისაც საკუთრივ მსოფლიოს თასზე, სადაც ჩვენი მანდილოსნების მეტოქეები მექსიკელები იქნებიან.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრების მომზადება



# სპეციალობა აღდგა

**როგორც ცნობილია, საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტებს შესაბამის ფაკულტეტებზე ამზადებდნენ, ბოლო წლებში ეს პროცესი შეფერხდა. და აი, გორის უნივერსიტეტში სპეციალისტთა მომზადების ტრადიცია კვლავ აღდგა. განათლების კანონის შესაბამისად ჩატარდა "სპორტული ტური", რაც შესაძლებლობას იძლევა ფაკულტეტზე სწავლის მოწადინებულ მსურველთაგან შეირჩეს მხოლოდ ღირსეულნი. ტურის გამოცდები გუშინ დამთავრდა და მისი შედეგები განათლების ეროვნულ ცენტრს დაუყოვნებლივ გადაეგზავნება.**

წყვეტას კადრების მომზადებაში ამ სასწავლებლის ფიზკულტურის კათედრის ყოფილი გამგე, ბატონი **გურამ პაპიტაშვილიც** ძალიან განიცდიდა და ამის თაობაზე არაერთხელ საჯაროდაც დაუჩივლია. ახლა კი, ცხადია, კმაყოფილებას ვერ მალავდა. პროფესორ **ალექსანდრე იაშვილის** თაოსნობით "სპორტულ ტურში" გამოცდის წინ აბიტურიენტებს დაწვრილებით განუმარტეს მათი არჩევანის სისწორის განსაზღვრაში ნორმატივების ჩაბარების მნიშვნელობა. მომავალ სტუდენტებს მიმართა სასწავლებლის რექტორმა **გიორგი სოსიაშვილმაც**. *„მინდა იცოდეთ, რომ ჩვენთვის პრიორიტეტი სპორტია. ტრადიციებზე დაყრდნობით და დღევანდელობის გათვალისწინებით სპორტის კათედრის თანამშრომლებმა სოსო ვაშაკიძის ხელმძღვანელობით შექმნეს მშვენიერი პირობები სწავლის, სპეციალობის მაღალ დონეზე დაუფლებისა და სპორტში მეცადინეობებისათის"*, - თქვა რექტორმა.

შევიტყვეთ საინტერესო სიახლის შესახებაც. სასწავლებლის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დაწესდა გურამ პაპიტაშვილის და გივი ხაჩიძის სახელობის სტიპენდიები, რომლებიც ამჯერად ძიუდოისტ **დავით კარბელაშვილს** და სამბისტ **ზაზა დავაძეს** გადასცეს. ხოლო ამავე უნივერსიტეტის სტუდენტს, თავისუფალი სტილის მოჭიდავე **ლადო ხინჩეგაშვილს**, რომელიც ლონდონის ოლიმპიადაზე იასპარეზებს, სწავლის გადასახადი მნიშვნელოვნად შეუმცირდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

SOS!




# ოლიმპიური ჩემპიონების კედელი დაანგრიეს

**გორის ცენტრში, ერთ-ერთ სკვერში შარშან გახსნილი "ოლიმპიური კედელი", ამ დღეებში დაანგრიეს. იქ ჯერჯერობით გაურკვეველი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.**

ოლიმპიური კედლის აშენების იდეა ყოფილ გუბერნატორ **ზურაბ არსოშვილს** ეკუთვნოდა, რომლის თანამდებობაზე ყოფნისას დაიწყო კიდეც მშენებლობა. თუმცა დასრულების დროს ის უკვე თანამდებობაზე აღარ იყო და რატომღაც წინასწარ დაანონსებული გახსნის ცერემონიაც არ შედგა. კედელზე ქართულ და ინგლისურ ენებზე იყო დაწერილი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების სახელ-გვარები და ის სპორტის სახეობა, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, „ჩუმად" აგებული და „უხმაუროდ" გახსნილი სახელოვანი ქართველი ოლიმპიელების საპატივსაცემოდ გაკეთებული ეს კედელი ვიღაცას თვალში არ მოსდიოდა და მალვე (რამდენიმე თვეში) „უხმაუროდვე" დაინგრა. შესაძლებელია მის ადგილზე რომელიმე მნიშვნელოვანი შენობაც ვიხილოთ, მაგრამ ასეთი ობიექტის დანგრევის გადაწყვეტილების მიღებას ის აჯობებდა გაეთვალისწინებინათ მისი ფუნქცია ლეგენდარული პიროვნებების ღვაწლის დაფასებასა და თაობების სპორტულ-პატრიოტულ აღზრდაში.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ადამიანი დროში

# სამოცი წლის გადასახედიდან

ექვსი ათეული წელიწადი ინურება მას შემდეგ, რაც ქართველმა სპორტსმენებმა პირველად იასპარეზეს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში. 1952 წელს ჰელსინკიში ჩვენი ქვეყნის 14 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს. მათგან 8 ათლეტმა სხვადასხვა სინჯის ჯილდო მოიხვეჭა. მათ შორის, ვინც ოლიმპიურ კვარცხლბეკზე შედგა ფეხი, გახლავთ თბილისელი მძლეოსანი **ნადეჟდა ხნიკინა,** რომელმაც 200 მეტრზე რბენაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

- მეორე მსოფლიო ომის დროს ჩვენი ოჯახი ბაქოდან თბილისში გადმოსახლდა, რადგან მამა გადმოიყვანეს აქ სამუშაოდ, - იხსენებს ქალბატონი ნადეჟდა გარდასულ დღეთა ქრონიკას. - მეშვიდე კლასში ვიყავი, სამხედრო მომზადების მასწავლებელმა გიორგი აგლაძემ რაიონული პირველობისთვის რამდენიმე გოგონა რომ შეგვარჩია. მე სიმაღლეზე ხტომაში ვემზადებოდი შეჯიბრებისთვის. რატომღაც ის ტურნირი ჩაიშალა, მასწავლებელმა კი „დინამოს" სტადიონზე გამგზავნა ცნობილ მწვრთნელ ბორის ტახტაროვთან სავარჯიშოდ. მან კი სიგრძეზე ხტომაში დამაწყებინა მეცადინეობა.

ოსტატისა და შეგირდის ერთწლიანმა გარჯამ შედეგი გამოიღო - 1948 წელს თბილისელი ათლეტი 5,50 მეტრზე გადახტა და მთელ საბჭოეთში ყველაზე ახალგაზრდა სპორტის ოსტატი მძლეოსანი გახდა. მომდევნო წელს საქართველოს დედაქალაქს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები ეწვივნენ სავარჯიშოდ და საასპარეზოდ. მათ შორის გახლდათ მოსკოველი სიგრძეზე მხტომელი გალინა ტუროვა, რომლის საკავშირო მიღწევას 15 წლის განმავლობაში ვერავინ მიუახლოვდა. და აი, „დინამოს" სტადიონზე 16 წლის ნადეჟდა ხნიკინამ ეს რეკორდი დაამხო. მაშინვე მიიწვიეს საკავშირო ნაკრებში, თუმცა, როგორც სკოლის მოსწავლეს, უფროსების შეჯიბრებებში სამი წელიწადი არ უასპარეზია.

- 1951 წელს თბილისის 22-ე ქალთა სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, - მითხრა ქალბატომა ნადეჟდამ. - იმავე წელს ჯერ საწვრთნელ შეკრებაზე მიხმეს, შემდეგ მოსკოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე გამოვედი. 100 და 200 მეტრზე რბენაში პირველი ადგილები დავიკავე, თანაც საკავშირო რეკორდებით. ბერლინში სტუდენტთა მსოფლიოს თამაშებში მესამე ვიყავი. ამ შედეგებით ნაკრებში მტკიცედ მოვიკიდე ფეხი. 1952 წელს საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ოლიმპიურ თამაშებზე გავემგზავრე. თბილისიდან ოთხი მძლეოსანი ვიყავით. ჰელსინკიში ლევან სანაძემ 4X100 მეტრზე ესტაფეტაში მე-2 ადგილი დაიკავა, ბადროს ტყორცნაში მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის მრავალგზის რეკორდსმენმა ნინო დუმბაძემ ბრინჯაო მოიპოვა. კარგად ვიყავი მომზადებული, ამიტომ ჩემგანაც მედლებს ელოდნენ. ეტყობა, ზედმეტმა მონდომებამ ხელი შემიშალა - 100 მეტრზე რბენის ფინალში ვერ მოვხვდი. 200 მეტრზე შევძელი ძალების მობილიზება. საკვალიფიკაციო ეტაპზე ოლიმპიური რეკორდი გავაუმჯობესე. ნახევარფინალშიც პირველმა გადავჭერი ფინიშის ხაზი, ფინალში კი მე და ჰოლანდიელმა ბრიუერმა ერთნაირი შედეგით - 24,2 წამით დავამთავრეთ დისტანცია. ნიდერლანდელს, მსაჯების გადაწყვეტილებით, ვერცხლი ერგო, მე - ბრინჯაო. ოქრო ავსტრალიელმა მარჯორი ჯექსონმა მოიპოვა. ცხადია, მონაგრით კმაყოფილი ვიყავი.

**- ოლიმპიურ სოფელში როგორ შეხვდნენ თქვენს წარმატებას?**

- მაშინ იოლი არ იყო საბჭოთა ნაკრების სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებთან კონტაქტი. ბევრი რამ გვეკრძალებოდა. რადგანაც 200 მეტრზე უნდა მერბინა, სხვათა ქომაგობის უფლებას არ მაძლევდნენ. სად იყო მაშინ ამდენი ტელეფონი - ოლიმპიურ სოფელში მორიგი ავტობუსის გამოჩენას ველოდით, რომ მეგობრების მიღწევები გაგვეგო. საქართველოს წარგზავნილებმა ფინეთის დედაქალაქში შესანიშნავად იასპარეზეს: დავით ციმაკურიძემ, რაფაელ ჩიმიშკიანმა და მზია ჯუღელმა ოქროს მედლები მოიპოვეს, ლევან სანაძემ, ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ ვერცხლი მოიხვეჭეს, მე და ნინა დუმბაძეს ბრინჯაოები გვერგო. მართალი გითხრათ, მაშინ ჩვენს წარმატებებს მაინცდამაინც დიდად არავინ აფასებდა,


ნადეჟდა ხნიკინა

რადგან ოლიმპიური თამაშების მნიშვნელობა, ეტყობა, არ ესმოდათ - ერთ ჩვეულებრივ შეჯიბრებად მიიჩნიეს. თუმცა 1953 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მომანიჭეს.

**- 1956 წელს თქვენ მელბურნის ოლიმპიადაზეც დაიმსახურეთ ბრინჯაოს მედალი, ოღონდ სიგრძეზე ხტომაში...**

- 1953 წელს მძლეოსანთა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე 100 და 200 მეტრზე რბენა კვლავ საკავშირო რეკორდებით მოვიგე (მკითხველს შევახსენებთ, რომ ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილმა სპრინტერულ დისტანციებსა და სიგრძეზე ხტომებში 15-ჯერ გააუმჯობესა საბჭოთა კავშირის რეკორდები, ხოლო საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ახალგაზრდობის მსოფლიო თამაშების ჩემპიონსა და ვერცხლის პრიზიორს 4X200 მეტრზე 4 მსოფლიოს რეკორდი ეკუთვნის - **ვ.დ.**), სიგრძეზე ხტომაში მეორე ადგილი დავიკავე. ამ ჩემპიონატის შემდეგ გავთხოვდი. ჩემი მეუღლე გახლდათ ანზორ დვალიშვილი, ცნობილი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე, ბამის მშენებელი. სკოლიდან გვიყვარდა ერთმანეთი. ანზორიც მძლეოსანი იყო - სიმაღლეზე მხტომელი. ურიგო შედეგები არ ჰქონია, მაგრამ დიდ სპორტს ნაადრევად ჩამოშორდა. სამაგიეროდ, მე მეხმარებოდა ყოველმხრივ, რომ სარბიელი არ მიმეტოვებინა. 1954 წელს „დინამოს" სტადიონზე მძლეოსანთა მორიგი შეჯიბრება გაიმართა. დილიდანვე კოკისპირულად წვიმდა. სად იყო მაშინ საფარიანი სექტორები. რომ გადაიღო, ანზორმა ბენზინი მოიტანა, სარბენ ბილიკზე მოასხეს, ცეცხლი დაანთეს და ასე გააშრეს. ამის მიუხედავად, გრუნტი მაინც მძიმე იყო. ერთ-ერთ ცდაზე 6,25 მეტრზე გადავხტი. მსოფლიო მიღწევა გავიმეორე და საქართველოს რეკორდი დავამყარე, რომელმაც 58 წელიწადი იარსება. წლეულს იგი ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატმა მაიკო გოგოლაძემ გააუმჯობესა.

1955 წელს ქალიშვილი შემეძინა. ნაკრების ხელმძღვანელებმა მთხოვეს, სარბიელს დავბრუნებოდი. მშობიარობის შემდეგ სპრინტერულ დისტანციებზე სისწრაფის აკრეფას ვერ ვასწრებდი, რადგან მელბურნის ოლიმპიადა ახლოვდებოდა. ამიტომ სახტომ სექტორში გადავინაცვლე. თამაშებისთვის ტაშკენტში ვემზადებოდით. ისეთი დატვირთვით გვავარჯიშებდნენ, რომ არაქათი გამოგვაცალეს, თორემ ავსტრალიაში უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა. მელბურნის თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი ვიყავი, ფინალში კი ყველას პოლონელმა ელჟბეტა ქშესინსკამ გვაჯობა - მსოფლიო რეკორდით (6,35) მოიპოვა ჩემპიონობა. 6,09 მეტრით მეორე იყო ამერიკელი უატი. ვერცხლის პრიზიორს 2 სანტიმეტრით ჩამოვრჩი და მე-3 ადგილი დავიკავე.

**- ქართული მძლეოსნობის დღევანდელ მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?**

- მძიმე პერიოდი გამოიარა საქართველომ - ომი, ნგრევა, უშუქობა, შიმშილი... ბოლო წლებში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. ახლა სპორტსმენებს მეტი შესაძლებლობა აქვთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მარტო ის რად ღირს, რომ მაიკო გოგოლაძემ და ბოლესლავ სხირტლაძემ სიგრძეზე ხტომაში მოიპოვეს ლონდონის ოლიმპიადის საგზურები. თარჯრბენში ისევ დავით ილარიანმა იყოჩაღა. ჩემი შვილიშვილი ლიკა დვალიშვილი რამდენიმე წლის წინათ პერსპექტიულ მძლეოსნად მიაჩნდათ, მაგრამ უსახსრობის გამო დიდ სპორტში ვერ დარჩა. დღეს ფედერაციაში მუშაობს. ის მიყვება ხოლმე იქაურ ამბებს. სასიამოვნოა, რომ სიმაღლეზე მხტომელ ზურაბ გოგოჭურსა და ბადროს მტყორცნელ სალომე რიგიშვილს ევროპის ჩემპიონატზე წლევანდელი თამაშების ლიცენზიის მოპოვების შანსი აქვთ. საქართველოს ხომ ამ სახეობებშიც აქვს სასახელო ოლიმპიური მიღწევები. ალბათ, პირფერობაში არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ ქართული მძლეოსნობის ბოლოდროინდელი წინსვლა და წარმატებები ფედერაციის ამჟამინდელ თავკაცს - ალექსი ახვლედიანს უკავშირდება. განსაკუთრებით ის მახარებს და მაიმედებს, რომ ფედერაციის საქმიანობაში მთავარი ადგილი მოზარდებთან მუშაობას უკავია: პატარებისთვის არამარტო შინაური შეჯიბრებები ეწყობა, არამედ უცხოეთშიც მიდიან საწვრთნელ შეკრებებსა და ტურნირებზე. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასაც დიდი ყურადღება ექცევა. დასტურად ჩვენი საამაყო დიდუბის მანეჟის რეკონსტრუქციაც კმარა. თუ ასე გაგრძელდა, დარწმუნებული ვარ, საქართველოში მძლეოსნობა უწინდელ ტრადიციებს დაიბრუნებს.

**ვაჟა დანელია**

წყალხტომა

# ბოლცანოში ლიცენზიატთა წინააღმდეგ

იტალიურ ბოლცანოში დღეს დაიწყება წყალში მხტომელთა მსოფლიო გრან პრის მე-6 ეტაპი. შეჯიბრებაში 20 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები მოიყრიან თავს, მათ შორის იქნება 20-მდე მხტომელი, რომლებსაც ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზია აქვთ. ამ ტურნირზე ისინი ზაფხულის თამაშების წინ ძალებს მოსინჯავენ. ბოლცანოში იასპარეზებს თბილისელი **ჭოლა ჭანტურია** (მწვრთნელი **ირაკლი ბართაია**), რომელიც უკვე იტალიაშია. წლეულს პირველ გრან პრიში იგი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ფინალში შევიდა და საბოლოოდ მე-12 ადგილი დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

ინტერვიუ გიორგი შერმადინთან

# დიდი პასუხისმგებლობა: საქართველოში, სავსე ტრიბუნების წინ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



კანტუ-კახა ლაბორალი, შერმადინი ტელეტოვიჩის წინააღმდეგ

ევროპაშიც და საქართველოშიც, კლუბები ყოველი სეზონის შემდეგ ერთი პრინციპით კომპლექტდება: ჯერ წამყვან კალათბურთელებთან აფორმებენ კონტრაქტს, რათა მათი გადაბირება არავინ დაასწროს. მაგალითად „ვირტუსს" სეზონი რამდენიმე დღის დასრულებული ჰქონდა, როცა **ვიქტორ სანიკიძეს** სიენას „მონტეპასკიმ" სამწლიანი ხელშეკრულება შესთავაზა.

**გიორგი შერმადინს** კი „მაქაბიმ" ორწლიანი კონტრაქტი მაისში გაუფორმა. 23 წლის, 216 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრი თელავივური კლუბის პირველი შენაძენი აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელ დევიდ ბლატს იგი საკვანძო ფიგურად სჭირდება.

კონკრეტულად რა დაევალება გიორგის და როგორ მოერგება ბლატისეულ დაზეთილ მექანიზმს, ამას მომავალ სეზონში ვნახავთ, ახლა სჯობს შესავალს წერტილი დავუსვათ და თავად კალათბურთელს მოვუსმინოთ, რომელიც საქართველოშია და ოჯახთან ერთად ისვენებს.

## მაქაბი

**- „კანტუსთან" ერთად სეზონის დასრულების შემდეგ ისრაელში ხომ არ ჩასულხარ?**

- არა. თელ-ავივში სამედიცინო შემოწმების გავლის მიზნით მომიწევს გადაფრენა. თუმცა ზუსტად არ ვიცი - როდის. შესაძლოა, მომდევნო თვეში, ან სანაკრებო მატჩების დასრულების შემდეგ.

**- საქართველოშიც „მაქაბის" ღირსებას იცავდი. უცხოეთში არაერთი კლუბი მოიარე და ბოლოს ისევ „მაქაბის" მიაშურე...**

- წინასწარ ნამდვილად არ ჩამიფიქრებია, უბრალოდ ასე დაემთხვა. განვლილი სეზონის დასრულების შემდეგ ყველაზე დიდი ინტერესი ისრაელის „მაქაბიმ" გამოიჩინა და არც მე ვიყავი წინააღმდეგი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ყვითელ-ლურჯი მაისურა ჩემთვის უცხო არ არის, საქართველოშიც მეცვა. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**- ცნობილია, „კანტუსაც" სურდა კონტრაქტის გახანგრძლივება. თვლი, რომ „მაქაბიში" გადასვლა სწორი ნაბიჯი იყო?**

- ასე რომ არ ვთვლიდე, კონტრაქტი არ შედგებოდა. საერთოდაც, გადადგმულ ნაბიჯზე არასოდეს უნდა ინანო. თელავიველებს კარგი გუნდი ჰყავთ, ფუნქციები ყველა კალათბურთელზე თანაბრადაა გადანაწილებული და შესაძლებლობებს თითოეული წევრი სათანადოდ ავლენს. ამიტომ, იმის საჩვენებლად, რა შემიძლია, ვფიქრობ, შანსი მეც საკმარისად მექნება.

**- ხელშეკრულების გაფორმებამდე „მაქაბის" მწვრთნელ დევიდ ბლატს თუ ელაპარაკე?**

- გუნდში გადასვლის წინ მწვრთნელთან არ მისაუბრია. თუმცა, არაერთხელ შევხვედრივარ. „მაქაბის" წინააღმდეგ ევროლიგაზე ორჯერ სლოვენიის „ოლიმპიას" მაისურით ვითამაშე, ორჯერაც „კანტუს" ფორმით. ბოლო მატჩის წინ ბლატი გამოსასვლელში იდგა და თბილადაც მომესალმა. ალბათ, მაშინ ჩემი გადაყვანა მონახაზში უკვე ჰქონდა. კინაღამ გამომრჩა, ბლატს 2011-12 წლებში სულ ხუთჯერ შევხვდი - ევრობასკეტზე ის რუსეთის ნაკრებს წვრთნიდა.

## კანტუ

**- აღნიშნე, რომ „მაქაბიში" ფუნქციები ყველა კალათბურთელზე თანაბრადაა განაწილებული. იმავეს თქმა შეიძლება „კანტუზე", რომელშიც წარმატებული სეზონი გქონდა.**

- არ ვიცი, 2011-12 წლების სეზონი სხვა გუნდში რომ ჩამეტარებინა, რა შედეგს ვუჩვენებდი. მაგრამ, ვფიქრობ, „კანტუში" მართლაც თავისუფლად ვითამაშე. ამის მთავარი მიზეზი მწვრთნელი ანდრეა ტრინკიერი გახლდათ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. იგი გუნდისთვის ყველაფერი იყო, ტაქტიკოსიც, ფსიქოლოგიც, ექიმიც... ამიტომაც ჰქონდა მაღალი შედეგები - „კანტუმ" ევროლიგაზე არაერთ ძლიერ გუნდს აჯობა და ტოპ-16-ში ითამაშა, ხოლო მეოთხედფინალში გასასვლელად ძალიან ცოტა დააკლდა.

**- სეზონის ბოლოს გულშემატკივარი გუნდისგან კვლავ იტალიის ჩემპიონატის ფინალში მოხვედრას ელოდა, მაგრამ ასპარეზობას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. რა იყო ამის მიზეზი?**

- სეზონის ბოლოს გუნდის თამაშზე უარყოფითი გავლენა ტრავმებმა მოახდინა. პლეი ოფში გუნდს ვერ დავეხმარეთ მე, მიკოვი, სჩეკიჩი. ზოგი კალათბურთელი მეოთხედფინალს ახლად გამოჯანმრთელებული შეხვდა. პესაროს „სკავოლინისთან" გადამწყვეტ შეხვედრებში მთელი დატვირთვა 6-7 კალათბურთელზე მოდიოდა...

**- იტალიელები უკმაყოფილონი იყვნენ - მოეცადათ და „მაქაბისთან" ხელშეკრულება „კანტუს" მატჩების დასრულების შემდეგ გაეფორმებინათ. მართლა ადრე მოაწერე ხელი კონტრაქტს?**

- თავიდან რამდენიმე საიტმა (მათ შორის ლიტვურმა) დაწერა - შერმადინი „მაქაბიში" გადავიდაო, რამაც დიდი ხმაური გამოიწვია. ეს ტყუილი იყო, მაშინ ხელშეკრულება ნამდვილად არ მქონდა გაფორმებული. სეზონის ბოლოს „მაქაბის" პრეზიდენტმა რომ გამოაცხადა, შერმადინი დავიმატეთო, მაშინ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

**- კანტუელი თანაგუნდელი დორონ პერკინსიც „მაქაბიში" აპირებდა დაბრუნებას.**

- სურვილი ჰქონდა, მაგრამ ისრაელის ჩემპიონის შემადგენლობაში დორონის პოზიციაზე ლენგფორდი თამაშობს. თუ იგი გუნდში დარჩება, პერკინსი ალბათ, სხვაგან წავა.

**- ისიც ითქვა, „მაქაბის" შარუნას იასიკევიჩუსი სურსო.**

- შარუნასთან ძალიან ახლოს ვარ, კარგი პიროვნებაა. მასთან ერთად ბერძნულ „პანათინაიკოსში" ვთამაშობდი. გამიხარდება, თუ კვლავ მის გვერდით მომიწევს ასპარეზობა.

## ტრავმა

**- მეოთხედფინალებში მწვრთნელმა გუნდის განაცხადში შეგიყვანა. მოედანზე გამოჩენასაც ველოდით, მაგრამ ამაოდ. ტრავმა ბოლომდე არ გქონდა მოშუშებული?**

- მცირე ტკივილს ახლაც ვგრძნობ. ცხადია, მაისშიც არ ვიყავი სათამაშოდ მზად. მოედანზე ამიტომაც ვერ გავედი.

**- კონკრეტულად რა დაგიზიანდა?**

- ტერფის თითის ძვალი იყო გაბზარული. იტალიელმა ექიმებმა ლითონი ჩამიდგეს, რომელიც ახლაც ფეხში მაქვს. მირჩიეს, ასე უფრო მყარად იქნებაო.

**- ვარჯიშს როდის შეუდგები?**



შერმადინი მაქაბიში უკვე თამაშობდა

- 2 ივლისს საქართველოს ნაკრები შეიკრიბება. მინდა მზადება გუნდის დანარჩენ წევრებთან ერთად დავიწყო, მაგრამ მანამდე სურათს გადავიღებ, ექიმებს ვუჩვენებ და თუ ყველაფერი კარგად იქნება, ვარჯიშსაც შევუდგები.

## ნაკრები

**- კარს მოგვადგა ევროპის მორიგი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. გულშემატკივარს ამ საკითხთან დაკავშირებით თითოეული კალათბურთელის მოსაზრება აინტერესებს.**

- მთავარია, მოსამზადებელ ეტაპსა და თამაშებს ყველა ჯანმრთელად შევხვდეთ. სეზონის ბოლოს ზაზა ფაჩულიასაც ფეხის პრობლემა ჰქონდა, ჩემი მდგომარეობა უკვე გაგაცანით. საქართველოს ნაკრების თამაშზე ერთი კალათბურთელის დანაკლისიც გარკვეულ გავლენას ახდენს. იმედი მაქვს, ყველა მწყობრში ვიქნებით და ნატურალიზებული ამერიკელიც სათანადოდ შეგვეწყობა, თუმცა ჯერ არ ვიცით, ვინ არის. შარშანდელზე უკეთესად უნდა ვითამაშოთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წლეულს ოთხი თამაში თბილისში გვაქვს, სავსე ტრიბუნების წინაშე მოგვიწევს გამოსვლა და ჩვენი გულშემატკივარი არ უნდა გავაწბილოთ.

**- ბოსნიის ნაკრების რამდენიმე წევრის წინააღმდეგ გასულ სეზონში ითამაშე...**

- მირზა ტელეტოვიჩი ესპანურ „კახა ლაბორალში" ასპარეზობს. ფიზიკურად ძალიან ძლიერია და კარგი შემსრულებელიცაა. მისი შეჩერება იოლი არ არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტელეტოვიჩის პოზიციაზე ჩვენს გუნდში ვიქტორ სანიკიძე თამაშობს. „რომას" უკანასკნელი ნიჰად დედოვიჩიც სერიოზული მოთამაშეა, მას დრაფტზე არჩევას უწინასწარმეტყველებენ. თუმცა, საერთო ჯამში ბოსნიაზე არანაკლები გუნდი გვყავს.

**- დანარჩენ მეტოქეებსაც მეტ-ნაკლებად კარგად იცნობ.**

- ლატვიელებს შარშან ამხანაგურად ორჯერ ვეთამაშეთ. მოგება-წაგება გავცვალეთ, რაც იმას ნიშნავს რომ არც ბალტიისპირელებს ჰყავთ ურიგო გუნდი. იგივე უნდა ითქვას ჰოლანდიაზე. თუმცა სადღეისოდ ყველა მეტოქეზე მსჯელობა რთულია. წინ ეტაპობრივად უნდა ვიაროთ, ჯერ უახლოესი მოწინააღმდეგისთვის მოვემზადოთ, შემდეგ მეორისთვის, მესამისთვის და ა.შ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



2011 წელი, საქართველო VS რუსეთი

საქართველოს ნაკრები

# ივნისის ბოლო ტესტი

**საქართველოს ნაკრები უკვე სამი დღეა კანადაში, ვანკუვერთან ახლოს, ქალაქ ბარნაბიში იმყოფება და მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან სასპარეზოდ ემზადება. „ბორჯღალოსნებმა“ გასულ უქმეებზე დენვერში აშშ-ის ნაკრებთან 36:20 წააგეს. იმავე დღეს „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ ტორონტოში იტალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 16:25 დამარცხდა.**

კანადური სპორტული მედია მომავალ დაპირისპირებას დიდ ყურადღებას უთმობს. ორივე გუნდისთვის ივნისის ტესტებზე ეს ბოლო მატჩია და, ცხადია, ორივე ყველაფერს ილონებს, ტურნე მაჟორულ ნოტზე დაასრულოს. აი რას წერს კანადური ერთ-ერთი სარაგბო ვებგვერდი:

*„ექვსი ერის ერთ-ერთ წარმომადგენელ იტალიის ნაკრებთან უმძიმესი მატჩის შემდეგ, კანადის ეროვნულ გუნდს არანაკლები სირთულის თამაში ელის ევროპის მეორე ეშელონის საუკეთესო გუნდთან, საქართველოს ნაკრებთან.*

*„ნეკერჩხლის ფოთლები“ მეტოქეს ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ ბარნაბიში დაუხვდება. ორივე გუნდისთვის ეს ივნისის ტესტებზე ბოლო შეხვედრა იქნება და, ცხადია, მორაგბეები მაქსიმუმს გაიღებენ, რათა გამარჯვება იზეიმონ.*

*კანადელების მთავარი მწვრთნელი უკმაყოფილო იყო თავისი მორაგბეებით იტალიის ნაკრებთან. კანადელები ასპარეზობისას უპირატესობას მაშინ ალწევდნენ, როცა თამაშის გაშლას ახერხებდნენ. იტალიელთა მძლავრ შერკინებას კი ვერაფერი მოუხერხეს. იგივე პრობლემები ელის ჩვენს გუნდს ქართველებთან მატჩშიც. ისევე როგორც იტალიელთა უმრავლესობა, საქართველოს ნაკრების მორაგბეებიც საფრანგეთის ჩემპიონატში ასპარეზობენ და დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩევიან.*

*რაგბი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობაა. ამ ქვეყნის ნაკრების თიკუნი „ლელოს“ ეროვნული ტრადიციული თამაშიდან, ლელობურთიდან წარმოიშვა. საქართველო მსოფლიოს კალსიფიკაციაში მე-15 ადგილზეა და ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სარაგბო ერია მთელ მსოფლიოში. ამ პატარა ქვეყანაში 6000 დარეგისტრირებული მორაგბეა და 41 სარაგბო კლუბი ფუქციონირებს.*

*საქართველოს ნაკრებმა ისევე, როგორც ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა, შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში შესანიშნავად იასპარეზა. გუნდმა დამაჯერებლად დაამარცხა დიდი ხნის ნაცნობი და მუდმივი მეტოქე ერთა თასის გათამაშებაში, რუმინეთის ნაკრები. დიდი პრობლემები შეუქმნა ინგლისს, არგენტინასა და შოტლანდიას. არგენტინელებთან ქართველებმა პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც - 7:5, თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ.*

*საქართველოს ნაკრებმა ახლახან მეხუთედ მოიპოვა ევროპის ერთა თასი, რომელიც 2000 წლიდან ტარდება და აქვს ფანტასტიკური შედეგი - ქართველებმა ამ ტურნირში გამართული მატჩების 80 პროცენტი მოიგეს.*

*ჩვენი მომავალი მეტოქის მორკინალები საფრანგეთის ჩემპიონატში უმაღლეს დონეზე ასპარეზობენ და თავიანთ კლუბებში წამყვანი მოთამაშეები არიან. ახლახან კი შოტლანდიურ „ედინბურგში“ ჩაირიცხა მესამეხაზელი* ***დიმიტრი ბასილაია.*** *ეს ყოველივე ქართველთა ეროვნული გუნდის შერკინების სიძლიერეს ადასტურებს. ამიტომ კანადელი მორკინალები ისე უნდა გაისარჯონ, როგორც არასდროს. მათი მთავარი ამოცანა მეტოქის შერკინების უპირატესობის განეიტრალება უნდა იყოს, რის შემდეგაც თავისი სიტყვა უკანახაზელებმა უნდა თქვან.“*

**კანადის ნაკრებმა იტალიასთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: 15. ჯეიმზ პრიტჩარდი, 14. კონორ ტრეინორი, 13. დი ტი ეიჩ ფან დერ მერვე, 12. მაიკ შოლცი, 11. ფილ მაკენზი, 10. მეთ ევანსი, 9. შონ ვაითი. 1. ჰუბერ ბუდენსი, 2. მაიკ პლეტჩი, 3. ჯეისონ მარშალი, 4. ჯო სინკლერი, 5. ტაილერ ჰოტსონი, 6. ტაილერ არდრონი, 7. ჩონსი ოტული, 8. აარონ კარპენტერი.**

**16. ენდრიუ ტიდმანი, 17. ტომ დოლეზალი, 18. ჯონ ფელანი, 19. ნანიაკ დალა, 20. ედვარდ ფეირჰურსტი, 21. ლიამ ანდერვუდი, 22. კირან ჰირანი.**

აქამდე „ბორჯღალოსნებს“ კანადის ეროვნულ ნაკრებთან ორჯერ უთამაშია. 2009 წელს ჩერჩილის თასის გათამაშებაში დენვერში კანადელებმა 42:10 მოგვიგეს. მომდევნო წელიწადს კი თბილისში საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა - 22:15. ცხადია, „ნეკერჩხლის ფოთლები“ ყველაფერს ილონებენ, რათა რევანშს მიაღწიონ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ნაკრების მორაგბეებმა აკლიმატიზაცია უკვე გაიარეს და მეტოქეს, წესით, ბევრად უფრო მედგრად დაუხვდებიან, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს.

მატჩი 24 ივნისს, თბილისის დროით ღამის პირველ საათზე დაიწყება.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), რეზო ბელქანია (ლა სეინი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), შალვა მამუკაშვილი (არმია).

მეორე ხაზი: ვახტანგ მაისურაძე (ალბი), გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), დავით ჩიტიძე (არმია).

მესამე ხაზი: ბექა ბიწაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია), გივი ბერიშვილი, ზვიად მაისურაძე (ორივე-ლოკომოტივი), გია ლაბაძე (ლა სეინი), შალვა სუთიაშვილი (მასი)

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV), ბიძინა სამხარაძე (არმია)

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).

№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ შარიქაძე (ჰართპური).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ალექსანდრე თოდუა (ალბი).

№15. ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).



აშშ-საქართველო

ჭაბუკთა ლიგა



# ფავორიტი ლელოა

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A და B ლიგებში მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. A ლიგის გათამაშების A ჯგუფში შვიდი ტურის შემდეგ დაუმარცხებლად ლიდერობს თბილისის „ლელო“, რომელიც, როგორც ჩანს, არა მარტო ამ ჯგუფის, არამედ მთლიანად ტურნირის მთავარი ფავორიტია.**

ლელოელებმა მე-7 ტურში თბილისის „ლოკომოტივი“ დაამარცხეს 20:3 და 31 ქულა დაუგროვდათ. მათ 6 ქულით ჩამორჩება „ქუთაისი 1“, რომელმაც შინ დიდი ანგარიშით მოუგო შეჯიბრების დებიუტანტ თბილისის „წიქარას“ - 75:5.

ქუთაისელთა პირველ გუნდს პლეი ოფის საგზურს თბილისის „ჯიქები“ ეცილება, რომელსაც 24 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა. „ჯიქებმა“ მე-7 ტურში შინ დაძაბულ ბრძოლაში სძლია „ქუთაისი 2“-ს - 24:18.

ამავე ჯგუფში თბილისის „ივერიამ“ დიდი ანგარიშით დაამარცხა დებიუტანტი თბილისის „ჯვაროსნები“ - 76:3.

### A ლიგა

#### A ჯგუფი

**ჯვაროსნები-ივერია 3:76, ჯიქები-ქუთაისი 2 24:18, ქუთაისი 1- წიქარა 75:5, ლელო-ლოკომოტივი 20:3.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ლელო - 31 ქულა, 2. ქუთაისი 1 - 25, 3. ჯიქები - 24, 4. ივერია - 19, 5. ქუთაისი 2 - 15, 6. ლოკომოტივი - 11, 7. ჯვაროსნები - 5, 8. წიქარა - 0.**

ჭაბუკთა B ლიგაში, დღემდე დაუმარცხებელი ალმოსავლეთ ზონის A ჯგუფში მოასპარეზე „არმიაა“. ეს გუნდი, რომელსაც 41 ქულა დაუგროვდა მე-10 ტურში ისვენებდა. მას ორი ქულით ჩამორჩება თბილისის „ჯიქები“, რომელმაც სტუმრად მშრალი ანგარიშით დაამარცხა აუტსაიდერი თელავის „მუტრუკები“ - 117:0.

პლეი ოფში გამსვლელი საგზურისთვის რეალურ პრეტენზიას აცხადებს რუსთავის „ხარები“, რომელსაც ამჟამად 37 ქულა აქვს. რუსთაველებმა შინ მოუგეს ტურნირის დებიუტანტ თბილისის „ჯვაროსნებს“ - 35:0.

„ხარებს“ კვალში უდგას თბილისის „ლელო 1“, რომელმაც შინ იოლად სძლია პატარძეულის „ვეფხვებს“ - 43:3. ლელოელთა მეორე გუნდმა კი თბილისის „ყოჩებთან“ წააგო - 3:43.

### B ლიგა

#### A ჯგუფი

ლელო 1-ვეფხვები 43:3, ყოჩები-ლელო 2 43:3, ივერია-ტორნადო 17:7, ხარები-ჯვაროსნები 35:0, მუტრუკები-ჯიქები 0:117.

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. არმია - 41 ქულა, 2. ჯიქები - 39, 3. ხარები - 37, 4. ლელო 1 - 29, 5. ყოჩები - 25, 6. ტორნადო - 21, 7. ივერია - 20, 8. ჯვაროსნები - 19, 9. ლელო 2 - 9, 10. ვეფხვები - 5, 11. მუტრუკები - 0.**

B ჯგუფში პლეი ოფში გასვლისთვის შედარებით უფრო დაძაბული ბრძოლაა. აქ შემდეგი ეტაპის ორ საგზურზე პრეტენზიას ერთბაშად ოთხი გუნდი აცხადებს. ესენია: თბილისური გუნდები - „აკადემია“, „ხულიგანა“, „არმაზი“ და „ლოკომოტივი 1“.

39 ქულით პირველ ადგილზე აკადემიელები არიან, რომლებმაც მე-10 ტურში მეოთხეადგილოსანი „ლოკომოტივი 1“ დაამარცხა მშრალი ანგარიშით - 33:0. რკინიგზელთა პირველ გუნდს ახლა 37 ქულა აქვს.

38-38 ქულა დაუგროვდათ და მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ „ხულიგანა“ და „არმაზი“. „ხულიგანასთან“ სათამაშოდ გურჯაანის „კახები“ არ გამოცხადდა და თბილისურ გუნდს მოგება ჩაეთვალა. „არმაზმა“ კი დიდი ანგარიშით სძლია დედოფლისწყაროს „მიმინოს“ - 126:7.

ამავე ჯგუფში კასპის „თსუ ლომებმა“ თბილისის „თიბისის“ მოუგეს - 10:0. ხოლო რკინიგზელთა მეორე გუნდმა აუტსაიდერი "წიქარა" დაამარცხა - 19:10.

#### B ჯგუფი

**არმაზი-მიმინო 126:7, ხულიგანა-კახები (კახები არ გამოცხადდა), თსუ ლომები-თიბისი 10:0, ლოკომოტივი 1-აკადემია 0:33, ლოკომოტივი 2-წიქარა 19:10.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. აკადემია - 39 ქულა, 2. ხულიგანა - 38, 3. არმაზი - 38, 4. ლოკომოტივი 1 - 37, 5. კახები - 24, 6. მიმინო - 18, 7. თსუ ლომები - 15, 8. ჩოხოსნები - 14, 9. თიბისი - 12, 10. ლოკომოტივი 2 - 5, 11. წიქარა - 0.**

დასავლეთ ზონაში ჯგუფური ეტაპი დასრულებულია და ოთხი გუნდი, „ქუთაისი 1“, „ქუთაისი 2“, „ქუთაისი 3“ და ფოთის „რაინდები“ მომავალი მეტოქეების მოლოდინში არიან.

შვიდკაცა რაგბი

# მოსკოვში მეორე ეტაპზე

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები ევროპის გრან-პრის სერიის მორიგ ეტაპზე მოსკოვში იასპარეზებს. ტურნირი 30 ივნისს დაიწყება და, როგორც წესია, ორ დღეს გასტანს.**

ჩვენი გუნდი მოსკოვურ ეტაპზე A ჯგუფში მოხვდა, სადაც მას მეტოქეობას ინგლისის, უელსის, რუსეთის, ჰოლანდიისა და უკრაინის ნაკრებები გაუწევენ.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი გრან-პრის სერიის პირველ ეტაპზე, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ლიონში გაიმართა, „შვიდკაცა ბორჯღალოსნები“ მე-8 ადგილს დასჯერდნენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კახა ალანია** მოსკოვში, სავარაუდოდ, განახლებულ შემადგენლობას იახლებს. რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე მან ახლახან გამართული საქართველოს შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მონიშნა.

**A ჯგუფი:** ინგლისი, უელსი, რუსეთი, საქართველო, ჰოლანდია, უკრაინა.

**B ჯგუფი:** პორტუგალია, ესპანეთი, შოტლანდია, საფრანგეთი, იტალია, გერმანია.

ლეგიონერები

# ბრეგვაძემ და გიორგაძემ როლები გაცვალეს

საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი ჯაბა ბრეგვაძე, რომელიც წლეულს საფრანგეთის ჩემპიონის „ტულუზის“ რიგებში ჩაირიცხა დაშავებულია და ოპერაცია უნდა გაიკეთოს. როგორც ყოველდღიური ფარანგული სარაგბო გაზეთი „მიდი ოლიმპიკი“ იუწყება, ამის გამო ბრეგვაძეს სამი თვე გაუცდება და ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპს გამოტოვებს.

„სამედიცინო ჯოკერის“ ასაყვანად „ტულუზის“ ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს შორს არ წასულიყვნენ და გუნდში კიდევ ერთი ქართველი, შერკინების კვაჭი **აქვსენტი გიორგაძე** დატოვონ. ბედის ირონიაა, მაგრამ ფაქტია. რომ წლის დასაწყისში დაშავებული გიორგაძის ნაცვლად სწორედ ბრეგვაძე აიყვანა „ტულუზმა“ „სამედიცინო ჯოკერად“.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

დოპინგი

# რას ერჩიან არმსტრონგს?

## ლეგენდარული ველომრბოლის წინააღმდეგ ყველაზე სერიოზული შეტევა წამოიწყეს

**აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტომ ლენს არმსტრონგის წინააღმდეგ ოფიციალური ბრალდება წამოაყენა. ლეგენდარული სპორტსმენი, ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი ადრეც არაერთხელ დაუდანაშაულებიათ დოპინგის მიღებაში, მაგრამ გამორიცხული არ არის, ეს ყველაზე სერიოზული შეტევა იყოს ამერიკელზე და მას სერიოზული შედეგები მოჰყვეს.**



ლენსს ყველა ტიტული წყალში ეყრება

ახალი ბრალდება იმას ნიშნავს, რომ არმსტრონგი, რომელმაც დაასრულა ველომრბოლის კარიერა, მაგრამ დრო და დრო გამოდიოდა ტრიატლონის პრესტიჟულ ტურნირებში, გამოძიების დასრულებამდე ვერ შეძლებს სპორტის ამ სახეობაში სტარტზე გასვლას. ამჟამინდელ ბრალდებაში არის რაღაც სიახლე, რადგან აქამდე ლაპარაკი ამერიკელის დოპინგ-წარსულზე ლაპარაკად რჩებოდა.

2005 წელს, ფრანგული "ეკიპის" სახელგანთქმული პუბლიკაციის შემდეგ, ღიად დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, რაზეც ადრე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო. სპორტსმენის მიმართ ბრალდება მრავლად იყო და ამან მის რეპუტაციაზე ძალიან იმოქმედა. საქმეში ჩაუხედავებს არმსტრონგის შესახებ მტკიცე შთაბეჭდილება ჩამოუყალიბდათ - ეს არის ადამიანი, რომელიც, რა თქმა უნდა, იღებდა დოპინგს, მაგრამ ვერ შეძლეს მისი მხილება.

არმსტრონგის წინააღმდეგ ბოლო საქმე სულ ცოტა ხნის წინ დაიხურა - თებერვალში. მისი ინიციატორი იყო ისეთი სერიოზული სახელმწიფო სტრუქტურა, როგორიც არის აშშ-ის ფედერალური პროკურატურა, რომელმაც მოხსნა ყველა ბრალდება "არასაკმარისი მტკიცებულებების გამო". არადა, არმსტრონგის წინააღმდეგ ღიად გამოვიდა ლენსის ყოფილი პარტნიორი **ფლოიდ ლენდისი** – საკმაოდ ცნობილი ველომრბოლი, რომელმაც 2006 წელს ტურ დე ფრანსი მოიგო და შემდეგ ეს ტიტული დოპინგის მიღებისთვის ჩამოართვეს.

უკვე მაშინ იყო ცხადი, რომ არმსტრონგს არ ექნებოდა მშვიდად ცხოვრების საშუალება. USADA-მ პროკურატურიდან სამხილები მოითხოვა, რითაც მიანიშნა იმის შესახებ, რომ თავად დაიწყებდა საკუთარ გამოძიებას. საბოლოოდ მივიღეთ USADA-ის მიერ შედგენილი 15-გვერდიანი წერილი, რომელშიც არმსტრონგის გარდა, ბრალი წაყენებული აქვს იმ გუნდის ხუთ წევრს, რომელშიც ამერიკელი გამოდიოდა – სამი ექიმი, მათ შორის სკანდალურად ცნობილი **მიკელე ფერარი**, სპორტული დირექტორი **ხოსე მარტი** და მსოფლიო ველოსპორტის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მენეჯერი **იოჰან ბრუნელი**. ზოგიერთი ცნობით, მათ ყველას სპორტიდან სამუდამო მოკვეთა ემუქრება.

წერილში, რომლის დეტალები გამოაქვეყნა "ვაშინგტონ პოსტმა", ლაპარაკია იმაზე, რომ USADA-ს გააჩნია არმსტრონგის სისხლის ანალიზი, რომელიც 2009 და 2010 წლებში (ლენსის დიდ სპორტში დაბრუნების პერიოდი, როცა მან 2009 წლის ტურზე სენსაციურად დაიკავა საპრიზო ადგილი) არის აღებული. ამ ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, ეს სინჯები საშუალებას იძლევა გაკეთდეს "დამაჯერებელი დასკვნა სისხლით მანიპულაციებზე, მათ შორის EPO-ისა და ჰემოტრანსფუზიის გამოყენებაზე". გარდა ამისა, ლაპარაკობენ არმსტრონგის მიერ ტესტოსტერონისა და შემნიღბავი პრეპარატების მიღებაზე.

### რა იქნება

არმსტრონგს პრესტიჟის აღდგენისთვის მორიგი ხანგრძლივი მარათონი მოუწევს. მისი პოზიცია უცვლელია მრავალი წლის განმავლობაში. ამჯერადაც, ამერიკელმა გამოაქვეყნა USADA-ის ბრალდებაზე პასუხი: *"მე არასოდეს გამომიყენებია დოპინგი. 25 წელი გამოვდიოდი სპორტის იმ სახეობებში, რომელიც ამტანობას ეფუძნებოდა, ყოველთვის მაღალი შედეგები მქონდა და ამისთვის გარე დახმარება არ მჭირდებოდა. 500-ზე მეტი დოპინგტესტი ჩავატარე და არც ერთი არ იყო დადებითი".*

არმსტრონგს მხარს უჭერს მისი ყოფილი თანაგუნდელი, ბრწყინვალე რუსი ველომრბოლი **ვიაჩესლავ ეკიმოვი**: *"ჩემთვის და ბევრი სხვისთვის სრული გამოცანაა ის, რატომ სდევნიან ამდენი წლის განმავლობაში არმსტრონგს. გასაგებია, რომ ერთის წარმატება სხვას მოსვენებას არ აძლევს. პირადად ვიცნობ იმ ადამიანებს, რომლებიც USADA-ის წერილშია ნახსენები. როგორც ადამიანი, რომელმაც 12 წელი იმუშავა გუნდში და ყველაფრის თვითმხილველია, შემიძლია ვთქვა, რომ იქ ყველაფერი ნორმალურად იყო".*

მაგრამ არმსტრონგისა და ეკიმოვის აზრი ერთადერთი არ არის. მრავალწლიანი დომინირების დროს, ლენსმა, რა თქმა უნდა, ბევრი მტერი შეიძინა. უბრალოდ, ლოგიკა ლაპარაკობს იმაზე, რომ სხვადასხვა ამერიკული ორგანიზაციების მიერ გაჩაღებული ნადირობის უკან, უფრო მეტი დგას, ვიდრე სპორტული შური.

ამერიკაში არმსტრონგი კერპად არის აღიარებული, ის მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა ამერიკელებისთვის, თანაც საქვეყნოდ არის ცნობილი კიბოზე გამარჯვების ისტორია. ბევრს მიაჩნია, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, ლენსი ბრწყინვალე პოლიტიკურ კარიერას მოიწყობდა – თავიდანვე მშობლიური ტექსასის გუბერნატორის პოსტით დაიწყებდა. ამიტომაც შეიძლება იმის თქმა, რომ ლენსის დოპინგის მიღებაში მხილებისა და ამერიკულ საზოგადოებაში მისი იმიჯის დაცემის მონდომებული მცდელობები უმიზეზოდ არ ხდება.

მეორე მხრივ, თავისი არსებობის 12-წლიან ისტორიაში USADA-ს არ წაუგია არც ერთი მსხვილი საქმე, არადა, არასოდეს შეშინებია ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენების წინააღმდეგ წასვლისა. საგულისხმო შტრიხია: ამ ორგანიზაციის აქტიურობის პიკი ყოველთვის ემთხვევა პერიოდს, რომელიც წინ უძღვის ოლიმპიურ თამაშებს – ამერიკელი სუპერვარსკვლავების ხმაურიანი მხილება და დისკვალიციკაცია ოლიმპიადის წინ USADA-ის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა. ზოგიერთ მიმომხილველს მიაჩნია, რომ ეს არ არის უბრალო შემთხვევითობა, არამედ "მსხვერპლთშეწირვის" ერთგვარი შეგნებული აქტი მსოფლიოს ანტისადოპინგო მოძრაობის მიმართ. თუმცა ეს საკმაოდ საკამათო მოსაზრებაა.

რთული სათქმელია, რა მეთოდით ცდილობდა აშშ-ის პროკურატურა არმსტრონგის ბრალის დამტკიცებას, მაგრამ USADA-სთვის ტექნოლოგიურად იოლი იქნება გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ USADA ნამდვილად არ დაწერდა ასეთ წერილს მხოლოდ პირადი ბოღმის გამო. გამოდის, რომ არგუმენტები არსებობს. მით უმეტეს, რომ ანტისადოპინგო მოძრაობა სისხლის მანიპულაციის სფეროში ბოლო დროს, აშკარად დიდ პროგრესს განიცდის.

ლენსის ველოსპორტში დაბრუნების მომენტში დიდი ხანი ფუნქციონირებდა ბიოლოგიური პასპორტის სისტემა, რომელიც ეფუძნება სისხლის ანალიზის მონიტორინგს. მაგრამ არ ყოფილა ამ მაჩვენებლების საფუძველზე მსოფლიო კლასის სპორტსმენების დევნის პრეცედენტი.

ასეთი პრეცედენტი 2009 წლის დასაწყისში შეიქმნა, როცა მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა სახელგანთქმული გერმანელის **კლაუდია პეხშტაინის** დისკვალიფიკაცია გადაწყვიტა სისხლის პასპორტის საფუძველზე, თანაც პეხშტაინი ციგურებით სირბილში არანაკლები ფიგურა იყო, ვიდრე არმსტრონგი ველოსპორტში. მასაც არასოდეს ჩაუბარებია დადებითი დოპინგსინჯი. აქედან დასკვნა იმის შესახებ, რომ ამერიკელის "რკინის არგუმენტი" 500 სუფთა დოპინგტესტის შესახებ, შეიძლება აღარ იყოს ლენსის კოზირი.

მაგრამ ჯერჯერობით ამერიკელი უდანაშაულოა. როგორიც არ უნდა იყოს USADA-ის გადაწყვეტილება, არმსტრონგის ახალი საქმე აუცილებლად გაიწელება. დასჯის შესახებ გადაწყვეტილებას ანტისადოპინგო სააგენტო შემოდგომაზე ადრე არ გამოიტანს, ყველაზე რეალური კი საბოლოო ვერდიქტის მინიმუმ 2013 წლამდე გამოცხადებაა.

კალათბურთი

# ლეიკერსი არ შეიცვლება

## კალიფორნიული კლუბი შემადგენლობის კარდინალურად შეცვლას არ აპირებს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა **ჯიმ ბასმა** უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გუნდი ეძებს ესპანელი ცენტრის **პაუ გასოლის** გაცვლის ვარიანტებს. მანვე ისიც აღნიშნა, რომ ამ ზაფხულს გუნდის შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები არ იგეგმება.

*„ლაპარაკი იმაზე, რომ გასოლი გუნდიდან წავა, სინამდვილეს არ შეესაბამება,* - ამბობს სააგენტო AP-თან კომენტარში კალიფორნიული კლუბის ხელმძღვანელი. - *არსებობს ვარიანტები, რომ ის უფრო ღრმად ითამაშებს სამწამიან ზონაში, მაგრამ მისი გუნდიდან გაშვება არავის უფიქრია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გველოდება ცვლილებები ტაქტიკაში და არა შემადგენლობაში. თავისუფალი აგენტების ბაზრის გახსნის შემდეგ, გაძლიერებას შევეცდებით, მაგრამ გლობალური ცვლილებები არ იგეგმება".*



პაუ გასოლი

■ ■ ■

„ატლანტა ჰოქსი" დაინტერესებულია „ბოსტონის" მცველის **რეი ალენის** გადაბირებით, - წერს ამერიკული პრესა. გარდა ამისა, კლუბის ინტერესთა სფეროში მოხვდნენ **ჯამალ კროუფორდი**, რომელმაც გასული სეზონი „პორტლენდის" შემადგენლობაში გაატარა და **ალონზო გი** „კლივლენდიდან".

გარდა ამისა, „ატლანტა" გეგმავს თავისი პოზიციების გაუმჯობესებას მომავალ დრაფტზე და ამისთვის მზად არის გამოეთხოვოს **ჯოშ სმიტსა** და **მერვინ უილიამსს**.

ამბები

კალათბურთი

### მონტეპასკი უმწვრთნელოდ დარჩა

იტალიის „მონტეპასკის" მთავარმა მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** ოფიციალურად განაცხადა, რომ ტოვებს თავის პოსტს. ამასთან მან აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში სხვა კლუბს ჩაუდგება სათავეში.

*„რამდენიმე თვის წინ ვიცოდი, რომ ეს მოხდებოდა. კლუბის ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად დავსხედით და გადავწყვიტეთ, რომ საუკეთესო ვარიანტი ურთიერთობის გაწყვეტა იქნებოდა. იმედია, უახლოეს მომავალში გაირკვევა სიტუაცია ახალ სამუშაოსთან დაკავშირებით"* - განაცხადა იტალიელმა სპეციალისტმა.

როგორც ევროპული პრესა ვარაუდობს, პიანიჯანის ახალი კლუბი თურქეთის „ფენერბაჰჩე" იქნება.

### გამქრალი კუბელები

პუერტო რიკოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი აცხადებს, რომ კუბის ნაკრების ხუთი მოთამაშე უგზოუკვლოდ გაქრა. ისინი არ გამოცხადნენ ნიკარაგუასთან მატჩის წინ ბოლო ვარჯიშზე.

აღსანიშნავია, რომ კუბელებს არაერთხელ გამოუყენებიათ საერთაშორისო ტურნირები იმისთვის, რომ დაეტოვებინათ ქვეყანა და სხვა სახელმწიფოში ეძებნათ პოლიტიკური თავშესაფარი. ცოტა ხნის წინ, მსგავსი ისტორია ჰქონდათ კუბელ ფეხბურთელებს აშშ-ში ტურნირის დროს.

ჰოკეი

### ანაჰაიმი რაიანს იშორებს

„ანაჰაიმის" ხელმძღვანელობა უახლოეს პერიოდში აპირებს თავისი ფორვარდის **ბობი რაიანის** სხვა კლუბში გაცვლას. „იხვების" შეფობა ამასთან დაკავშირებით ნებისმიერ შეთავაზებას განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ „დაქსი" რაიანის გაცვლის შესახებ შარშანაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ მაშინ გარიგება არ შედგა. 2011-12 წლების სეზონში რაიანმა 82 მატჩი ჩაატარა, 31 შაიბა გაიტანა და 26 შედეგიანი პასი შეასრულა.

### კარლსონი შვიდი წლით ოტაველია

„ოტავა სენატორზის" მცველმა **ერიკ კარლსონმა** ახალი ხელშეკრულება გააფორმა კანადურ კლუბთან. შვიდი სეზონის განმავლობაში 22 წლის შვედი, რომელიც ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი უნდა გამხდარიყო, დაახლოებით 45 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

გასულ სეზონში კარსონი რეგულარული ჩემპიონატის მცველებს შორის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - 78 ქულა (19+59) დააგროვა, გარდა ამისა, მეორედ მიიღო მონაწილეობა „ყველა ვარსკვლავის მატჩში". შვედი პრეტენზიას აცხადებს სეზონის საუკეთესო მცველის პრიზზე. მისი კონკურენტები არიან ბოსტონელი **ზდენო ხარა** და ნეშვილელი **ში უებერი**.

### დაუტი მოძალადე ყოფილა

„ლოს ანჯელეს კინგზის" მცველს **დრიუ დაუტის**, შესაძლოა, სექსუალური ძალადობის მუხლით წაუყენონ ბრალი. ქალაქის პროკურატურაში შევიდა განცხადება ქალისგან, რომელმაც განაცხადა, რომ ამა წლის დასაწყისში ჰოკეისტის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გახდა.

*„საქმე განიხილება. გადაწყვეტილებას ამ კვირას ველოდებით",* - განაცხადა საოლქო პროკურორის პრესმდივანმა **სენდი გიბსონმა**. დაუტის ადვოკატი **კრეიგ რენეცკი** დარწმუნებულია, რომ მის კლიენტს ბრალდებას მოუხსნიან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი



გაელ მონფილსი

# უიმბლდონის განთესილები

## ლონდონში გაელ მონფილსი ვერ ითამაშებს

გუშინ, უიმბლდონის ორგანიზატორებმა ტურნირის ძირითად ბადეში განთესილი ჩოგბურთელების სია გამოაქვეყნეს. მამაკაცებსა და ქალებს შორის პირველ ნომრად განთესილები ATP-სა და WTA-ის რეიტინგის ლიდერები - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **მარია შარაპოვა** არიან.

განთესილთა სიის გამოქვეყნების შემდეგ გაირკვა, რომ უიმბლდონზე გამოსვლას ვერ შეძლებს მსოფლიოს მე-15 ჩოგანი, ფრანგი **გაელ მონფილსი**. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე გაელმა მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო როლან გაროსიც გამოტოვა. ამჯერადაც „დიდი სლემის" ტურნირის გამოტოვების მიზეზი სწორედ ეს დაზიანებაა.

### კაცები

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)
5. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი)
6. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)
7. დავიდ ფერერი (ესპანეთი)
8. იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი)
9. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)
10. მერდი ფიში (აშშ)
11. ჯონ ისნერი (აშშ)
12. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)
13. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)
14. ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი)
15. ხუნ მონაკო (არგენტინა)
16. მარინ ჩილიჩი (ხორვატია)
17. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)
18. რიშარ გასკე (საფრანგეთი)
19. კეი ნიშიკორი (იაპონია)
20. ბერნარდ ტომიჩი (ავსტრალია)
21. მილოშ რაონიჩი (კანადა)
22. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრაინა)
23. ანდრეას სეპი (იტალია)
24. მარსელ გრანოლერსი (ესპანეთი)
25. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)
26. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)
27. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია)
28. რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი)
29. ჟულიან ბენეტო (საფრანგეთი)
30. ენდი როდიკი (აშშ)
31. ფლორიან მაიერი (გერმანია)
32. კევინ ანდერსონი (ს. აფრიკა)

### ქალები

1. მარია შარაპოვა (რუსეთი)
2. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)
3. აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთი)
4. პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი)
5. სამანტა სტოსური (ავსტრალია)
6. სერენა უილიამსი (აშშ)
7. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)
8. ანგელიკ კერბერი (გერმანია)
9. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)
10. სარა ერანი (იტალია)
11. ნა ლი (ჩინეთი)
12. ვერა ზვონარევა (რუსეთი)
13. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)
14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)
15. საბინ ლისიცკი (გერმანია)
16. ფლავია პენეტა (იტალია)
17. მარია კირილენკო (რუსეთი)
18. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)
19. ლუსი საფაროვა (ჩეხეთი)
20. ნადია პეტროვა (რუსეთი)
21. რობერტა ვინჩი (იტალია)
22. იულია გორგესი (გერმანია)
23. პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხეთი)
24. ფრანჩესკა სკიავონე (იტალია)
25. ჟიე ჟენგი (ჩინეთი)
26. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი)
27. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)
28. კრისტინა მაკჰეილი (აშშ)
29. მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთი)
30. შუაი პენგი (ჩინეთი)
31. ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუსეთი)
32. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)

## ჰოკეი

# ყინული და შაიბა ანტიკურ არენაზე

ხორვატული კლუბი „ზაგრებ მედვეჟჩაკი", რომელიც ავსტრიის ჰოკეის ლიგაში გამოდის, ორ შეხვედრას ჩაატარებს ქალაქ პულაში მდებარე ანტიკურ არენაზე, - ამის შესახებ იტყობინება გუნდის ოფიციალური ვებგვერდი.

„მედვეჟჩაკი" 2012 წლის 14 სექტემბერს ლიუბლიანის „ოლიმპიას" წინააღმდეგ ითამაშებს, ორი დღის შემდეგ კი ავსტრიის „ვენა კეპიტალზს" შეხვდება. არენაზე ყინულის მოედნის მოწყობას აგვისტოში აპირებენ, რითაც ტურისტების მოზიდვა აქვთ განზრახული.

დღეისთვის ძველრომაული ამფითეატრი, რომლის მშენებლობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში დაიწყო და ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დასრულდა, ძირითადად, კონცერტებისთვის გამოიყენება. პულას არენა შვიდი ათას მაყურებელს იტევს და ის რომის იმპერიის დროიდან შემორჩენილ ნაგებობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი არენაა.

„მედვეჟჩაკი" ჰოკეის კონტინენტურ ლიგაში შესვლის კანდიდატია. სავარაუდოდ, ხორვატული კლუბი ლიგას 2013-14 წლების სეზონიდან შეუერთდება.



ქალაქ პულის არენა

## ფორმულა 1

# ფერარის სამი ფრონტი

„ფერარის" მთავარმა კონსტრუქტორმა **ნიკოლას ტომბასისმა** ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, რომ იტალიური საჯინიბო ამ მომენტისთვის სამ ავტომობილზე ერთდროულად მუშაობს: საქმე ეხება დღევანდელი ბოლიდის განვითარებას, 2013 წლის სეზონისთვის შექმნილი მანქანის დახვეწასა და 2014 წლის რადიკალურად ახალი ბოლიდის შექმნას. ეს უკანასკნელი ექვსცილინდრიანი ძრავით იქნება აღჭურვილი.

*„2013 წლის მოდელი დღევანდელის განვითარებული ვერსია იქნება, მაგრამ ჩვენთან არის ადამიანების მცირე ჯგუფი, რომლებიც მექანიკური კომპონენტების მთავარ პრინციპებზე მუშაობენ. სწორედ ეს უნდა გახდეს წინსვლა წლევანდელთან შედარებით.*

*რაც შეეხება 2014 წელს, უკვე ბევრი ადამიანი გვყავს, რომელიც ახალ ძრავაზე მუშაობს და კიდევ ერთი პატარა ჯგუფი, რომელიც ავტომობილის სხვა თავისებურებებზეა პასუხისმგებელი. ეს მანქანა სრულიად ახალი იქნება"*, - ამბობს ტომბასისი „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში.




## კრივი

# ამერიკა შეშფოთებულია

ამერიკელი სენატორები **ჯონ მაკეინი** და **ჰარი რიდი**, რომლებიც ადრე კრივით იყვნენ დაკავებული, ამერიკის შეერთებულ შტატებში კრივზე კონტროლის ფედერალური კომისიის შექმნის იდეით გამოდიან. ამის საბაბი გახდა 9 ივნისს, ლას ვეგასში პირველ საშუალო წონაში ჩატარებული საჩემპიონო ბრძოლის საკამათო შედეგი, რომლის მიხედვითაც ამერიკელმა **ტიმოტი ბრედლიმ** ფილიპინელი **მენი პაკიაო** დაამარცხა და მას WBC-ის ტიტული ჩამოართვა.

პოლიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ ამერიკაში არ არსებობს კრივის ცენტრალიზებული მაკონტროლებელი ორგანო, ხოლო უკანასკნელ პერიოდში გახშირებული სკანდალები, სერიოზულ ზიანს აყენებს სპორტის ამ სახეობას.

სენატორები სთავაზობენ შესაბამის ორგანოებს შექმნან საერთო ეროვნული კომისია, რომელიც გააკონტროლებს კრივთან დაკავშირებულ ყველა საკითხს - ადგილობრივი კომისიების მუშაობას, მოკრივეებისთვის ლიცენზიების გაცემას, პრომოუტერებთან თანამშრომლობას და ა. შ.




ბრედლი-პაკიაოს ბრძოლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ჰრადეცი-ბოლესლავი | 0:0 |
| აიკ-სუნდსვალი | 2:1 |
| ვინერი-მორავცე | 0:2 |
| გეფლე-ატვიდაბერგი | 1:0 |

| ნორვეგიის თასი. 1/16 ფინალი | |
|---|---|
| ოლესუნდი-ბიასენი | 4:0 |
| ალტა-ბოდო გლიმტი | 2:2 პენ. 4:5 |
| ასანე-ვიკინგი | 0:2 |
| ასკერი-სტაბეკი | 2:1 |
| ჰაუგესუნდი-ეგერსუნდი | 8:2 |
| ჰიოდი-სარპსბორგი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| კონგსვინგერი-სტარტი | 0:1 |
| მიონდალენი-ჰიონეფოსი | 2:2 პენ. 3:0 |
| მიოლდე-ჰამ კამი | 3:2 |
| ნესტ სოტრა-ბრანი | 0:3 |
| რაუფოსი-ოდ გრენლანდი | 2:3 |
| რუსენბორგი-კვიკი | 4:0 |
| სანდეფიორდი-ვოლერენგა | 1:1 დ.დ. 3:1 |
| სტრიომსგოდსეტი-ნოტოდენი | 3:2 |
| ტრომსიო-ტრიომსდალენი | 4:0 |
| ულ კისა-ლილესტრიომი | 0:3 |

| შვედეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| ბრაგე-ანგელჰოლმი | 1:1 |
| ბრომაპიოკარნა-ვარბერგსი | 5:1 |
| იონჩოპინგი-ლანდსკრონა | 2:0 |
| ლიუნგსკილე-დეგერფორსი | 3:3 |
| ოსტერი-ფალკენბერგი | 4:1 |
| ტრელებორგი-ჰამარბიუ | 2:1 |
| უმეა-ვარნამო | 1:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ლაჰტი-ჰაკა | 0:1 |
| მარიეჰამნი-ჰიკ | 2:0 |
| ტურკუ-მიუპა | 1:0 |
| ვაასა-ჰონკა | 2:0 |

| ფინეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| ოულუ-როვანიემი | 0:0 |
| ჰამეენლინა-პკ35 | 1:2 |
| კოტეპე-ჰიფკ | 0:2 |
| სეინაიოენი-იიპო | 3:1 |
| ვიიკინგიტი-ოპს | 3:0 |

| ისლანდია | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-რეიკიავიკი | 2:1 |
| ფრამი-კეფლავიკი | 0:2 |
| გრინდავიკი-ვესტმანაეიარი | 1:3 |
| ჰაფნარი-სტიარნანი | 2:2 |
| ვალური-აკრანესი | 2:1 |
| სელფოსი-ფილკირი | 1:2 |

| ლატვია | |
|---|---|
| სპარტაკსი-დაუგავა რიგა | 2:2 |

| ლიტვა | |
|---|---|
| ტაურასი-ჟალგირისი | 0:2 |
| შიაულიაი-ვილნიუსი | 2:0 |
| ეკრანასი-დაინავა | 3:2 |

### ჩოგბურთი

| ATP. ისტბურნი | |
|---|---|
| ბერლოკი-**სეპი** | 6:7, 3:6 |
| **ისტომინი**-გრანოლერსი | 6:1, 4:6, 7:6 |
| **დარცისი**-ბაღდატისი | 6:4, 4:6, 6:4 |
| ლუ-**ჰარისონი** | 1:6, 6:7 |
| ტომიჩი-**ფონინი** | 6:4, 3:6, 5:7 |
| **კოლშრაიბერი**-ბეიკერი | 6:2, 3:6, 6:3 |
| შარდი-**როდიკი** | 2:6, 6:7 |

| ATP. ჰერტოგენბოში | |
|---|---|
| მელცერი-**იტო** | 2:6 2:6 |
| ო. როხუსი-**სისლინგი** | 5:7, 6:7 |
| **პერი**-კუბოტი | 6:3, 0:6, 6:4 |
| **როჟე ვასელენი**-ჩიპოლა | 2:6, 3:6, 6:1 |
| ლორენცი-**მალისე** | 6:7, 2:6 |
| **ფერერი**-ლ. მაიერი | 6:3, 6:1 |
| **მიულერი**-ფალა | 6:3, 6:0 |

| WTA. ისტბურნი | |
|---|---|
| **კერბერი**-სხეპერსი | 6:3, 6:2 |
| უოტსონი-**საფაროვა** | 6:7, 1:6 |
| **პავლიუჩენკოვა**-მაკჰეილი | 7:5, 3:6, 6:4 |
| რობსონი-**მაკაროვა** | 4:6, 5:7 |
| **პირონკოვა**-დუბუა | 6:0, 4:6, 6:4 |
| **ბარტოლი**-ვოზნიაკი | 6:2, 6:2 |
| ჩეტკოვსკა-**ზაკოპალოვა** | 1:6, 6:1, 2:6 |
| **პაჩეკი**-ჰანტუხოვა | 6:4, 3:6, 6:1 |

| WTA. ჰერტოგენბოში | |
|---|---|
| ნიკულესკუ-**ვინჩი** | 3:6, 7:6, 0:6 |
| **სკიავონე**-ბეგუ | 6:2, 2:6, 7:6 |
| **ფლიპკენსი**-გავრილოვა | 7:5, 7:6 |
| **არვიდსონი**-რუსი | 6:4, 6:1 |

## TV პროგრამა

### 21 ივნისი. ხუთშაბათი

#### I არხი

**22:45** ფეხბურთი. ევრო 2012. 1/4 ფინალი. ჩეხეთი-პორტუგალია (LIVE).

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კიოლნი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-იუვენტუსი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-მარსელი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVI" ტურის მიმოხილვა.
**22:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლილი.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:30** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რაიო ვალეკანო.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-არსენალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ევერტონი.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. სარასენი-ბეარიცი.
**19:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**20:00** სპორტ-NEWS.
**20:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-უდინეზე.
**22:30** NBA Action.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა. V მატჩი (LIVE).

#### GMG-სპორტი 2

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ირლანდია.
**15:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**19:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-იტალია.
**21:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 21 | 32 | (მზე) |
| ბათუმი | 19 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 28 | (მზე) |
| ზუგდიდი | 21 | 31 | (მზე) |
| გორი | 17 | 29 | (მზე) |
| თელავი | 17 | 25 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 16 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 18 | 29 | (მზე) |
| ბაკურიანი | 9 | 22 | (მზე) |
| ბორჯომი | 14 | 27 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 11 | 25 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0685 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6294 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5635 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0110 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA ფინალი

# მეფე ტახტს მიუახლოვდა

## ტრავმირებულმა ლებრონმა უესტბრუკის ფენომენალური თამაში გადაწონა



ლებრონი დაეცა, მაგრამ მოიგო

პირველ მეოთხედში 17-ქულიანი ჩამორჩენის, **რასელ უესტბრუკის** 43 ქულისა და **ლებრონ ჯეიმსის** ტრავმის მიუხედავად, „მაიამიმ" შინ დაამარცხა „ოკლაჰომა" და სერიაში 3:1 წაიყვანა ანგარიში.

„მეფე" ლებრონი ძალიან ახლოა კარიერაში თავის პირველ საჩემპიონო ტიტულთან. რამდენად ძლიერიც არ უნდა იყოს მუხლის ტკივილი, ეჭვი არ გვეპარება: მეხუთე მატჩში „ჰიტის" სუპერფორვარდი მოედანზე გავა და შეეცდება დაასრულოს ცხრაწლიანი ლაშქრობა საჩემპიონო ბეჭდისთვის, თანაც საკუთარი გულშემატკივრების წინაშე. ამაზე უკეთესს ის ვერც ინატრებდა

ბოლო მეოთხედის შუაში, როცა ანგარიში 90:90 იყო, ჯეიმსმა „ოკლაჰომას" ლიდერის **კევინ დურანტის** მოტყუება სცადა, მაგრამ ფეხი დაუცდა და საკმაოდ ძლიერად დაარტყა იატაკს მარცხენა მუხლი. ბუნებრივია, ბურთი დაიკარგა, მაგრამ მსაჯებს, წესების თანახმად, არ შეეძლოთ თამაშის მაშინვე გაჩერება - იმ მომენტში სტუმრები სწრაფ გარღვევას იწყებდნენ. თუმცა ვერ ჩააგდეს: **დუეინ უეიდმა** ეფექტურად დაუფარა **დერეკ ფიშერს**. საპასუხო შეტევაში ფეხზე ძლივს წამომდგარი ჯეიმსი უესტბრუკის წინაშე აღმოჩნდა. მას არ შეეძლო გაბარიტებში უპირატესობის გამოყენება, უბრალოდ კოჭლობით რამდენიმე მეტრი გაიარა და რასელის წინააღმდეგობის მიუხედავად, ზუსტად ისროლა. მხოლოდ ამის შემდეგ დატოვა მან მოედანი სამედიცინო დახმარების მისაღებად.

ტრიბუნებზე მსხდომი 20 ათასი მაყურებელი იმ საღამოს პირველად დადუმდა. მთელი ტაიმ-აუტი ლებრონმა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გაატარა, მას თავზე ეხვივნენ ექიმები, ფიზიოთერაპევტები და თანაგუნდელები. მასპინძლების მწვრთნელს **ერიკ სპოელსტრას** ამ წუთნახევრის განმავლობაში არანაირი დარიგება არ მიუცია თავისი შეგირდებისთვის. ჯეიმსს ერთი წუთი დასვენების საშუალება მიეცა და ამ დროის განმავლობაში „მაიამის" „პლუს ორი" „მინუს ორად" გადაიქცა - დურანტმა, როგორც იქნა, მხარი აუბა უესტბრუკის შედეგიან თამაშს („ოკლაჰომას" გამთამაშებელმა ბოლო მეოთხედში თავისი გუნდის პირველი 15 ქულიდან 13 თავის ანგარიშზე მიითვალა).

მაგრამ ლებრონი მოედანზე დაბრუნდა და მაშინვე 7:0 გაქცევა მოაწყო (ამ შვიდ ქულაში მისი სამქულიანიც შედიოდა). ჯეიმსმა უბრალოდ გადაწყვიტა - თუ სირბილი არ შეეძლო, მაშინ სროლებზე გადავიდოდა. *„მე უბრალოდ ვცდილობდი ბოლომდე მიმეყვანა ყოველი შეტევა,* - განაცხადა „მეფემ" მატჩის შემდეგ. - *რადგან მოედანზე ვიმყოფებოდი, შეზღუდული მოძრაობის მიუხედავად, მაქსიმალურად უნდა დავხმარებოდი გუნდს. მოხარული ვარ, რომ შევძელი ამის გაკეთება. მეხუთე მატჩისთვის მწყობრში ვიქნები".*

არადა, პირველ მეოთხედში საქმე ისე მიდიოდა, რომ მატჩის გმირი არა ჯეიმსი, არამედ უესტბრუკი უნდა გამხდარიყო. „ოკლაჰომაში" ყველა შესანიშნავად აცნობიერებდა, რომ მეოთხე მატჩი განმსაზღვრელი იქნებოდა - 2:2-სა და 1:3-ს შორის უდიდესი განსხვავებაა. და სტარტზე „მაიამის" მცირეხნიანი ლიდერობის შემდეგ, „ოკლაჰომამ" პირველად ამ სერიაში თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა. სასტარტო მეოთხედის მსვლელობისას, „თანდერის" უპირატესობა 17 ქულას უდრიდა. მაგრამ პირველი 12-წუთეულის ბოლოს და მეორეს დასაწყისში ჯეიმსმა ორჯერ დროულად შეამჩნია სამწამიანის ხაზთან ჩასაფრებული ახალბედა გამთამაშებელი **ნორის კოული**, სულ რაღაც ოთხი წუთის შემდეგ კი უეიდმა ჩააგდო შორეული ტყორცნა და ანგარიში გაათანაბრა - 35:35.

ასეთ მცირე დროში ასეთი უპირატესობის გაფლანგვის გამო „ოკლაჰომა" წესით უნდა დასჯილიყო, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, დანებება არ ისურვა უესტბრუკმა. ამ კალათბურთელის კრიტიკა ჯერ კიდევ ფინალურ სერიამდე დაიწყეს და ფინალშიც გააგრძელეს. ამბობდნენ, რომ რასელი ძალიან ბევრს იღებს თავის თავზე, გაუმართლებლად ხშირად ისვრის... 23 წლის გამთამაშებელი სულაც არ ნერვიულობდა ამის გამო და სკეპტიკოსებისთვის პასუხის გაცემა საკალათბურთო მოედანზე გადაწყვიტა. სწორედ მან მოაწყო 7:0 გაქცევა და საფინალო სირენამდე ექვსი წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში, არადა, ყველას ეგონა, რომ „მაიამის" დაწევა უკვე შეუძლებელი იყო.

მაგრამ მატჩში საბოლოო სიტყვა სხვა გამთამაშებელმა თქვა - მაიამელმა **მარიო ჩელმერსმა**. მცველმა შეხვედრის ბოლო წუთში 5 ქულა დააგროვა - ზუსტად იმდენი, რამდენიც წინ ორ შეხვედრაში ერთად აღებული. თუმცა მას ამაში დაეხმარა... უესტბრუკი.

მთელი მატჩის განმავლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე ოკლაჰომელმა ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში გააფუჭა ყველაფერი. და ეს იმიტომ, რომ შეტევისთვის განკუთვნილი დროის წესი არ იცოდა კარგად. „თანდერმა" „მინუს სამზე" შესანიშნავად ითამაშა დაცვაში, მაგრამ საფინალო სირენამდე 17.3 წამით ადრე, მსაჯებმა „ოკლაჰომას" ფარქვეშ სადავო ბურთი დააფიქსირეს. მასპინძლებს შეტევისთვის 0.8 წამი რჩებოდათ, მაგრამ სადავო ბურთის წესის თანახმად, ეს დრო 5 წამამდე გაზარდეს. უესტბრუკმა კი, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ „მაიამის" შეტევისთვის 24 წამი მისცეს და ამიტომაც მაშინვე ჩელმერსზე აიღო ჯარიმა, არადა, შეეძლო უბრალოდ აქტიურად ეთამაშა თავისი ვიზავის წინააღმდეგ და ხუთი წამი გაეძლო. ჩელმერსმა საჯარიმოებით ხუთ ქულამდე გაზარდა „მაიამის" უპირატესობა მატჩში, სერიაში კი ანგარიში 3:1 გახდა.

ლებრონ ჯეიმსი მატჩის ბოლო წამებს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს. მას აუცილებლად ეცოდინება, რომ 1:3-ის შემდეგ ფინალური სერია არც ერთ გუნდს არასოდეს მოუგია. ასე რომ, 2012 წლის ფინალში რაღაც აუცილებლად მოხდება პირველად: ან „თანდერი" შეძლებს სასწაულის მოხდენას და ზედიზედ სამი მატჩის მოგებას ან ლებრონი პირველად გახდება NBA-ის ჩემპიონი.

**მაიამი-ოკლაჰომა 104:98**

**19:33, 27:16, 33:26, 25:23**

**მ:** ჯეიმსი (26+12 პასი+9 მოხსნა), უეიდი (25+5 მოხსნა+3 პასი+2 დაფარება), ჩელმერსი (25+3 პასი), ბოში (13+9 მოხსნა), კოული (8), ბატიე (4+5 მოხსნა), ჯონსი (3).

**ო:** უესტბრუკი (43+7 მოხსნა+5 პასი), დურანტი (28+3 პასი), ჰარდენი (8+10 მოხსნა), კოლისონი (6), სეფოლოშა (5), იბაკა (4+7 მოხსნა), პერკინსი (4).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (48.1/48.8), სამქულიანები (38.5/18.8), საჯარიმოები (72/93.8).

**სერია:** 3-1

### საინტერესო სტატისტიკა

გუშინდელ მატჩში „მაიამის" სამმა კალათბურთელმა შეძლო მინიმუმ 25 ქულის დაგროვება (ჯეიმსი - 26, უეიდი - 25, ჩელმერსი - 25). ბოლოს ფინალური სერიების მატჩებში ასეთი რამ 1985 წლის 7 ივნისს მოხდა, როცა „ბოსტონთან" მატჩში „ლეიკერსის" კალათბურთელებმა **ქარიმ აბდულ-ჯაბარმა, ჯეიმს უორთიმ** და **მეჯიქ ჯონსონმა** შესაბამისად, 36, 33 და 26 ქულა დააგროვეს. ის შეხვედრა კალიფორნიელებმა მოიგეს და სერიაში 3:2 წაიყვანეს ანგარიში.

■ ■ ■

ლებრონ ჯეიმსმა ბოლო 14 შეხვედრაში მინიმუმ 25 ქულა დააგროვა და ამით გაიმეორა ერთ სეზონში პლეი ოფის მატჩებში ზედიზედ ჩატარებული 25-ქულიანი მატჩების რეკორდი, რომელიც 2009 წელს იყო დამყარებული... ლებრონ ჯეიმსის მიერ.

■ ■ ■

პირველი მეოთხედი „მაიამიმ" 14 ქულით წააგო. ფინალური სერიის მატჩებში ეს იყო საწყის მეოთხედში სიდიდით მესამე ჰანდიკაპი, როცა ჩამორჩენილმა გუნდმა საბოლოოდ გამარჯვება მოახერხა. რეკორდი ეკუთვნის „ბოსტონს", რომელმაც 2008 წელს „მინუს 21"-დან მოუგო მატჩი „ლეიკერსს".

■ ■ ■

რასელ უესტბრუკმა 43 ქულა დააგროვა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. „ოკლაჰომას" გამთამაშებელმა თამაშიდან 32-ჯერ ისროლა და 20 ჩააგდო. ის გახდა მეშვიდე მოთამაშე ისტორიაში, ვინც NBA-ის ფინალური სერიის მატჩში თამაშიდან მინიმუმ 20 ტყორცნა გამოიყენა და პირველი, ვინც ასეთი მონაგარის მიუხედავად, დამარცხებულმა დატოვა მოედანი.

■ ■ ■

24 წლამდე ასაკის მოთამაშეების მიერ ფინალური სერიის მატჩში დაგროვილი 43 ქულა მესამე შედეგია ისტორიაში. 1967 წელს „სან ფრანცისკო უორიორზის" 23 წლის მოთამაშემ **რიკ ბერიმ** 55, 44 და 43 ქულა დააგროვა ფინალური სერიის მატჩებში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608